

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“

გრიგოლ მოდებაძე

**ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული
კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასება და
ადმინისტრირება (თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები)**

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ელგუჯა მექვაბიშვილი

თბილისი
2022

ანოტაცია

საქართველოში გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარ ზარალს აფასებს და აღრიცხავს ადგილობრივ დონეზე შექმნილი კომისია. გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს სისტემატური/სტანდარტიზებული მიდგომა იმისა, თუ როგორ უნდა შეაფასოს კომისიამ კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალი, თითოეული შეფასების აქტი და გამოთვლილი ზიანისა და დანაკარგის ოდენობა ეფუძნება კომისიის წევრების სუბიექტურ მოსაზრებებს, ხედვებსა და შეფასებებს.

კვლევის მიზანია ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფებით დამდგარი ზარალის დათვლის უნიფიცირებული მულტისექტორული მეთოდოლოგიის შექმნა, რაც უზრუნველყოფს ზარალის შესახებ საჭირო ინფორმაციის სრულად და შესადარი ფორმით აღრიცხვა-ანგარიშგებას, აამაღლებს ზარალის შესახებ მონაცემების სანდოობას და მოახდენს შეფასების განხორციელებისას სუბიექტური ფაქტორების მინიმიზაციას. მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანებს წარმოადგენს საქართველოსთვის ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების კლასიფიკატორის და დამდგარი ზიანის და დანაკარგის ინდიკატორების შემუშავება; ზარალის შეფასების სტანდარტიზებული ფორმულების შემუშავება სხვადასხვა სექტორისთვის (საცხოვრისი და არასაცხოვრისი, სოფლის მეურნეობა, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკა, განათლება, კულტურა და ჯანდაცვა). შემუშავებული ფორმულები დამატებით სიცხადეს ვლენს ამჟამად მსოფლიოში გამოყენებად ზარალის შეფასების მეთოდოლოგიებს, მიდგომებს და ჩარჩოებს.

კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა ყოვლისმომცველი, მსოფლიოში აღიარებული და საუკეთესო პრაქტიკის მეთოდოლოგიები, მიდგომები და ჩარჩოები (ECLAC DaLA; PDNA HAZUS; IDEA; MIRA; IRA; SAF SEIA; EMA და FAO). ზიანის და დანაკარგის გამოთვლისთვის დეტალური და სპეციფიური მონაცემების შეგროვების აუცილებლობა, ინტეგრირებული მონაცემთა ბაზის ხშირი განახლების მოთხოვნასთან ერთად (რომელიც ასოცირდება

დამატებითი რესურსების საჭიროებასთან) ბევრ ქვეყანას, მათ შორის საქართველოს, არაეფექტური მეთოდოლოგიების გამოყენებისკენ უბიძგებს. (მაგ., HAZUS). შესაბამისად, კვლევა გვთავაზობს ახალ და ორიგინალურ მიდგომას ზიანის და დანაკარგის შესაფასებლად და იძლევა ალტერნატიულ მეთოდს ზარალის შეფასების არსებულ ლიტერატურაში ხარვეზების შესავსებად. უფრო მეტიც, ზარალის შეფასების შემოთავაზებული მეთოდი შეიძლება გამოიყენოს სხვა ქვეყნებმაც, რადგან ფორმულებში გამოყენებულ ყველა ცვლადს აქვს მკაფიო განმარტება (არ იძლევა განსხვავებული ინტერპრეტირების საშუალებას), შესაძლებელია მათი ადვილად შეგროვება (არ საჭიროებს GIS-ს ან სხვა ინტეგრირებულ სისტემებს) და გამოყენება პრაქტიკაში.

გარდა ამისა, კატასტროფის შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის შესახებ მონაცემების სისტემატური შეგროვება საშუალებას მისცემს შესაბამის სამთავრობო უწყებებს, კერძო სადაზღვევო კომპანიებს და კვლევით ინსტიტუტებს შეიმუშაონ (დაკალიბრონ) ზარალის შეფასების მოდელები. ამასთან, შეგროვებული მონაცემებით შესაძლებელი იქნება შეფასდეს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ეკონომიკური შოკები და გამოთვლილ იქნას კატასტროფის შედეგად დაზარალებულთა კომპენსაცია. შესაბამისად, ზარალის და კომპენსაციის სტაბდარტიზებული და უნიფიცირებული მეთოდით შეფასება ხელს შეუწყობს სახელმწიფო დახმარების სამართლიანი და ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბებას, კერძო სექტორთან, ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებებთან თანამშრომლობას და განავითარებს სადაზღვევო ბაზარს.

საკვანძო სიტყვები: კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასება, კატასტროფის წინააღმდეგ მედეგობა, გამოყენებითი მიდგომა, ზიანი და დანაკარგი, საქართველო.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Economics and Business

Doctoral program "Economics"

Grigol Modebadze

Assessment and administration of losses caused by natural and man-made hazards (theoretical-methodological aspects)

Dissertation submitted for the academic degree of Doctor of Economics

Scientific supervisor:

Doctor of Economic Sciences, Professor

Elguja Mekvabishvili

Tbilisi

2022

Abstract

According to the common practice in Georgia, the damage and loss caused by natural and man-made hazards are assessed and registered by a commission established at the local level. Due to the fact that there is no systematic/standardized approach to how a commission should assess the damage caused by a hazard, each assessment act and the amount of damage and loss calculated are based on the subjective opinions, visions and assessments of the commission members.

The aim of the research is to create a unified multi-sector methodology for calculating losses caused by natural and man-made hazards, it ensures the complete and comparable accounting and reporting of the necessary information about the loss, increases the reliability of the data and minimizes the subjective factors during assessment. Based on goal, the objectives of this study are to develop a hazard classifier and determine damage and loss indicators caused by natural and man-made hazards for Georgia; Elaborate standardized formulas for damage assessment in different (residential and non-residential, agriculture, public infrastructure; energy; education; culture and health care) sectors. The elaborated formulas provide additional clarity to the various worldwide methodologies and frameworks presently used in the damage assessment.

Based on the goal and objectives of the research comprehensive, worldwide recognized and best practice methodologies (ECLAC DaLA; PDNA HAZUS; IDEA; MIRA; IRA; SAF SEIA; EMA and FAO) were reviewed. The necessity to collect detailed and specific data for the damage and loss calculation, alongside a requirement for frequent renewals of the integrated database (associated with the need for additional resources) – without which it often leads many countries, including Georgia, to use ineffective methodologies (e.g., HAZUS). Therefore, the study offers a new and original approach for assessing damage and loss and provides an alternative method to fill the gap in the damage assessment literature. Moreover, the proposed damage assessment method could be employed by authorities in other countries, as all the variables used within the formula have a clear definition (there is no room for different interpretations of the calculation), and they can be both easily collected (not requiring GIS or other integrated systems) and deployed in practice.

Furthermore, the systematic collection of data on disaster damage and loss would enable the relevant government agencies, private insurance companies, and research institutes to develop (calibrate) damage and loss assessment models. The latter of which could moreover assess short- and long-term economic shocks and sustainability issues. The collected data could thereafter be used to calculate compensation for the victims of a disaster. Therefore, such defined compensation would support the establishment of a fair and effective state aid mechanism, facilitate cooperation with the

private sector and local and international communities, and enable development in the insurance market.

Keywords Disaster Assessment, Disaster Resilience, Applied Approach, Damage and Loss, Georgia

შინაარსი

შესავალი	3
თავი I. ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების შეგროვების და ჩაწერის პრაქტიკა	16
1.1 საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი.....	16
1.2 კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების შეგროვების და ჩაწერის არსებული პრაქტიკა საქართველოში	34
თავი II. ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების კლასიფიკატორები და დამდგარი ზარალის ინდიკატორები.....	52
2.1 ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების საზღვარგარეთ მოქმედი კლასიფიკატორები და დამდგარი ზარალის ინდიკატორები.....	52
2.2 კლასიფიკატორის შემუშავების და დამდგარი ზარალის ინდიკატორების განსაზღვრის თავისებურებები საქართველოში.....	67
თავი III. ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების მეთოდოლოგია და ადმინისტრირება საქართველოს მაგალითზე	80
3.1 ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების საერთაშორისო პრაქტიკა	80
3.2 ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების შემუშავებული მეთოდოლოგია საქართველოში დასაწერად	91
დასკვნები და წინადადებები	154
გამოყენებული ლიტერატურა.....	162
დანართები.....	173

გრაფიკები:

- გრაფიკი 1. გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო მოთხოვნების ჩამოყალიბების შედეგად მონაცემთა მოდელის და შესაგროვებელი მონაცემების განსაზღვრის პროცესი22
- გრაფიკი 2. კატასტროფის შედეგად დამდგარი ზიანის და ზარალის მონაცემების შეგროვების და აღრიცხვის კონცეფცია.....23
- გრაფიკი 3. საგანგებო შემთხვევების/საფრთხის შეტყობინების მომწოდებლები საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის.....45
- გრაფიკი 4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კატასტროფების შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის მონაცემების შეგროვების და ჩაწერის კონცეპტუალური გამოსახულება.....49
- გრაფიკი 5. ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის ბაზისური ინდიკატორების ფორმულირების კონცეპტუალური მოდელი.....75

ცხრილები:

- ცხრილი 1. კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების შეგროვების და ჩაწერის პროცესის ეტაპები24
- ცხრილი 2. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვა შესაბამისი ორგანოების მიერ ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე.....40
- ცხრილი 3. UNDRR-ის კლასიფიკატორი.....62
- ცხრილი 4. ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის ინდიკატორების ზოგადი ჩამონათვალი66
- ცხრილი 5. ბუნებრივი კატასტროფების ძირითადი ჯგუფები და ქვეჯგუფები.....70
- ცხრილი 6. ტექნოგენური კატასტროფების ძირითადი ჯგუფები და ქვეჯგუფები.....72
- ცხრილი 7. სამშენებლო მასალების რეგიონებში ტრანსპორტირებით გამოწვეული ხარჯების შემასწორებელი კოეფიციენტები.....97
- ცხრილი 8. საცხოვრებელი შენობების ტაქსონომია.....97
- ცხრილი 9. არასაცხოვრებელი შენობების ტაქსონომია98
- ცხრილი 10. საცხოვრისის და არასაცხოვრისის შიგთავსის/ინვენტარის ღირებულების შესწორების % მაჩვენებლები.....103

დანართები:

დანართი 1. სტიქიით დაზარალებული ოჯახის სოციალური შესწავლის ცხრილი.....	173
დანართი 2. საგანგებო სიტუაციების შეტყობინების ფორმა	174
დანართი 3. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის შედეგების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ.....	176
დანართი 4. უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობა.....	177
დანართი 5. საგანგებო სიტუაციების აღრიცხვის ფორმა.....	178
დანართი 6. ბელგიის ეპიდემიოლოგიისა და კატასტროფის კვლევითი ცენტრის (CRED) და მიუნხენის გადამზღვევი კომპანიის (Munich RE) მიერ შემუშავებული ბუნებრივი კატასტროფების კლასიფიკატორი	180
დანართი 7. გაერთიანებული კვლევითი ორგანიზაციის (IRDR) „მონაცემების პროექტის” სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ შემუშავებული ბუნებრივი ფაქტორებით გამოწვეული საფრთხეების კლასიფიკატორი	182
დანართი 8. EM-DAT-ის ზოგადი კლასიფიკატორი.....	184
დანართი 9. შვეიცარიის გადამზღვევი კომპანიის (Swiss RE) ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების მონაცემთა ბაზის (Sigma) კლასიფიკატორი.....	187
დანართი 10. ზარალის მონაცემთა ბაზების ოპერატორებისთვის შექმნილი კატასტროფების იდენტიფიცირების სისტემის (GLIDE) კლასიფიკატორი.....	188
დანართი 11. DesInventar მონაცემთა ბაზის კლასიფიკატორი.....	189
დანართი 12. INSPIRE დირექტივით განსაზღვრული ბუნებრივი საფრთხეების ზოგადი კლასიფიკატორი.....	190
დანართი 13. საქართველოს მთავრობის დადგენილება საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის განსაზღვრის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.....	191
დანართი 14. ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების კლასიფიკატორი შემოთავაზებული ვარიანტი საქართველოსთვის	203
დანართი 15. კატასტროფის შედეგად მიყენებული პირდაპირი ეკონომიკური ზიანი გლობალურ მთლიან შიგა პროდუქტთან მიმართებაში.....	213
დანართი 16. კატასტროფის შედეგად დაზიანებული კრიტიკული ინფრასტრუქტურა და შეწყვეტილი საბაზისო სერვისები (მ.შ. ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო დაწესებულებები).....	216

დანართი 17. გაეროს კატასტროფის რისკის შემცირების სამსახურის (UNISDR), ბუნებრივი მოვლენის/კატასტროფის შედეგად დაზიანებული და ან განადგურებული შენობა-ნაგებობების ზარალის გამოთვლა.....	219
დანართი 18. დაზიანების ხარისხის შეფასების კატეგორიები.....	220
დანართი 19. შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტების დაზიანების კატეგორიის დადგენის კრიტერიუმები.....	221
დანართი 20. შენობების კლასიფიკაცია და მათი გამოსადეგობის ვადა (ასაკი).....	279
დანართი 21. ადმინისტრაციული ერთეულების სატრანსპორტო ხარჯების ზონები.....	281
დანართი 22. შენობის 1კვ.მ-ზე რესურსების ხარჯის და ღირებულების განსაზღვრა	283
დანართი 23. დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს შენობის ელემენტების ღირებულების პროცენტული წილების შედარება.....	355

აბრევიატურები:

- DRR - კატასტროფის რისკის შემცირების სტრატეგია
- SFDRR - SENDAI-ს კატასტროფის რისკის შემცირების ჩარჩო ხელშეკრულება
- FAO - გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
- UNDRR - გაეროს კატასტროფის რისკის შემცირების სამსახური
- EUSF - ევროკავშირის სოლიდარობის ფონდი
- FEMA - შეერთებული შტატების ფედერალური საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო
- CRED - ბელგიის ეპიდემიოლოგიისა და კატასტროფის კვლევითი ცენტრი
- DAT - საგანგებო კატასტროფების მონაცემთა ბაზა
- Munich RE- მიუნხენის გადამზღვევი კომპანია
- Swiss RE - შვეიცარიის გადამზღვევი კომპანია
- UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა
- GCAA - საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
- IRDR - კატასტროფის რისკის შესახებ გაერთიანებული კვლევითი ორგანიზაცია
- SDG - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნები
- GLIDE - კატასტროფების იდენტიფიცირების სისტემა

JRC - ევროკავშირის გაერთიანებული კვლევითი ცენტრი

Hazus-MH - ფედერალური საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (FEMA)
ტექნიკური სახელმძღვანელო

GIS - გეოგრაფიული მონაცემების სისტემა

შესავალი

თემის აქტუალურობა. ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის, პრობლემების და გამოწვევების ეფექტურად გადაჭრის მიზნით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა კატასტროფის რისკის შემცირების (DRR) სტრატეგია და სამოქმედო გეგმა¹. კატასტროფის რისკის შემცირების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების ერთიანი სისტემის შემუშავება.

ამჟამად არ არსებობს ერთობლივი და სისტემატიზებული მექანიზმი კატასტროფების შედეგად მიყენებული ზარალის მონაცემთა შეგროვების, შედარებისა და ანალიზისთვის, რაც აფერხებს კატასტროფების შემდგომი აღდგენისთვის, ანგარიშგებისთვის ეფექტურ გადაწყვეტილებების მიღებას და მონაცემთა ხელმისაწვდომობას რისკის ანალიზისთვის. გარდა ამისა, ბუნებრივი საფრთხეების და ადამიანური შეცდომების შედეგად მიყენებული ზარალის შეფასების ერთიანი სისტემის არარსებობა ერთგვარი გამოწვევაა საქართველოს მთავრობისთვის შეასრულოს SENDAI-ს ჩარჩო ხელშეკრულება² კატასტროფის რისკის შემცირებისთვის (SFDRR) და ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

აღნიშნული მექანიზმების შემუშავებით გაუმჯობესდება ისეთი საკითხების მართვა, როგორც არის: აღრიცხვა (სტანდარტიზაცია, საერთაშორისო მონაცემთა ბაზებთან შესადარისობა, ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობა და სიზუსტე), კომპენსაცია (სამართლიანი და ეფექტიანი სახელმწიფო დახმარების მექანიზმი, ადგილობრივ საზოგადოებასთან, კერძო სექტორთან და საერთაშორისო თანამეგობრობასთან თანამშრომლობის გამარტივება და სადაზღვევო ბაზრის განვითარება), დასაბუთება/პრიორიტეტიზაცია (დაცვისა და პრევენციული ღონისძიებების საჭიროების შეფასება და საჭირო პრევენციული პოლიტიკის უკეთ არგუმენტირება) და რისკის

¹ http://gov.ge/files/469_59429_120118_4.pdf (ნახვა 1 მარტი, 2021)

² United Nations (UN). Sendai Framework for Disaster Risk Reduction 2015–2030. https://www.preventionweb.net/files/43291_sendaiframeworkfordrren.pdf

მოდელირება (რისკების შეფასების დაზუსტება ადგილობრივი მონაცემების გამოყენებით, არაპირდაპირი ზარალის პროგნოზირებითა და ეკონომიკური მოდელების შემუშავებით).

კატასტროფით გამოწვეული ზარალის სწორად და ერთიანი მეთოდოლოგიით აღრიცხვა და აღდგენითი საჭიროებების შეფასება მნიშვნელოვანია სტიქიის დადგომისას სამოქმედო ნაბიჯების დროულად განხორციელებისთვის და კატასტროფით გამოწვეული შედეგების მაქსიმალურად ეფექტიანად აღმოფხვრისათვის, ასევე, ბუნებრივი კატასტროფების საფრთხეების შეფასებისა და მოდელირებისათვის.

სტანდარტული, უნიფიცირებული მეთოდოლოგიით შეფასებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფებით დამდგარი ზარალის მონაცემები ხელს შეუწყობს „საქართველოს საფრთხეების შეფასების 2020-2023 წ.წ. დოკუმენტში“ იდენტიფიცირებული - საქართველოს წინაშე მდგარი ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების რისკის (წყალდიდობების და წყალმოვარდნების საფრთხე, მეწყერულ-გრავიტაციული და ღვარცოფული მოვლენების საფრთხე, ბიოლოგიური საფრთხეები, მიწისძვრების საფრთხე, სეტყვის საფრთხე, ზვავების საფრთხე, ძლიერი ქარების საფრთხე, ტყის და ველის ხანძრების საფრთხე, ქიმიური საფრთხეები, წყლისმიერი ეროზიული პროცესების საფრთხე, გვალვის საფრთხე, ჰიდროდინამიკური ავარიების საფრთხე და ა.შ.) შემცირებას და შესაძლო ზიანის და დანაკარგის შემსუბუქებას.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების ადმინისტრირების გზამკვლევის შემუშავება ხელს შეუწყობს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს (თვითმმართველობები, სახელმწიფო ორგანოები, არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო სექტორი) შორის კომპეტენციების წინასწარ გამიჯვნას, მაკოორდინირებელი უწყებ(ებ)ის გამოვლენას და კატასტროფების მართვის ეკონომიკური და სოციალური მექანიზმების ჩამოყალიბებას (ფინანსური წყაროების იდენტიფიცირება, სოციალური სოლიდარობის სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენება და ა.შ.).

არსებული პრაქტიკის თანახმად სტიქიური მოვლენების შედეგად დამდგარი ზარალის დათვლისთვის იქმნება კომისია, რომელშიც, როგორც წესი, წამყვან როლს თვითმმართველობა კისრულობს. რიგ შემთხვევებში, სტიქიის დიდი მასშტაბიდან გამომდინარე, ზარალის დათვლაში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და საერთაშორისო ორგანიზაციებიც ერთვება. უნიფიცირებული მეთოდოლოგიის შექმნის აქტუალურობა იმიტაც არის განპირობებული რომ ყოველი შემთხვევის დადგომისას ზემოთ აღნიშნული კომისიები არა სისტემური და მუდმივად ცვალებადი მიდგომით ახდენენ ზარალის შეფასებას.

თემის აქტუალობაზე ასევე მეტყველებს საქართველოში ბოლო 30 წლის განმავლობაში დაფიქსირებული ძალიან დიდი მასშტაბის და კოლოსარულად მძიმე ადამიანური დანაკარგის და ეკონომიკური ზიანის მომტანი სტიქიური მოვლენები. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ 2014-2015 წლებში დაფიქსირებული დევდორაკის მეწყერი (2014 და 2015 წლები) და თბილისის წყალდიდობა (2015 წელი). დევდორაკის მეწყერმა 1 თვის მანძილზე შეაფერხა ერთადერთი მოქმედი ტრანზიტული გზა რუსეთის რესპუბლიკისკენ და გამოიწვია 14 ადამიანის გარდაცვალება და დაახლოებით 120 მლნ ლარის ეკონომიკური ზარალი. თბილისის წყალდიდობის დროს გარდაიცვალა 19, დაკარგულად გამოცხადდა 3, გასახლებულ იქნა 67 და არაპირდაპირ სტიქიური მოვლენა შეეხო 700 ადამიანს; დაზიანდა 40 ერთეული სავალი გზა; ხოლო ეკონომიკურმა ზარალმა შეადგინა 268 მლნ ლარი³. ასევე, 2000 წელს დაფიქსირებული ყველაზე ხანგრძლივი გვალვა (6 თვე), რომელიც შეეხო 700 ათას ადამიანს და მშპ-ს შემცირება გამოიწვია 5.6%-ით⁴. საქართველოში რეგისტრირებული ბუნებრივი მოვლენების რაოდენობის და გამოწვეული ეკონომიკური ზარალის განსხვავებული მონაცემებით, 1991-2015 წლებში, სტიქიური მოვლენების შედეგად გარდაცვლილთა

³ Tbilisi Disaster Needs Assessment. USAID, 2015 <https://reliefweb.int/report/georgia/tbilisi-disaster-needs-assessment-2015>

⁴ Rukhadze Anna, Ina Vachiberidze, and Marina Fandoev. "National Climate Vulnerability Assessment: Georgia. Climate Forum East (CFE) and Georgia National Network on Climate Change. Pg. 6, 2014.

რაოდენობა მერყეობს 65-დან 76-მდე, ხოლო ეკონომიკური ზარალი 1.7⁵ მლრდ ლარიდან 2.7 მლრდ ლარამდე⁶.

სადოქტორო ნაშრომში დეტალურადაა განხილული საზღვარგარეთ და საქართველოში არსებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის მონაცემების შეგროვების და ჩაწერის პრაქტიკა. გაანალიზებულია შესწავლილი პრაქტიკების უპირატესობები და ნაკლოვანებები. ასევე, სიღრმისეულად არის შესწავლილი სხვადასხვა კვლევითი ორგანიზაციების, ქვეყნების თუ კერძო სადაზღვეო კომპანიების მიერ შემუშავებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების კლასიფიკატორები და დამდგარი ზარალის ინდიკატორები. კვლევის შედეგად შემოთავაზებულია საქართველოში დასანერგი კატასტროფების კლასიფიკატორები და დამდგარი ზარალის ინდიკატორები. ამასთან, ნაშრომში წარმოდგენილია ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების საერთაშორისო პრაქტიკა და შემოთავაზებულია ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების მეთოდოლოგია საქართველოში დასანერგად.

კვლევის მიზნები და ამოცანები. კვლევის მიზანია ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფებით დამდგარი ზარალის დათვლის უნიფიცირებული მულტისექტორული მეთოდოლოგიის შექმნა, რაც უზრუნველყოფს ზარალის შესახებ საჭირო ინფორმაციის სრულად და შესადარი ფორმით აღრიცხვა-ანგარიშგებას, აამაღლებს ზარალის შესახებ მონაცემების სანდოობას და მოახდენს შეფასების განხორციელებისას სუბიექტური ფაქტორების მინიმიზაციას.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანებს წარმოადგენს:

- ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების შეგროვების და ჩაწერის საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა;

⁵ The World Bank, Disaster Risk Finance Country Note: Georgia, 2017
<https://documents.worldbank.org/en/publication/documents-reports/documentdetail/929561510329276686/disaster-risk-finance-country-note-georgia>

⁶ Rukhadze Anna, Ina Vachiberidze, and Marina Fandoev. "National Climate Vulnerability Assessment: Georgia. Climate Forum East (CFE) and Georgia National Network on Climate Change. Pg. 5-6, 2014.

- საქართველოში ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების შეგროვების და ჩაწერის მოქმედი პრაქტიკის ანალიზი;
- საზღვარგარეთ და საქართველოში ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების შეგროვების და ჩაწერის არსებული მიდგომების ნაკლოვანებების და უპირატესობების გამოვლენა;
- საზღვარგარეთ მოქმედი ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების კლასიფიკატორების და დამდგარი ზარალის ინდიკატორების ანალიზი;
- ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების საქართველოში არსებული კლასიფიკატორების და დამდგარი ზარალის ინდიკატორების შესწავლა და საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად და ქვეყნის საჭიროებებს მორგებული კატასტროფების კლასიფიკატორის და დამდგარი ზარალის ინდიკატორების შემუშავება;
- ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების საერთაშორისო პრაქტიკის (მიდგომების და მეთოდოლოგიების) ანალიზი;
- ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება საქართველოში დასანერგად.

კვლევის საგანი და ობიექტი. სადოქტორო ნაშრომის კვლევის საგანია ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების შეგროვების და ჩაწერის პრაქტიკის, საზღვარგარეთ მოქმედი კატასტროფის კლასიფიკატორის და დამდგარი ზარალის ინდიკატორების, საერთაშორისო და კვლევითი ორგანიზაციების მიერ შემუშავებული დამდგარი ზიანის და დანაკარგის შეფასების მეთოდოლოგიების შესწავლის საფუძველზე საქართველოს საჭიროებებზე მორგებული კატასტროფების კლასიფიკატორის, დამდგარი ზარალის ინდიკატორების

და ზარალის შეფასების მულტისექტორული მეთოდოლოგიის შემუშავება. **კვლევის ობიექტს** წარმოადგენს ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების შეგროვების და ჩაწერის პრაქტიკა, კატასტროფების კლასიფიკატორები და დამდგარი ზარალის ინდიკატორები, ასევე, დამდგარი ზიანის და დანაკარგის შეფასების მეთოდოლოგიები.

კვლევის მეცნიერული სიახლე. სადოქტორო ნაშრომის კვლევის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს:

- ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების და ადმინისტრირების პირველი მონოგრაფიული კვლევის ჩატარება საქართველოში;
- საქართველოს მაგალითზე ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების კლასიფიკატორის შემუშავება;
- საქართველოს მაგალითზე ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის ინდიკატორების განსაზღვრა;
- საქართველოს მაგალითზე ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების მულტისექტორული (საცხოვრისი და არასაცხოვრისი შენობა-ნაგებობები; საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა; ენერგეტიკა; განათლება; კულტურა; ჯანმრთელობის დაცვა და სოფლის მეურნეობა) მეთოდოლოგიის შექმნა.
- საერთაშორისოდ აღიარებული კატასტროფის კლასიფიკატორების, დამდგარი ზარალის ინდიკატორების და კატასტროფის შედეგად გამოწვეული ზარალის შეფასების მეთოდოლოგიების კრიტიკული ანალიზი.

კვლევის შედეგები. კვლევის ძირითადი შედეგებიდან შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი:

- გაანალიზებულია საერთაშორისოდ მოქმედი ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების კლასიფიკატორები და დამდგარი ზარალის ინდიკატორები;

- სიღრმისეულადაა შესწავლილი ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების საერთაშორისოდ აღიარებული სხვადასხვა საერთაშორისო და კვლევითი ორგანიზაციის და ქვეყნების გზამკვლევები, მიდგომები და მეთოდოლოგიები;
- გამოვლინდა, რომ გაეროს კატასტროფის რისკის შემცირების სამსახურის მიერ გამარტივებულ DaLA⁷-ს სახელმძღვანელოს დეტალური შესწავლის შედეგად, შენობა-ნაგებობების დაზიანებით ან დაზარალებული გამოწვეული ზარალის შეფასების ფორმულაში მოცემული ცვლადი (მშენებლობის კვადრატული ღირებულება) საჭიროებს განმარტებას. წინააღმდეგ შემთხვევაში შენობა-ნაგებობების დაზიანებით ან დაზარალებული გამოწვეული ზარალის შეფასების ფორმულა არაა მართებული. ამასთან, გამოვლინდა, რომ გამოთვლით ფორმულაში გათვალისწინებული არაა მშენებლობის ღირებულების რეგიონული ფაქტორი, შენობა-ნაგებობის გამოსადეგობის ვადა (ასაკი) და სხვა ელემენტები, რომლებიც გამოყენებულია საქართველოს მაგალითზე დეტალური შეფასების მეთოდოლოგიაში.
- საქართველოს სპეციფიკიდან და არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე, გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობისთვის მიყენებული ზარალის შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილ გამოთვლით ფორმულებს დაემატა მნიშვნელოვანი დეტალები და გარკვეული კორექტირებები იქნა შეტანილი. მაგალითად, ჩვენს მიერ მხედველობაში იქნა მიღებული ბუნებრივი მოვლენა/კატასტროფა სეზონის რა პერიოდში ხდება. ასევე, გათვალისწინებულია ნათესი ფართობის სრულად განადგურების შემთხვევაში ფერმერს რომ აღარ მოუწევს დაგეგმილი ხარჯების გაღება და სხვა.

⁷ გაერთიანებული ერების კარიბის და ლათინო ამერიკის ეკონომიკური კომისიის მიერ შექმნილ კატასტროფით გამოწვეულ სოციალურ-ეკონომიკური ზარალის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების სახელმძღვანელო

- საქართველოსთვის შემოთავაზებული კლასიფიკატორი დაიყო ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფებად, რომელთაგან ბუნებრივი კატასტროფები ხუთ ძირითად ჯგუფში გადანაწილდა. კერძოდ, გეოლოგიურ/ჰიდროლოგიური კატასტროფები; მეტეოროლოგიურ/კლიმატოლოგიური კატასტროფები; ხანძრები, კოსმიური და ბიოლოგიური კატასტროფები. ძირითადი ჯგუფის კატასტროფები დაჯგუფდა 20 ქვეჯგუფის კატასტროფად, რომელშიც გაერთიანდა 77 ბუნებრივი საფრთხე. რაც შეეხება ტექნოგენურ კატასტროფებს, იგი დაიყო ექვს ძირითადი ჯგუფის კატასტროფად. კერძოდ, სატრანსპორტო ავარია (კატასტროფა); აფეთქება და ხანძარი; სამრეწველო ავარია; გარემოს დაბინძურება სამრეწველო საქმიანობით და წიაღის მოპოვებით; ინჟინრული კონსტრუქციებისა და შენობა-ნაგებობების ჩამოშლა (ავარია/დანგრევა) და ბაზისური და კრიტიკული ინფრასტრუქტურის შეჩერება. თავის მხრივ, აღნიშნული ექვსი ძირითადი ჯგუფის კატასტროფები დაიყო 39 ქვეჯგუფის კატასტროფად და მასში გაერთიანდა 81 საფრთხე.
- საქართველოს მაგალითზე შემუშავდა ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების მეთოდოლოგია შემდეგი სექტორებისთვის:
 - საცხოვრისი და არასაცხოვრისი შენობა-ნაგებობები;
 - საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა:
 - ენერგეტიკა;
 - განათლება;
 - კულტურა;
 - ჯანმრთელობის დაცვა;
 - სოფლის მეურნეობა.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. სადოქტორო ნაშრომის კვლევის შედეგების თეორიული და პრაქტიკული მიგნებები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების, სადაზღვეო კომპანიების და სფეროში მოღვაწე პრაქტიკოსი მუშაკების მიერ მიმდინარე აქტუალური

საკითხების გადაწყვეტისას. სადოქტორო ნაშრომის კვლევის შედეგები შესაძლებელია საფუძვლად დაედოს სფეროში დამატებით კვლევებს.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების სტანდარტიზებული მეთოდოლოგიის შემუშავებით გაუმჯობესდება ისეთი საკითხების მართვა, როგორც არის: აღრიცხვა-სტანდარტიზაცია, საერთაშორისო მონაცემთა ბაზებთან შესადარისობა, ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობა და სიზუსტე. შესაძლებელი იქნება ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების და SENDAI-ს ჩარჩო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

კატასტროფით გამოწვეული ზარალის სწორად და ერთიანი მეთოდოლოგიით აღრიცხვა გაუმჯობესებს პრევენციული ღონისძიებების საჭიროების შეფასებას, შესაბამისი ბიუჯეტის დაგეგმვას და პრევენციის პოლიტიკის უკეთ არგუმენტირებას.

სტანდარტული, უნიფიცირებული მეთოდოლოგიით შეფასებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფებით დამდგარი ზარალის მონაცემები ხელს შეუწყობს „საქართველოს საფრთხეების შეფასების 2020-2023 წ.წ. დოკუმენტში“ იდენტიფიცირებული - საქართველოს წინაშე მდგარი ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირებას და შესაძლო ზიანის და დანაკარგის შემსუბუქებას.

დამდგარი ზარალის სიღრმისეული ანალიზი საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ კატასტროფის რისკების მართვის არსებული პრაქტიკის ნაკლოვანებები და სისტემის რეფორმირების შესაძლებლობები. ასევე, დაინტერესებულ მხარეებს (სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, კვლევით ინსტიტუტებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და სხვა) დაეხმარება მოიპოვონ ინფორმაცია დანახარჯის ეფექტიანობაზე და კატასტროფის პრევენციით ან მისგან დაცვით მიღებულ სარგებელზე. ზოგიერთ შემთხვევაში, დამდგარი ზიანი და დანაკარგი დაუდევარი ქმედების შედეგად არის გამოწვეული. შესაბამისად, ცალკეული შემთხვევების სიღრმისეული ანალიზი საშუალებას მისცემს მათ განსაზღვრონ პასუხისმგებლობის ზონები. ამასთან, დამდგარი ზარალის სიღრმისეული ანალიზი საშუალებას მისცემს მათ შეაფასონ რამდენად

თანაბრად არის გადანაწილებული კატასტროფის რისკის შემცირებაზე გაწეული ხარჯები.

კატასტროფის შედეგად გამოწვეული ზარალის მონაცემების სისტემატური შეგროვება, დამატებით ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებისა, საშუალებას მისცემს რელევანტურ სამთავრობო უწყებებს, კერძო სადაზღვეო კომპანიებს და კვლევით ინსტიტუტებს შეიმუშაონ (კალიბრირება მოახდინონ) ზიანისა და დანაკარგის შეფასების მოდელები. აღნიშნული კი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალით გამოწვეული მოკლევადიანი და გრძელვადიანი ეკონომიკური შოკების და სოციალური მდგომარეობის შესაფასებლად და სტიქიის შედეგად დაზარალებულთა კომპენსაციის (ანაზღაურების) მოცულობის გამოსათვლელად.

კომპენსაციის მოცულობის გამოთვლა თავის მხრივ ხელს შეუწყობს სამართლიანი და ეფექტიანი სახელმწიფო დახმარების მექანიზმის ჩამოყალიბებას, გაამარტივებს თანამშრომლობას ადგილობრივ საზოგადოებასთან, კერძო სექტორთან და საერთაშორისო თანამეგობრობასთან. ასევე, განავითარებს სადაზღვეო ბაზარს.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალი შესაძლოა მიადგეს ნებისმიერ სექტორს. დღეის მდგომარეობით, მხოლოდ გარემოსდაცვითი ზარალის შეფასება (ტექნიკური გამოთვლა) რეგულირდება საკანონმდებლო დონეზე. შესაბამისად, ჩვენს მიერ შემუშავებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების მულტისექტორული სტანდარტიზებული მეთოდოლოგია მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კატასტროფის შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებაში.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 159 გვერდს. იგი შედგება შესავლის, სამი თავის, ექვსი ქვეთავის, დასკვნისა და წინადადებების ნაწილებისგან. ნაშრომს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა 92 დასახელებით და დანართები 182 გვერდის მოცულობით.

სადოქტორო ნაშრომის პირველი თავი - ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების შეგროვების და ჩაწერის პრაქტიკა (36 გვერდის მოცულობით) შედგება ორი ქვეთავისგან:

- საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი;
- კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების შეგროვების და ჩაწერის არსებული პრაქტიკა საქართველოში.

სადოქტორო ნაშრომის პირველ თავში შესწავლილია ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების შეგროვების და ჩაწერის საზღვარგარეთ და საქართველოში მოქმედი პრაქტიკები. ანალიზის შედეგად გამოვლენილია შესწავლილი პრაქტიკების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

სადოქტორო ნაშრომის მეორე თავი - ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების კლასიფიკატორები და დამდგარი ზარალის ინდიკატორები (29 გვერდის მოცულობით) შედგება ორი ქვეთავისგან:

- ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების საზღვარგარეთ მოქმედი კლასიფიკატორები და დამდგარი ზარალის ინდიკატორები;
- კლასიფიკატორის შემუშავების და დამდგარი ზარალის ინდიკატორების განსაზღვრის თავისებურებები საქართველოში.

მეორე თავში სიღრმისეულად არის განხილული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების საზღვარგარეთ მოქმედი კლასიფიკატორები და დამდგარი ზარალის ინდიკატორები. გაანალიზებულია საერთაშორისო, კვლევითი ორგანიზაციების და კერძო სადაზღვეო კომპანიების მიერ შემუშავებული კატასტროფების / ბუნებრივი მოვლენის კლასიფიკატორები და დამდგარი ზარალის ინდიკატორები. ასევე შესწავლილია საერთაშორისოდ აღიარებული მონაცემთა ბაზები. ანალიზის შედეგად გამოვლენილია შესწავლილი მონაცემთა ბაზების და მათ მიერ გამოყენებული კლასიფიკატორების დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამავე დროს, მეორე თავში სიღრმისეულად არის გადმოცემული საქართველოს მაგალითზე

შემუშავებული კლასიფიკატორის და დამდგარი ზარალის ინდიკატორების განსაზღვრის თავისებურებები.

სადოქტორო ნაშრომის მესამე თავი - ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების მეთოდოლოგია და ადმინისტრირება საქართველოს მაგალითზე (73 გვერდის მოცულობით) შედგება ორი ქვეთავისგან:

- ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების საერთაშორისო პრაქტიკა;
- ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების შემუშავებული მეთოდოლოგია საქართველოში დასანერგად.

სადოქტორო ნაშრომის მესამე თავში კრიტიკულად არის გაანალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციების და კვლევითი ცენტრების მიერ შემუშავებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების მეთოდოლოგიები, გზამკვლევები და მიდგომები. ანალიზის შედეგად გამოვლენილ იქნა სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ კონკრეტულ სფეროებში შემოთავაზებული ზარალის გამოთვლით ფორმულებში არსებული ნაკლოვანებები. ამასთან, მესამე თავში წარმოდგენილია ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების შემუშავებული მეთოდოლოგია საქართველოში დასანერგად შემდეგი სექტორებისთვის: საცხოვრისი და არასაცხოვრისი შენობა-ნაგებობები; საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა; ენერგეტიკა; განათლება; კულტურა; ჯანმრთელობის დაცვა და სოფლის მეურნეობა.

სადოქტორო ნაშრომის დანართში წარმოდგენილია:

- საქართველოში საგანგებო სიტუაციის აღრიცხვის ფორმა;
- საერთაშორისო ორგანიზაციების, კვლევითი ცენტრების, საერთაშორისო და სადაზღვეო კომპანიების მონაცემთა ბაზების მიერ გამოყენებული კატასტროფის კლასიფიკატორები;

- საქართველოს მაგალითზე შემოთავაზებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების კლასიფიკატორი;
- საქართველოს მაგალითზე შენობა-ნაგებობების დაზიანების ხარისხის შეფასების კატეგორიები;
- საქართველოს მაგალითზე შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტების დაზიანების კატეგორიის დადგენის კრიტერიუმები;
- საქართველოს მაგალითზე შენობების კლასიფიკაცია და მათი გამოსადეგობის ვადა (ასაკი);
- საქართველოს მაგალითზე ადმინისტრაციული ერთეულების სატრანსპორტო ხარჯების ზონები;
- საქართველოს მაგალითზე შენობა-ნაგებობების ერთეულის (ერთი მ²) ღირებულება მიმდინარე ფასებში, შენობის ტიპის მიხედვით, 2019 წლის ფასებში.
- და სხვა

თავი I. ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების შეგროვების და ჩაწერის პრაქტიკა

1.1 საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის⁸ (ადამიანური, ფიზიკური, ეკონომიკური, სოციალური და გარემოზე ზეგავლენა) აღრიცხვა ეს არის, ეროვნულ დონეზე, სისტემატური, შეუქცევადი და კოორდინირებული პროცესის შედეგი.

მსოფლიოში არსებული პრაქტიკაზე დაყრდნობით, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზიანის⁹ და დანაკარგის¹⁰ მონაცემების შეგროვებასთან და ჩაწერასთან დაკავშირებით, შეგვიძლია გამოვყოთ ორი საკითხი: კონკრეტული შემთხვევების ზარალის შეფასების მნიშვნელობა და საგრძნობი ზიანის და დანაკარგის მომტანი კატასტროფების შეფასების სისტემატური წარმოება.

კონკრეტული შემთხვევის შედეგად (სხვა შემთხვევებისგან იზოლირებულად) დამდგარი ზარალის სიღრმისეული ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს კატასტროფის რისკების მართვის არსებული პრაქტიკის ნაკლოვანებები და სისტემის რეფორმირების შესაძლებლობები. ასევე, გვეხმარება შევაგროვოთ ინფორმაცია დანახარჯის ეფექტიანობაზე და კატასტროფის პრევენციით ან მისგან დაცვით მიღებულ სარგებელზე. ზოგიერთ შემთხვევაში, დამდგარი ზიანი და დანაკარგი დაუდევარი ქმედების შედეგად არის გამოწვეული. შესაბამისად, ცალკეული შემთხვევების სიღრმისეული ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ პასუხისმგებლობის ზონები. ამასთან, გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ რამდენად თანაბრად არის გადანაწილებული, კატასტროფის რისკის შემცირებაზე გაწეული ხარჯები, მათზე ვინც მეტწილად ისარგებლა დახარჯული თანხებით.

კატასტროფის შედეგად გამოწვეული ზარალის მონაცემების სისტემატური შეგროვება, დამატებით ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებისა, საშუალებას იძლევა

⁸ კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალი არის კატასტროფის შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის ერთობლიობა.

⁹ ზიანი ესაა ფიზიკური ფორმით გამოხატული ზარალი.

¹⁰ დანაკარგი ესაა ზარალის ყველა ფორმა გარდა ფიზიკური ზარალისა.

შემუშავებულ (კალიბრირებულ) იქნას ზიანისა და დანაკარგის შეფასების მოდელები. აღნიშნული კი, განვითარებულ ქვეყნებში, ფართოდ გამოიყენება კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალით გამოწვეული მოკლევადიანი და გრძელვადიანი ეკონომიკური შოკების და სოციალური მდგომარეობის შესაფასებლად. გარდა ამისა, ძალზედ ხელსაყრელია მსგავსი შემთხვევების შესადარებლად, რომლებსაც ადგილი ქონდა ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიაზე ან ერთი და იგივე გეოგრაფიულ ადგილზე. ამასთან, იმ ქვეყნებში¹¹ სადაც ხდება მონაცემების უწყვეტი შეგროვება, მიღებული ინფორმაცია გამოიყენება ზარალის ტენდენციის შესაფასებლადაც.

ევროკავშირის გაერთიანებული კვლევითი ცენტრის კვლევის¹² მიხედვით, ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმეტესობა რომელიც აწარმოებს ქვეყანაში ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის მონაცემების შეგროვებას, თავდაპირველ ეტაპზე ამ მონაცემებს იყენებდა სამი მიმართულებით: სტატისტიკის შეგროვებისთვის, სიღრმისეული ანალიზისთვის და რისკების მოდელირებისათვის. თუმცა, დღეის მდგომარეობით, ზოგიერთ განვითარებულ ქვეყნებში, კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემთა ბაზებს იყენებენ სტიქიის შედეგად დაზარალებულთა კომპენსაციის (ანაზღაურების) მოცულობის გამოსათვლელადაც (მაგ. ბელგია)¹³.

განვითარებულ ქვეყნებში, კომპენსაციის ურთიერთშემავსებელ მიდგომას წარმოადგენს სამართლიანი და ეფექტური სოლიდარობის მექანიზმი და ეფექტიანი სადაზღვევო ბაზარი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროკავშირში არსებული ზარალის მონაცემთა ბაზების უმეტესობა ეფუძნება კატასტროფის შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის ანაზღაურების მოთხოვნისთვის წარდგენილი განაცხადების მონაცემებს. ევროკავშირის სოლიდარობის ფონდი (EUSF)¹⁴, რომლის წლიური ბიუჯეტი

¹¹ ევროკავშირის წევრი ქვეყნები, აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი და სხვა

¹² De Grove, T., K. Poljansek, and D. Ehrlich. Recording Disaster Losses. Recommendations for a European Research. JRC Scientific and Policy Reports. Joint Research Centre, European Commission, p. 2, 13-15, 2013.

¹³ Bruggeman, Véronique, and Michael Faure. The Compensation for Victims of Disasters in Belgium, France, Germany, and the Netherlands. The Netherlands Scientific Council for Government Policy (WRR). Working Papers 30, p. 17-35, 2018. <https://english.wrr.nl/publications/working-papers/2018/10/10/wp30>

¹⁴ EU Regulation No 661/2014 of the European Parliament and of the Council. Amending Council Regulation (EC) No 2012/2002 establishing the European Union Solidarity Fund, 15 May 2014. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32014R0661>

შეადგენს 500 მლნ. ევროს, ზარალის ანაზღაურებისთვის ზიანის და დანაკარგის შეფასებას ითხოვს კონკრეტული დროის პერიოდში. ევროკავშირის სოლიდარობის ფონდიდან გამოყოფილი ფინანსური დახმარების მოცულობა კი დამოკიდებულია კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის სიდიდეზე და კომპენსაციის ზედა ზღვარზე.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის მონაცემების შეგროვება ძალიან კომპლექსური და მნიშვნელოვანი პროცესია¹⁵. მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, არ არსებობს საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული განმარტებები¹⁶ ან მონაცემების ჩაწერის მიდგომები¹⁷, შესაბამისად ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სახეზეა მონაცემთა ბაზების შესადარისობის და სანდოობის პრობლემა. აღსანიშნავია, რომ ცალკეული ორგანიზაციები (სადაზღვეო კომპანიები¹⁸ და კვლევითი ინსტიტუტები¹⁹) აგროვებენ კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემებს, მაგრამ ეს ბაზები ბოლომდე თანხვედრაში არ არიან ეროვნულ დონეზე ზარალის მონაცემებთან.

საერთაშორისო დონეზე, ზარალის მონაცემთა შეგროვების კარგ პრაქტიკას წარმოადგენს შეერთებული შტატების ფედერალური საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (FEMA) მიერ დანერგილი, განზოგადებული ინსტრუმენტი ზარალის მონაცემთა შეგროვებისთვის. გამომდინარე იქიდან რომ FEMA-ს მიდგომა არის ზოგადი, მისი გამოყენება ქვეყნის დონეზე გარკვეულ შეზღუდვებთანაა დაკავშირებული. კერძოდ, აღნიშნული მიდგომა მოიცავს: ზარალის შეფასების (სექტორების მიხედვით - საცხოვრისი, ბიზნესი, საზოგადოებრივი ობიექტები, სოფლის მეურნეობა და სხვა), ზიანის და დანაკარგის დათვლის, დაზიანებული ინფრასტრუქტურის შეფასების ზოგად

¹⁵ Fakhruddin, B., Murray, V and Maini, R. Disaster loss data in monitoring the implementation of the Sendai Framework. International Council for Science and Integrated Research on Disaster Risk, Disaster Risk Reduction Policy Brief for the 2017 Global Platform for Disaster Risk Reduction, Cancun Mexico, 2017.

¹⁶ De Groeve, T., K. Poljansek, D. Ehrlich, and C. Corbane. Current status and best practices for disaster loss data recording in EU member states: a comprehensive overview of current practice in the EU member states. JRC Scientific and Policy Reports. Joint Research Centre, European Commission, p. 2, 14, 2014.

¹⁷ Moriyama, K., Daisuke S., and Yuichi O. Comparison of global databases for disaster loss and damage data. Journal of Disaster Research 13(6):1007-1014 · November 2018.

¹⁸ <https://www.munichre.com/en/solutions/for-industry-clients/natcatservice.html> (ნახვა, 15 მარტი 2020)

¹⁹ ლონდონის მიდლსექს უნივერსიტეტი (London Middlesex University) <https://www.mdx.ac.uk/our-research/centres/flood-hazard>

ფორმებს. შესაბამისად, ზიანის და დანაკარგის ეროვნულ დონეზე შესაფასებლად საჭიროა არა განზოგადებული არამედ კონკრეტულად ქვეყნის საჭიროებაზე (ინტერესზე) მორგებული მიდგომები და ფორმები.

რაც შეეხება მონაცემების ჩაწერის მიდგომას/მეთოდოლოგიას, მონაცემების უნიფიცირების მიზნით, გაეროს კატასტროფის რისკის შემცირების სამსახურმა (UNDRR), ევროკავშირის დაფინანსებით, შეიმუშავა, კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის, ეროვნული ბაზების შექმნის სახელმძღვანელოები კატასტროფების ინვენტარიზაციის სისტემის (DesInventar²⁰) მეთოდოლოგიის გამოყენებით. თუმცა, აღნიშნულ ინიციატივასაც იგივე პრობლემა აქვს რაც ზოგადად მონაცემების შესადარისობას და სანდოობას უკავშირდება. კერძოდ, გაერთიანებულ მონაცემთა ბაზაში შემავალი ქვეყნების ტერმინოლოგიები არასტანდარტიზებულია, განსხვავებულია განმარტებები და მონაცემების შეგროვების მიზნებიც სხვადასხვაა.

მონაცემების უნიფიცირების მიზნით, გარდა UNDRR-ის მიდგომისა, კიდევ არსებობს საერთაშორისო, რეგიონული და ევროკავშირის ქვეყნებისთვის შექმნილი, კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების ჩაწერის განზოგადებული მიდგომები. კერძოდ:

- მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის და ბელგიის მთავრობის მხარდაჭერით, ბელგიის ეპიდემიოლოგიისა და კატასტროფის კვლევითი ცენტრის (CRED) მიერ, 1988 წელს, შექმნილი საგანგებო კატასტროფების მონაცემთა ბაზა²¹ (The Emergency Disasters Data Base - EM-DAT);
- მიუნხენის გადამზღვევი კომპანიის (Munich RE) ბუნებრივი კატასტროფის მონაცემთა ბაზა²² (NatCat), რომელიც, 1980 წლიდან, აერთიანებს მსოფლიოში 70-ზე მეტი ქვეყნის ბუნებრივი კატასტროფის შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის მონაცემებს;

²⁰ Desinventar – ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების რეგისტრი. 1994 წელს, აღნიშნული მონაცემთა ბაზა შეიქმნა სამხრეთ ამერიკის და აზიის ქვეყნებისთვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კატასტროფის შემცირების საერთაშორისო სტრატეგიის ფარგლებში განსაზღვრული მხარდაჭერით <https://www.desinventar.org/en/desinventar.html> (ნახვა, 15 მარტი 2020)

²¹ <https://www.emdat.be/> (ნახვა, 4 აპრილი 2020)

²² <https://www.munichre.com/en/solutions/for-industry-clients/natcatservice.html> (ნახვა, 4 აპრილი 2020)

- შვეიცარიის გადამზღვევი კომპანიის (Swiss RE) ბუნებრივი კატასტროფის მონაცემთა ბაზა²³ (Sigma), რომელიც, 1968 წლიდან, აერთიანებს მსოფლიოში 100-ზე მეტი ქვეყნის ადამიანური და ბუნებრივი კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემებს.

აღსანიშნავია, რომ გლობალური მონაცემთა ბაზის შექმნის თითოეულ მიდგომას თან სდევს თავისი სპეციფიკური გამოწვევები, როგორცაა მონაცემთა ხარისხის კონტროლი, მეთოდოლოგიის²⁴ სტანდარტიზაცია (რის გამოც სხვადასხვა მონაცემთა ბაზების შესადარისობის პრობლემა დგება), მონაცემთა ბაზის მართვა, გეოგრაფიული დაფარვის მოცულობა და სხვა²⁵. ზემოაღნიშნული გლობალური მონაცემთა ბაზები ეყრდნობა ქვეყნების დონეზე, სახელმწიფო ორგანიზაციებიდან და კვლევითი ინსტიტუტებიდან მოპოვებულ სტატისტიკას. მაგალითად, "EM-DAT" მონაცემთა ბაზა იყენებს აზიის კატასტროფის შემცირების ცენტრის (the Asian Disaster Reduction Centre) მონაცემების შეგროვების სტანდარტიზებულ მეთოდს. ხოლო "DesInventar" მონაცემთა ბაზა იყენებს UNDRR და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ შემუშავებულ მიდგომას. გლობალური მონაცემთა ბაზის შექმნა გულისხმობს მონაცემების შეგროვების გარკვეული მინიმალური ზღვარის შემოღებას (რის გამოც მცირე ზომის კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალი შესაძლოა არ მოხვდეს ასეთ მონაცემთა ბაზებში), რათა გაადვილდეს საერთაშორისო დონეზე მონაცემების შეგროვება. მაგრამ ამავე დროს ზღუდავს ქვეყნის და მუნიციპალურ დონეზე მათი გამოყენების შესაძლებლობას. მაგალითად, "DesInventar" მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის ასახვას წინაპირობები არ აქვს, რადგან მისი მიზანია, მაქსიმალურად მოახდინოს, მსოფლიოში, კატასტროფების შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის მონაცემების (მათ შორის მცირე მოვლებისაც კი²⁶) შეგროვება. ხოლო "EM-DAT" მონაცემთა ბაზის მინიმალური ზღვარი²⁷

²³ <https://www.swissre.com/institute/research/sigma-research/data-explorer.html> (ნახვა, 4 აპრილი 2020)

²⁴ Gall, M., Borden, K. A., and Cutter, S. L. When do losses count? Six fallacies of natural hazards loss data. Bulletin of the American Meteorological Society, 90(6), p. 799-809., 2009.

²⁵ Gunawan, O., and Aldridge T., "Disaster Loss Data Management in Scotland ", Science Division of the Health and Safety Executive, Report #DMS/2018/01., 2018.

²⁶ Organisation for Economic Co-operation and Development (OECD). Joint Expert Meeting on Disaster Loss Data: Improving the Evidence Base on the Costs of Disasters – Key Findings from an OECD Survey, Paris 26-28 October 2016. <http://www.oecd.org/gov/risk/joint-expert-meeting-on-disaster-loss-data.htm> (ნახვა, 4 აპრილი 2020).

²⁷ <https://www.emdat.be/frequently-asked-questions> (ნახვა, 4 აპრილი 2020)

უზრუნველყოფს მხოლოდ დიდი მასშტაბის კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის რეგისტრაციას.

ზემოაღნიშნული გლობალური მონაცემთა ბაზების მნიშვნელოვანი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანური და ბუნებრივი ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასებისას გამოყენებული ინდიკატორების და ტერმინოლოგიების (მაგალითად გადასახლებული, უსახლკაროდ დარჩენილი, ევაკუირებული და დაზარალებული ადამიანები) განმარტებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. ამასთან, შეგროვებული მონაცემები ყველასთვის ხელმისაწვდომი არაა. კერძოდ, "EM-DAT" და "DesInventar" მონაცემთა ბაზები საჯაროა, ხოლო "NatCat" და "Sigma" მონაცემთა ბაზები კერძო საკუთრებაშია.


განვითარებულ ქვეყნებში, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების ჩაწერის და სტატისტიკის წარმოების, გავრცელებული პრაქტიკა გულისხმობს სამ საფეხურიან პროცესს. კერძოდ: პირველი, მონაცემების შეგროვებამდე წინასწარ ისაზღვრება თუ რა მიზანს ემსახურება აღნიშნული პროცესი და რა უნდა იცოდეს (შეჯამებული ინფორმაციის სახით) გადაწყვეტილების მიმღებმა; მეორე, მას შემდეგ რაც, განისაზღვრება გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო მოთხოვნები, ზუსტდება თუ რა ინფორმაცია უნდა იქნას შეგროვებული (ყალიბდება მონაცემების ბაზის კონცეფცია); მესამე, შესაგროვებელი ინფორმაციის მისაღებად ხდება სახელმწიფოს ხელთ არსებული მონაცემთა ბაზების ერთმანეთთან დაკავშირება და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების შეგროვების პროცესის განსაზღვრა (იხ გრაფიკი 1).

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის მონაცემთა ბაზა საშუალებას უნდა იძლეოდეს პასუხი გაეცეს შემდეგ ძირითად კითხვებს:

- რომელ მუნიციპალიტეტში და გეოგრაფიულ ზონაში მოხდა შემთხვევა (კატასტროფა)?
- რა საფრთხეების და რისკების შექმნა შეუძლია კატასტროფის შედეგად დამდგარ ზარალს?

- როგორი ტენდენციით ხასიათდება კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალი სხვადასხვა სექტორში (მაგ. ინფრასტრუქტურა)?
- რომელი სექტორი გამოირჩევა კატასტროფის მიმართ მოწყვლადობით?
- რომელი ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული კატასტროფების შედეგად ადგება ქვეყანას დიდი ეკონომიკური დანაკარგი?
- რომელი სახის აქტივები ზიანდება კატასტროფის შედეგად?
- რა მოცულობისაა ზიანი და დანაკარგი?

გრაფიკი 1. გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო მოთხოვნების ჩამოყალიბების შედეგად მონაცემთა მოდელის და შესაგროვებელი მონაცემების განსაზღვრის პროცესი



მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკით, უმეტესწილად, კატასტროფების შედეგად დამდგარი ზიანისა და დანაკარგის მონაცემების შეგროვება და ჩაწერა ერთიდაიმავე უწყების მიერ ხდება. მონაცემების შეგროვებას და ჩაწერას, შესაბამის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობილი, ორი ეტაპი გააჩნია²⁸:

- მონაცემების შეგროვება ველზე;

²⁸ Ríos Díaz, F., Marín Ferrer, M., Eugen Antofie, T., Luoni, S., and Faiella, A. Update to the Disaster Risk Management Knowledge Centre loss database architecture for disaster risk management. JRC Scientific and Policy Reports. Joint Research Centre, European Commission, 2018.

- მონაცემების დამუშავება, შეჯამება და ინფორმაციის ჩაწერა.

მონაცემების შეგროვების მეთოდოლოგია და მონაცემების დამუშავების, შეჯამების და შენახვის მეთოდოლოგია წარმოადგენს ორ თანამიმდევრულ პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზის ხარისხიანობას, სანდოობას და გამჭირვალობას. ორივე მეთოდოლოგია მონაცემთა ბაზის კონცეფციას ეფუძნება (იხ. გრაფიკი 2).

გრაფიკი 2. კატასტროფის შედეგად დამდგარი ზიანის და ზარალის მონაცემების შეგროვების და აღრიცხვის კონცეფცია



კატასტროფის შედეგად გამოწვეული ზარალის მონაცემების შეგროვების მეთოდოლოგია განსაზღვრავს დროს, საშუალებებსა და მონაწილეებს. მონაცემების დამუშავების, შეჯამების და ინფორმაციის ჩაწერის მეთოდოლოგია განმარტავს, თუ როგორ უნდა მოხდეს მონაცემთა შენახვა საველე მონაცემების შეგროვების შემდეგ. კერძოდ, მონაცემების ეფექტური ანალიზისთვის, ისინი წინასწარ შემუშავებული (სტანდარტიზებული) ფორმატებისა და ველების მიხედვით უნდა იყვნენ განთავსებულნი მონაცემთა ბაზაში, რაც გულისხმობს თითოეული შემფასებლისგან მიღებული ინფორმაციის ჩაწერას სისტემურ ფორმატში და მის ორგანიზებას ერთ საერთო სტრუქტურირებულ მონაცემთა ბაზაში. აღნიშნული მონაცემების შეგროვების და ჩაწერის მეთოდი ძალიან სწორხაზოვანია იმ მიდგომებთან შედარებით, რომლებიც დაფუძნებულია მედია საშუალებებიდან, სატელიტური აპარატებიდან²⁹ (დისტანციური ზონდირების ტექნოლოგიები) და არასამთავრობო/კერძო ორგანიზაციებიდან (მაგ. კვლევითი ინსტიტუტები და სადაზღვეო კომპანიები) მონაცემების შეგროვებასა და აღრიცხვაზე.

კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების შეგროვებისა და ჩაწერის დროს მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მსოფლიოში აპრობირებული მიდგომები, რომლებიც შეჯამებული სახით მოცემულია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1. კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების შეგროვების და ჩაწერის პროცესის ეტაპები

სტიქიური მოვლენის/კატასტროფის რეგისტრაცია
<ul style="list-style-type: none"> გამომწვევი (მაპროვოცირებელი) მექანიზმი: როდის იწყება მონაცემების შეგროვება? <p>კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების პროცესის დაწყების მაპროვოცირებელ მექანიზმს წარმოადგენს ზიანის და დანაკარგის ქვედა (მინიმალური) ზღვარი ან მონაცემთა ბაზაში (სისტემაში) შეყვანის კრიტერიუმები. მინიმალური</p>

²⁹ Sadlier G., Flytkjær R., Sabri F., and Robin N. Value of satellite-derived Earth Observation capabilities to the UK Government today and by 2020. London Economics Ltd (LE), July 2018.

ზღვარი უმეტესწილად გამყარებულია იურიდიული ინსტრუმენტით (კანონით), წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნება გაურკვევლობა მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის შენახვა არშენახვასთან დაკავშირებით.

სტიქიური მოვლენის აღრიცხვის კრიტერიუმის არსებობა დამოკიდებულია მონაცემთა ბაზის კონცეფციაზე და მისი გამოყენების დანიშნულებაზე (მიზანზე). გამომწვევი მექანიზმები განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნებში. მაგალითად, ესპანეთში³⁰ ზიანის და დანაკარგის შეფასება ხდება ნებისმიერი სტიქიური მოვლენისთვის/კატასტროფისთვის, რომელიც იწვევს ზარალს; საბერძნეთში³¹, კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალი აღრიცხვას ექვემდებარება თუ ზიანდება სახლები და ინფრასტრუქტურა; სლოვენიაში³² ზარალი აღრიცხება თუ მისი მოცულობა ფულად ფორმაში ბიუჯეტის 0.03%-ს აღემატება; იტალიაში³³, კატასტროფის შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის აღრიცხვის მინიმალური კრიტერიუმი ეროვნულ დონეზე განსაზღვრული არ არის. ყველა რეგიონი თავისი ინტერესიდან გამომდინარე ახდენს ზიანის და დანაკარგის აღრიცხვას. თუმცა, მათ ერთი საერთო მიდგომა აქვთ. კერძოდ, ზარალის შეფასება ხდება კატასტროფისთანავე (ან მის შემდგომ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში) კომპენსაციის მიზნით გამოხატული მუნიციპალური და

³⁰ ისტორიული წყალდიდობების ეროვნული კატალოგი (Catálogo Nacional de Inundaciones Históricas - CNIH), ესპანეთის მონაცემთა ბაზა <http://www.proteccioncivil.es/riesgos/inundaciones/cnih>.

³¹ საბერძნეთს კატასტროფის შედეგად დამდგარი დანაკარგის რამდენიმე სახეობის მონაცემთა ბაზა აქვს. კერძოდ,

- ხანძრების მონაცემთა ბაზა (გარემოს, ენერგეტიკის და კლიმატის ცვლილების სამინისტროს, ტყეების განვითარებისა და დაცვის სააგენტო) <http://www.ypeka.gr/el-gr/%CE%94%CE%AC%CF%83%CE%B7/%CE%A0%CF%81%CE%BF%CF%83%CF%84%CE%B1%CF%83%CE%AF%CE%B1-%CE%94%CE%B1%CF%83%CF%8E%CE%BD>;
- სახანძრო ბრიგადების შემთხვევების (ბუნებრივ კატასტროფაზე რეაგირების) მონაცემთა ბაზა (სამოქალაქო წესრიგისა და მოქალაქეთა დაცვის სამინისტროს სახანძრო რეაგირების სამსახური) <http://www.opengov.gr/yptp/?p=1255>;
- მიწისძვრის, ხანძრის, ვულკანის, მეწყერის და წყალდიდობის შედეგად აქტივების დანაკარგების მონაცემთა ბაზა (ინფრასტრუქტურის და ტრანსპორტის სამინისტრო) <http://www.yme.gov.gr/?tid=745&aid=0>.

³²

- Decree on methodology for damage assessment, *Official Gazette RS*, No. 67/03, 79/04, 33/05, 81/06 and 68/08. <http://www.pisrs.si/Pis.web/pregledPredpisa?id=URED2969>;
- Law on the Protection against Natural and Other Disasters, *Official Gazette RS*, No. 51/06 - Official Consolidated Text, 97/10 and 21/18 - ZNOrg. <http://pisrs.si/Pis.web/pregledPredpisa?id=ZAKO364>;
- Act on the Elimination of Consequences of Natural Disasters, *Official Gazette RS*, No. 114/05 - Official Consolidated Text, 90/07, 102/07, 40/12 - ZUJF and 17/14. <http://www.pisrs.si/Pis.web/pregledPredpisa?id=ZAKO3734>
- Jakšič A. Slovenian Application for Damage Assessment on Agricultural Products and Objects – AJDA. Ministry of Defence of the Republic of Slovenia Administration for Civil Protection and Disaster Relief, Brussels, 21 March 2017. https://drmkc.jrc.ec.europa.eu/Portals/0/Partnerships/Seminars/9th_EU_Loss_Data_Workshop/Presentations/Session4/pdf/1_9th_EU_Loss_Data_Workshop_Presentation_A_Jaksic.pdf.

³³ FloodCat - საერთაშორისო მონაცემთა ბაზა (<http://www.mydewetra.org/>) და Aree Vulnerate Italiane (AVI) მეწყერის და წყალდიდობის მონაცემთა ბაზა (იტალიის სამოქალაქო დაცვის დეპარტამენტი, იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტრო).

რეგიონული მიმართვების შეგროვებით; შვედეთში³⁴ ზარალის აღრიცხვის მინიმალური კრიტერიუმი არა განსაზღვრული. შესაბამისად, მუნიციპალიტეტების დონეზე აღრიცხება ყველა ის შემთხვევა რომლისგანაც რაიმე სახის საინტერესო ინფორმაციის მიღება არის შესაძლებელი; პორტუგალიაში³⁵ კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების შეგროვების და ჩაწერის მაპროვოცირებელია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ჩართულობა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზარალის მონაცემების შეგროვება და ჩაწერა სავალდებულო არაა.

• *უფლებამოსილი ორგანიზაცია: ვინ არის პასუხისმგებელი?*

უფლებამოსილი ორგანიზაცია (საფრთხის კოორდინატორი) არეგისტრირებს ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეულ მოვლენას (კატასტროფას) და ანიჭებს მას კოდს.

კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების შეგროვება	კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების ჩაწერა
<p>• <i>უფლებამოსილი ორგანიზაცია: ვინ არის პასუხისმგებელი მონაცემთა შეგროვების პროცესის კოორდინაციაზე და შეფასებაზე?</i></p> <p>უფლებამოსილი ორგანიზაცია განსაზღვრავს სექტორის (რომელსაც მიადგა ზიანი) მაკოორდინირებელ უწყებას, რომელიც პასუხისმგებელია კვალიფიციური პერსონალის საჭირო შესაძლებლობების განვითარებაზე და შემფასებლების რეგულარულ ტრენინგზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს</p>	<p>• <i>უფლებამოსილი ორგანიზაცია: ვინ არის პასუხისმგებელი?</i></p> <p>უფლებამოსილი ორგანიზაცია (სისტემის ადმინისტრატორი), მონაცემთა ბაზის კონცეფციის საფუძველზე, ახორციელებს შეგროვებული სხვადასხვა ტიპის და ფორმატის მონაცემების ჩაწერას ინფორმაციის მართვის სისტემაში.</p> <p>უფლებამოსილი ორგანიზაცია პასუხისმგებელია პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რათა</p>

³⁴ შვედეთის ბუნებრივი კატასტროფის მონაცემთა ბაზა (Swedish Natural Hazard Information System, NDB,) <https://www.msb.se/en/>

³⁵ <https://eportugal.gov.pt/en/inicio>

<p>მონაცემების ერთგვაროვანი ხარისხით შეგროვება და ჩაწერა.</p> <p>იდენტიფიცირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სხვადასხვა დარგის აღმასრულებელი დაწესებულებების შემფასებლები, აღრიცხავს ინფორმაციას დამდგარი ზიანის და დანაკარგის შესახებ.</p> <p>პასუხისმგებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს: ადგილობრივი სამოქალაქო უსაფრთხოების დაცვის უწყება; კონკრეტული კატასტროფის ტიპის ან სექტორული ეროვნული კომპეტენტური უწყება; კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების ეროვნული ან რეგიონული დონის უწყება; არასამთავრობო/კერძო ორგანიზაციები.</p>	<p>შეგროვებული მონაცემების დამუშავება მოხდეს შესაბამისი ხარისხით, სანამ საინფორმაციო სისტემაში მოხდება მათი ჩაწერა. ამასთან, პერსონალის კომპეტენციაზეა დამოკიდებული სხვა მონაცემთა ბაზებთან საინფორმაციო სისტემის დაკავშირება და ამ კავშირის უწყვეტი ფუნქციონირება.</p> <p>მნიშვნელოვანი აღინიშნოს, რომ მონაცემების შეგროვების პროცესის კოორდინატორი და შემფასებელი ორგანიზაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საინფორმაციო სისტემის მართვაზე და მონაცემების ჩაწერის პასუხისმგებელი უწყებისგან.</p>
<p>• <i>მონაცემთა შეფასების ტექნიკა</i></p> <p>ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების რა ტექნიკაც არ უნდა იქნას გამოყენებული უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ, შერჩეული ტექნიკა უნდა შეესაბამებოდეს მონაცემთა ბაზის კონცეფციას, რათა</p>	<p>• <i>შეგროვებული მონაცემების დამუშავება:</i></p> <p><i>მონაცემთა მართვა</i></p> <p>შეგროვებული მონაცემების დამუშავება და მართვა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მონაცემების ხარისხის შეფასება; ○ შეუვსებელი მონაცემთა ველების გამოვლენა;

<p>უზრუნველყოფილ იქნას პროცესის თანმიმდევრობა. შეფასების ტექნიკის არჩევა (მაგ. სამაგიდო კვლევა; დისტანციური ზონდირება; შერჩევითი გამოკითხვა; ოფიციალური ანგარიშების მექანიზმები - საგანგებო სიტუაციების და პოლიტიკის ანგარიშები, კომპენსაციის ან სადაზღვეო პრემიის ოფიციალური მოთხოვნები) დამოკიდებულია იმაზე თუ რა სახის და სიდიდის ზარალის შეფასება ხდება. თანმიმდევრული პროცესის უზრუნველსაყოფად აუცილებელია წინასწარ იქნას მომზადებული შეფასების ფორმები, რომლებიც თავის მხრივ უნდა მოიცავდნენ ისეთ ინფორმაციას, როგორცაა მონაცემების შეგროვების ტექნიკა, შესაგროვებელი მონაცემების გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, შემფასებლის მონაცემები და სხვა.</p>	<ul style="list-style-type: none"> ○ გაურკვეველი (კითხვის ნიშნის ქვეშ მყოფი) მონაცემების დაზუსტება წყაროსთან; ○ და სხვა. <p>• შეგროვებული მონაცემების განზოგადება (შეჯამება): მონაცემთა ანალიზი</p> <p>შეგროვებული მონაცემების შეჯამების და ანალიზისთვის განსაზღვრულ უნდა იქნას მონაცემების საერთო ფორმატი, ისევე როგორც აქტივების კლასიფიკაცია სექტორულ დონეზე და კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის (ეკონომიკური, ადამიანური და სხვა) მახასიათებლები. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, მიღებული ინფორმაცია (მონაცემები) საშუალებას იძლეოდეს მასშტაბის გაზრდის ან შემცირების (განზოგადების). კერძოდ, მცირე გეოგრაფიულ არეალზე მიღებული მონაცემების გამოყენებით შესაძლებელი უნდა იყოს გაცილებით დიდ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე შესაძლო მისაღები ზარალის შეფასება და პირიქით.</p>
<p>• ინფორმაციის საიმედოობის უზრუნველყოფა: წყაროსთან მონაცემების გადამოწმება</p>	<p>• ინფორმაციის შენახვა და წვდომა: IT სისტემა</p> <p>სისტემური უზრუნველყოფის ტექნიკური მონაცემები (სიმძლავრე) და</p>

<p>შეგროვებული მონაცემების ხარისხი და სანდოობა დამოკიდებულია შეფასების პროცესში ჩართული პერსონალის გამოცდილებაზე, მონაცემთა შეგროვების შერჩეულ ტექნიკაზე და შემფასებელთა ტრენინგის დონეზე.</p>	<p>ვიზუალიზაცია (ინტერფეისი) თანხვედრაში უნდა იყოს დამუშავებულ მონაცემებთან და მომხმარებლის მიერ საწყის ეტაპზე განსაზღვრულ მოთხოვნებთან (ინფორმაცია, რომელიც ეხმარება გადაწყვეტილების მიმღებს). ამასთან, სისტემური უზრუნველყოფის ლოგიკური ჯაჭვი უნდა ეფუძნებოდეს მონაცემთა ბაზის კონცეფციას.</p>
--	--

მსოფლიოში, კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების და მონაცემების ჩაწერის, რამდენიმე კარგი პრაქტიკა არსებობს სლოვენის, მოლდოვის, იტალიის და საფრანგეთის სახით³⁶. თუმცა, ჩამოთვლილი ქვეყნების მიდგომებსაც (მონაცემთა ბაზებს) აქვთ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეები.

სლოვენია

სლოვენიაში, კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასება და მონაცემების ჩაწერა წარმოებს 2003 წლიდან, როგორც ეროვნულ ისე რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე. ზიანის და დანაკარგის შეფასების მეთოდოლოგია³⁷ აღრიცხავს ბუნებრივ და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეულ დანაკარგებს, როგორცაა შენობა-ნაგებობების დაზიანება (საკუთრებაში არსებული შენობები და ინფრასტრუქტურა), სხვადასხვა სექტორის (მაგ. სოფლის მეურნეობის წარმოება, მიწის ღირებულება, ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების ფართობები და სხვა), ეკონომიკურ (უძრავ-მომრავი ქონება და შემოსავლები) და ადამიანურ (გარდაცვლილი, გადასახლებული, დაზიანებული და სხვა) დანაკარგებს. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს რომ სლოვენის მონაცემთა ბაზა

³⁶ ასევე, კარგ მაგალითად ითვლება კოლუმბიის, შვედეთის, ესპანეთის, საბერძნეთის და გერმანიის გამოცდილებაც.

³⁷ Decree on methodology for damage assessment, Official Gazette RS, No. 67/03, 79/04, 33/05, 81/06 and 68/08

<http://www.pisrs.si/Pis.web/pregledPredpisa?id=URED2969>;

ზარალს აღრიცხავს აქტივების დონეზე. ამავე დროს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კატასტროფის შედეგად გამოწვეული ზიანის და დანაკარგის შესახებ მონაცემების შეგროვება იწყება მაშინ, როდესაც ზარალი ქვეყნის ბიუჯეტის 0.03%-ს აღემატება.

სლოვენიაში, ზარალის მონაცემთა ბაზა დაფუძნებულია ონლაინ პლატფორმაზე და მას ოპერირებას უწევს სლოვენის რესპუბლიკის სამოქალაქო დაცვის და კატასტროფის შემცირების ადმინისტრაცია.³⁸ სლოვენის ზიანის და დანაკარგის მონაცემთა ბაზის დადებითი მახასიათებელი ისაა რომ მონაცემთა შეგროვების პროცედურა რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული რიგი წესების მიხედვით; სლოვენიას შემუშავებული აქვს ზიანის და დანაკარგის ტიპზე მორგებული შეფასების ფორმები; ზარალის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ზარალის მონაცემთა ბაზის დაკავშირებას სხვა მონაცემთა ბაზებთან, როგორცაა მიწის კადასტრის, ქონების რეგისტრაციის, უძრავი ქონების და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების მონაცემთა ბაზები. ამგვარი დეტალიზებული მიდგომა უზრუნველყოფს მაღალხარისხიანი მონაცემების შეგროვებას. რაც შეეხება უარყოფით მხარეს, იმის გამო, რომ ზიანის და დანაკარგის მონაცემთა ბაზა სისტემურად უკავშირდება სხვა პერსონალურ მონაცემთა ბაზებს, ზარალის მონაცემთა ბაზა ხელმისაწვდომი არაა საზოგადოებისთვის და იგი მხოლოდ შიდა (სახელმწიფო ორგანიზაციების) მოხმარებისთვის არის განკუთვნილი.

მოდლოვა

მოდლოვაში, კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის აღრიცხვა³⁹, ელექტრონული ფორმით, წარმოებს 2013 წლიდან, როგორც ეროვნულ ისე რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე. თუმცა, მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას - შინაგან საქმეთა სამინისტროს სამოქალაქო დაცვის და საგანგებო სიტუაციების მომსახურების სამსახურს⁴⁰ მოეპოვება 1997-2013 წლებში დამდგარი კატასტროფების ბეჭდური მასალებიც⁴¹.

³⁸ <http://www.sos112.si/eng/>

³⁹ შეფასება წარმოებს ქალაქის სპეციალური ბლანკზე დატანილი ველის შევსებით;

⁴⁰ <http://www.dse.md/ro;>

⁴¹ Elmquist M., Petr A., et al, Country profile, Moldova. Prevention, preparedness and response to natural and man-made disasters in the EaP countries – PPRD East 2. p. 62, December, 2015. <http://pprdeast2.eu/wp-content/uploads/2015/08/MD-Country-Profile.pdf>

მთავრობის დადგენილებით⁴² რეგულირდება ადამიანური და ბუნებრივი ფაქტორით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების უნიფიცირებული მეთოდოლოგია, დანაკარგების კლასიფიკაცია, მოსახლეობის დროული შეტყობინების მექანიზმები, ზარალის შეფასების, აღრიცხვის და მოსახლეობისთვის შეტყობინების პროცესები.

კატასტროფის შედეგად გამოწვეული ზიანის და დანაკარგის შეფასებას უზრუნველყოფს მიმდინარე (არაგეგმიური) საჭიროების შესაბამისად შექმნილი კომისია. კომისია შესაძლოა შეიქმნას ეროვნულ, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე⁴³. კომისიის წევრებად განისაზღვრებიან, კატასტროფის შედეგად დაზიანებული სექტორის შესაბამისი სამინისტროს კომპეტენტური წარმომადგენლები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან შესაბამის სექტორში დამდგარი ზარალის შეფასებაზე (მაგალითად, ინფრასტრუქტურის და/ან ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენელი პასუხისმგებელია ინფრასტრუქტურის და ენერგეტიკის სექტორის დაზიანებული აქტივების შეფასებაზე).

მოლდავეთის ზარალის მონაცემთა ბაზის დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ მონაცემები შეგროვებულია აქტივების დონეზე. რითაც უზრუნველყოფილია მაღალხარისხიანი მონაცემების შეგროვება. ყველაზე სუსტ რგოლს მიეკუთვნება კომისიის მიერ, ქაღალდის სპეციალურ ბლანკზე დატანილი ველების შევსებით⁴⁴ მონაცემების შეგროვება, მიუხედავად იმისა, რომ თავმოყრილ მონაცემებს კომისია წარუდგენს სამოქალაქო დაცვის და საგანგებო სიტუაციების მომსახურების სამსახურს, რომელიც ერთიან ელექტრონულ ბაზაში ასახავს შეგროვებულ მონაცემებს.

⁴² Government Decision on the classification of exceptional situations and the way of accumulating and presenting information in the field of population and territory protection in case of exceptional situations, No. 1076 of 16.11.2010 <http://lex.justice.md/md/336766/>

⁴³ დამოკიდებულია კატასტროფის მასშტაბზე.

⁴⁴ Civil Protection and Emergency Situation Service Order on The approval of the regulation regarding the statistical record of the SE and their consequences in the Republic of Moldova. No. 139 of 04.09.2012 <http://dse.md/sites/default/files/pdf/Ordin%20SPCSE%20nr.139%20din%2004.09.2012%20privind%20aprobarea%20Regulamentului%20cu%20privire%20la%20evidenta%20statistica%20a%20SE%20si%20consecintelor%20lor%20in%20RM.pdf>

ქვეყნის მთავრობა მონაცემთა ბაზას იყენებს დაზარალებულების კომპენსაციისთვის და დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სახსრების მობილიზებისთვის⁴⁵.

იტალია

იტალიაში, კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასება და აღრიცხვა წარმოებს 1950 წლიდან, როგორც ეროვნულ ისე რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იტალიის კატასტროფის შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის მონაცემთა ბაზა ყველა ტიპის კატასტროფის შედეგად დამდგარ ზარალს არ აღრიცხავს. მასში აღრიცხულია მხოლოდ წყალდიდობის შედეგად დამდგარი ზიანი და დანაკარგები. მონაცემების სისტემატურ განახლებას და მართვას უზრუნველყოფს იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამოქალაქო დაცვის დეპარტამენტი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კატასტროფის შედეგად გამოწვეული ზარალის მონაცემების შეგროვება იტალიაში იწყება ცალკეული რეგიონის გადაწყვეტილების საფუძველზე და არ არსებობს საერთო კრიტერიუმი რის საფუძველზეც დაიწყება ზარალის შეფასება და აღრიცხვა. ამასთან, მონაცემთა ბაზაში აქტივების ზიანის და დანაკარგის ინდიკატორები ხარისხობრივი მაჩვენებლებითაა დაჯგუფებული და მონაცემების ხარისხის კონტროლი არაა უზრუნველყოფილი.

მიუხედავად ამისა, წყალდიდობის შედეგად გამოწვეული ზიანის და დანაკარგის შეფასების და აღრიცხვის იტალიური პრაქტიკა ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში⁴⁶. აღნიშნული პრაქტიკა შემუშავებულ იქნა იტალიის ერთ-ერთ რეგიონში (უმბრია) მომხდარი დიდი მასშტაბის წყალდიდობის შემდეგ. კერძოდ, შემუშავდა წყალდიდობის შედეგად გამოწვეული ზარალის მონაცემების შეგროვების სტანდარტული ფორმები და შევსების სახელმძღვანელოები. ამასთან, მოხდა დანაკარგების ინდიკატორების

⁴⁵ Daniela M., Menoni S., and Ballio F. eds. *Flood Damage Survey and Assessment: New Insights from Research and Practice*. Vol. 228. John Wiley & Sons, pp 38, 2017. https://books.google.ge/books?id=9m0tDwAAQBAJ&pg=PA36&lpg=PA36&dq=disaster+loss+data+accounting+practices+research+institutions&source=bl&ots=Hw7sOO3kb2&sig=ACfU3U2woy4Io6uGPR7fFQMcWgzIy_24g&hl=en&sa=X&ved=2ahUKewjSm4Dk1Z7oAhWimFwKHV_qBJEQ6AEwA3oECAsQAQ#v=onepage&q=disaster%20loss%20data%20accounting%20practices%20research%20institutions&f=false (ნახვა, 7 აპრილი 2020)

⁴⁶ Molinari, D., Menoni, S., Aronica G. T., Ballio F., Berni N., Pandolfo C., Stelluti M., and Minucci, G. Ex post damage assessment: an Italian experience, *Natural Hazards Earth System Sciences* (2014): 901-916.

სექტორების დონეზე განსაზღვრა და "DesInventar"-ის მონაცემთა ბაზის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, ადგილობრივი ხელისუფლებიდან დაწყებული აკადემიური ინსტიტუტებით დამთავრებული.

სახელმწიფო ორგანიზაციები და კერძო კომპანიები მოდელირების და რისკების შეფასებისთვის იყენებენ შეგროვებულ მონაცემებს, რათა დროულად მოხდეს პრევენციული ღონისძიებების გატარება და ზარალის თავიდან აცილება.

საფრანგეთი

საფრანგეთში, კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების და აღრიცხვის ციფრული პრაქტიკა დაინერგა 2012⁴⁷ წელს, მას შემდეგ რაც შეიქმნა ბუნებრივ კატასტროფებზე ზედამხედველობის ეროვნული პლატფორმა (ONRN⁴⁸), ეკოლოგიის, მდგრადი განვითარების და ენერგეტიკის სამინისტროს⁴⁹, ცენტრალური გადამზღვევი კომპანიის⁵⁰ და ბუნებრივი რისკის ცოდნის და შემცირების ფრანგული სადაზღვეო ასოციაციის⁵¹ მიერ. პლატფორმის მიზანია ერთმანეთთან დააკავშიროს მონაცემების შემგროვებლები და მისი მომხმარებლები. საფრანგეთში, მონაცემების შეგროვებას ახორციელებს როგორც სახელმწიფო ისე კერძო სექტორი (სადაზღვეო კომპანიები)⁵².

ბუნებრივ კატასტროფებზე ზედამხედველობის ეროვნული პლატფორმის მონაცემთა ბაზის 60%-ს სადაზღვეო კომპანიების მონაცემები წარმოადგენს, რომლებიც ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე დაინტერესებულნი არიან მაქსიმალურად დეტალური ინფორმაცია შეაგროვონ ბუნებრივი მოვლენების რისკებზე, მათ გამომწვევ მიზეზებზე,

⁴⁷ Gerin S., Nussbaum R., Rothschild E. The contribution of French insurers to the creation and management of a National Observatory for Natural Hazards (ONRN). The Consorcio de Compensación de Seguros digital magazine "Conorseguros". No 7, Autumn 2017. <http://www.conorsegurosdigital.com/en/numero-07/front-page/the-contribution-of-french-insurers-to-the-creation-and-management-of-a-national-observatory-for-natural-hazards-onrn> (ნახვა 27 აპრილი 2020)

⁴⁸ <http://www.georisques.gouv.fr/dossiers/observatoire-national-des-risques-naturels> (ნახვა 27 აპრილი 2020)

⁴⁹ <https://www.ecologique-solidaire.gouv.fr/> (ნახვა 27 აპრილი 2020)

⁵⁰ <https://www.ccr.fr/> (ნახვა 27 აპრილი 2020)

⁵¹ <https://www.mrn.asso.fr/mrn/presentation/> (ნახვა 27 აპრილი 2020)

⁵² Quoc-Phi Duong. Overview of Standards in France for Hazard Monitoring, Databases, Metadata and Analysis techniques to support Risk Assessment. Meteo France – Toujours un temps d'avance. Vol VI., 30 September 2013. <https://www.wmo.int/pages/prog/drr/projects/Thematic/HazardRisk/2013-10-TC-Prog-FP-Meeting/documents/Countries/France/2013.10.03%20-%20France%20-%20final.pdf> (ნახვა 27 აპრილი 2020)

მოწყვლადობასა და დანაკარგებზე⁵³. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბოლოო ჯამში მათ მიერ შეგროვებული მონაცემები მხოლოდ დაზღვეულ აქტივებს მოიცავს და სრულად არ ასახავ კატასტროფის შედეგად გამოწვეულ ზიანს და დანაკარგებს.

კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების და აღრიცხვის ფრანგული პრაქტიკის მიმზიდველობა განპირობებულია რამდენი ფაქტორით:

- შემუშავებულია ზიანის და დანაკარგის ინდიკატორები, მათი განმარტებები და გამოყენების შეზღუდვები;
- ინდიკატორები თანხვედრაშია ევროპის INSPIRE⁵⁴ დირექტივასთან;
- უზრუნველყოფილია ხარისხიანი მონაცემების შეგროვება მუნიციპალიტეტის და თემის დონეზე;
- ბუნებრივ კატასტროფებზე ზედამხედველობის ეროვნული პლატფორმის მონაცემთა ბაზა ხელმისაწვდომია სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებისთვის;
- მონაცემთა ბაზის კარტოგრაფიული შესაძლებლობის ონლაინ სივრცეში ხელმისაწვდომობა საშუალებას იძლევა ზიანის და დანაკარგის ინდიკატორები გადატანილ იქნას სხვადასხვა ტიპის და დანიშნულების რუკაზე.

1.2 კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების შეგროვების და ჩაწერის არსებული პრაქტიკა საქართველოში

პროცედურები და რეგულაციები რომელიც, საქართველოში, უზრუნველყოფს ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემთა ბაზის შექმნას, მის ღია წვდომას და შესაბამისი

⁵³ <https://www.oecd.org/governance/toolkit-on-risk-governance/goodpractices/page/francesnationalobservatoryfornaturalhazardsonrn.htm> (ნახვა 27 აპრილი 2020)

⁵⁴ INSPIRE ინიციატივა (შემდგომში ჩამოყალიბდა როგორც დირექტივა) წამოყენებულ იქნა ევროკომისიის და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ, რათა ხელმისაწვდომი ყოფილიყო ჰარმონიზებული და მაღალი ხარისხის გეოგრაფიული ინფორმაცია გარემოსდაცვითი პორტალისთვის, რომლითაც ისარგებლებდნენ წევრი ქვეყნების სამთავრობო უწყებები გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავების და ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით. <https://inspire.ec.europa.eu/about-inspire/563> (ნახვა 3 მაისი 2020)

დაინტერესებული მხარეებიდან დამატებით ინფორმაციის შეგროვებას საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას როგორც ცენტრალურ ისე მუნიციპალურ დონეზე. არაა შემუშავებული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზიანისა და დანაკარგის ერთიანი სისტემა, რომლის მართვას, რეგულარულად განახლებას და შემდეგ კატასტროფის რისკის მართვისთვის გამოყენებას შეძლებდა შესაბამისი უფლებამოსილი სამთავრობო უწყება. შესაბამისად არც კერძო ორგანიზაციებს (განსაკუთრებით კვლევით ინსტიტუტებს და სადაზღვეო კომპანიებს) აქვთ შესაძლებლობა აწარმოონ კვლევითი საქმიანობა ადამიანური და ბუნებრივი ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების პრევენციის, გამოვლენილი რისკების მართვის გაუმჯობესების და კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის სადაზღვეო ბაზრის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოკლედ მიმოვიხილოთ კატასტროფების შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის მონაცემების შეგროვების და ჩაწერის საკანონმდებლო ჩარჩო და ინსტიტუციური მოწყობა საქართველოში.

საკანონმდებლო ჩარჩო

კატასტროფის რისკის მართვა საქართველოში რეგულირდება „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“⁵⁵, „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“⁵⁶, „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“⁵⁷ და „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“⁵⁸ საქართველოს კანონებით.

საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ არეგულირებს ბუნებრივი ან ტექნოლოგიური კატასტროფების ან ეპიდემიის დროს ან სხვა შემთხვევაში მთავრობის,

⁵⁵ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2062?publication=38> (ნახვა 1 მაისი, 2020)

⁵⁶ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2764463?publication=9> (ნახვა 1 მაისი 2020)

⁵⁷ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/33472?publication=6> (ნახვა 1 მაისი 2020)

⁵⁸ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4243170?publication=3> (ნახვა 1 მაისი 2020)

სამინისტროების, სამინისტროების საქვეუწყებო დაწესებულებების, სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო უწყებების საქმიანობას. საქართველოს კანონის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ ერთ-ერთ მარეგულირებელ მიმართულებას წარმოადგენს სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფებით მიყენებული ზარალის შემცირება და ქვეყნის მდგრადობის უზრუნველყოფა⁵⁹. საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ სამთავრობო დაწესებულებებს უფლებას ანიჭებს ბუნებრივი ან ტექნოგენური (ადამიანური) კატასტროფის ან ეპიდემიის შედეგების ლიკვიდაციისათვის მოიწვიონ შესაბამისი განათლებისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტები როგორც საქართველოდან, ისე უცხო ქვეყნებიდან⁶⁰.

საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ არეგულირებს კატასტროფების შედეგად მიყენებული ზიანის და დანაკარგის მონაცემების შეგროვებას და ჩაწერას. იგი ქმნის ერთიან სისტემას წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების მართვისთვის, რომელიც არის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, მისი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ავტონომიური რესპუბლიკების, სამხარეო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ორგანიზაციების ერთობლიობა. ამ უწყებების მიზანია საგანგებო სიტუაციის პრევენცია, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში მასზე რეაგირება და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება. ერთიანი სისტემა იმართება სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის⁶¹ მიხედვით, რომელიც არეგულირებს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობებს სამოქალაქო უსაფრთხოებისთვის.

სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მიზანია საგანგებო სიტუაციების მათ შორის, პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირების და აღდგენის ფაზების, ასევე

⁵⁹ საქართველოს კანონი „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის გ) ქვეპუნქტი.

⁶⁰ საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“, მუხლი 11.

⁶¹ <https://matsne.gov.ge/document/view/2993918?publication=1> (ნახვა 3 მაისი 2020)

ჰუმანიტარული საქმიანობის კოორდინაციის უზრუნველყოფა. კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ მიხედვით ზარალის მონაცემების შეგროვების და ჩაწერის როლი ენიჭება შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს⁶².

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დებულების თანახმად, მისი ოპერატიული მართვის ცენტრი პასუხისმგებელია, საგანგებო სიტუაციების (კატასტროფების) შედეგად შექმნილი მდგომარეობის შეფასების მიზნით, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად სპეციალური პროგრამების და საგანგებო სიტუაციების მართვის უზრუნველსაყოფად საინფორმაციო ტექნოლოგიების შემუშავებაზე; ავარიების, სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, და სხვა საგანგებო სიტუაციების შესახებ შემოსული შეტყობინებების მიღება, დამუშავებასა და შესაბამისი სამსახურებისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე; ადგილზე არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვაზე და საგანგებო სიტუაციების და მათი შედეგების სტატისტიკური აღრიცხვის წარმოებაზე⁶³. თუმცა, რას უნდა შეიცავდეს სტატისტიკა არ არის მითითებული.

საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ მიხედვით, საქართველოს მთავრობამ, 2021 წლის 1 იანვრამდე, უნდა მიიღოს ნორმატიული აქტები, რომლებიც დაარეგულირებს საგანგებო სიტუაციების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და ჩაწერას. კერძოდ, დაგეგმილია „ინციდენტის/მოსალოდნელი ან წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის და მისი შედეგების აღრიცხვისა და მონაცემთა დამუშავების წესის დამტკიცების შესახებ“; „ბუნებრივი საგანგებო სიტუაციების პრევენციის ღონისძიებების შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“; „ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“⁶⁴ ნორმატიული აქტების გამოცემა.

⁶² საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-40 მუხლი ბ) ქვეპუნქტი. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4243170?publication=3> (ნახვა 1 მაისი, 2020)

⁶³ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, №24 2019 წლის 29 მარტი. მე-4 მუხლის 3) მე-4 პრიმა ქვეპუნქტი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4522158?publication=2> (ნახვა 1 მაისი, 2020)

⁶⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილება „საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის განსაზღვრის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, №68, 21 მარტი 2008. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/8014?publication=0> (ნახვა 1 მაისი 2020)

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი აქტები მთავრობას 2017 წლის 31 დეკემბრამდე უნდა გამოეცა, მაგრამ გაურკვეველი მიზეზებით გადავადდა და თუ აქტების მისაღებად საჭირო ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობას გავითვალისწინებთ მოსალოდნელია კანონით დათქმულმა ვადებმა კიდევ ერთხელ გადაიწიოს.

2017 წელს, დამტკიცდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტი „კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნულ სტრატეგია“⁶⁵ და „კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნულ სტრატეგიის სამოქმედო გეგმა“ სადაც კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის აღდგენითი საჭიროებების შეფასება და ეკონომიკური დანაკარგის დათვლის მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა ერთერთ პრიორიტეტად განისაზღვრა⁶⁶. შესაბამისად, კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება და სამართლებრივი აქტების მიღება ძალიან მნიშვნელოვანია SENDAI-ის ჩარჩო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების, მათ შორის, კატასტროფების შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის ანგარიშგების (SENDAI-ს ჩარჩოს 1-4 მიზანი) შესრულებისთვის.

საქართველოში გავრცელებული პრაქტიკით, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის შეფასება და აღრიცხვა ხორციელდება ადგილობრივ დონეზე შექმნილი კომისიის მიერ⁶⁷. გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს სისტემური/სტანდარტიზებული მიდგომა თუ როგორ უნდა განახორციელოს კომისიამ კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასება, ამიტომ თითოეული შეფასების აქტი და დათვლილი ზიანის და დანაკარგის მოცულობა ეფუძნება კომისიის წევრების სუბიექტურ მოსაზრებებს, ხედვებს და შეფასებებს.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალი შესაძლოა მიადგეს ნებისმიერ სექტორს, შესაბამისად

⁶⁵ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3547798?publication=1> (ნახვა 3 მაისი 2020)

⁶⁶ „კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნულ სტრატეგიის სამოქმედო გეგმა“, გვ 23, 29 მაისი 2017.

⁶⁷ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის შედეგების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ: <http://www.lagodekhi.gov.ge/sites/default/files/596.pdf> (ნახვა 3 მაისი 2020)

მიზანშეწონილია შემუშავებულ იქნას სტანდარტიზებული მეთოდოლოგია/მიდგომა სექტორისთვის (სექტორს მიკუთვნებული აქტივების) მიყენებული ეკონომიკური დანაკარგის შესაფასებლად. დღეის მდგომარეობით, მხოლოდ გარემოსდაცვითი ზარალის შეფასება (ტექნიკური გამოთვლა) რეგულირდება საკანონმდებლო დონეზე. კერძოდ, საქართველოს მთავრობის დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა, დამტკიცების შესახებ“⁶⁸, არეგულირებს კატასტროფის შედეგად ფლორისა და ფაუნისთვის მიყენებული ზიანის მონეტარულ ღირებულებაში წარმოჩენას (მაგ., 1 კილოგრამი დახოცილი თევზის ღირებულება; განადგურებული ტყის; მდინარის ან მეწყერის მიერ წაღებული მიწის; ფრინველების, ძუძუმწოვრების, ამფიბიების და ქვეწარმავლების ღირებულება).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ შემუშავებულია „სტიქიით მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო შერეული სამთავრობო კომისიის მუშაობის წესისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სტიქიით დაზარალებული ოჯახების დიფერენციის, დახმარების კრიტერიუმებისა და ზიანის აღმოფხვრის წესი“⁶⁹, რომლითაც რეგულირდება, საცხოვრისის დაზიანება/დაკარგვასთან დაკავშირებული, დაზარალებული მოსახლეობის ფინანსური კომპენსაციის საკითხები (სტიქიით დაზარალებული ოჯახის სოციალური შესწავლის ცხრილი და შესავსები ველები იხილეთ დანართ 1-ში). თუმცა, არც ამ შემთხვევაში არის ჩამოყალიბებული ერთიანი მიდგომა, თუ როგორ უნდა მოხდეს კატასტროფის შედეგად გამოწვეული ზარალის შეფასება. აგრეთვე, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსზე“⁷⁰ და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულ კოდექსზე“⁷¹ დაფუძნებით წყალტუბოს საკრებულოს მიერ გამოცემული დადგენილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის, ხანძრის შედეგად დამდგარი ზიანის აღრიცხვის, შესწავლის, შეფასებისა და დახმარების ოდენობის განსაზღვრის მიზნით

⁶⁸ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2195792?publication=6> (ნახვა 3 მაისი 2020)

⁶⁹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3257953> (ნახვა 3 მაისი 2020)

⁷⁰ <https://matsne.gov.ge/document/view/2244429?publication=47> (ნახვა 4 მაისი 2020)

⁷¹ <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=33> (ნახვა 4 მაისი 2020)

შექმნილი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ⁷² არეგულირებს დაზარალებულებისთვის კომპენსაციის გაცემის პირობებს. თუმცა, დადგენილებაში არსადაა მითითებული თუ როგორ უნდა მოხდეს დამდგარი ზარალის შეფასება.

ინსტიტუციური მოწყობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, საგანგებო სიტუაციების მართვის (მათ შორის კატასტროფის შემდგომი ზიანის შეფასების) სისტემა შედგება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, მის მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ავტონომიური რესპუბლიკების, სამხარეო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ორგანიზაციებისგან. საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაცია ხდება წარმოქმნის, გავრცელების, დაღუპულთა რაოდენობის და მატერიალური დანაკარგის მიხედვით. საქართველოს მთავრობა ადგენს საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის პროცედურებს და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური განსაზღვრავს კლასიფიკაციის მახასიათებლებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების ამოცანების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოკლედ მიმოვიხილოთ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის შესაბამისი ორგანოები ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვა შესაბამისი ორგანოების მიერ ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე⁷³

საგანგებო სიტუაციების რეაგირების მართვის დონეები	საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის განმახორციელებელი ორგანოები
ეროვნული მნიშვნელობის	<i>სტრატეგიულ დონეზე</i>

⁷² <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4025839?publication=0> (ნახვა 4 მაისი 2020)

⁷³ საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ (ნახვა 4 მაისი 2020)

<p>(ქვეყნის მასშტაბით)</p>	<p>საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან უფლებამოსილი პირი, რომელსაც ეროვნული უსაფრთხოების საბჭო უწევს საინფორმაციო-ანალიტიკურ დახმარებას და წარუდგენს რეკომენდაციებს და წინადადებებს პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად.</p> <p><i>ოპერაციულ დონეზე</i></p> <p>საგანგებო სიტუაციების მართვის უწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრი, რომელსაც ხელმძღვანელობს რომელიმე მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით.</p>
<p>ადგილობრივი დონე (მუნიციპალიტეტის მასშტაბით)</p>	<p>ეროვნული სისტემის ერთი სუბიექტის რეაგირების ძალები და საშუალებები. ასევე, ადგილობრივი საგანგებო შტაბი, რომელიც შექმნილია ერთი ან რამდენიმე მომიჯნავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა რეაგირების ძალებით და საშუალებებით.</p>

საქართველოს კანონის „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ მიხედვით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური პასუხისმგებელია და ახორციელებს ქვეყნის მასშტაბით საგანგებო სიტუაციების 74 თავიდან აცილების, მათი შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის მიზნით საქმიანობების კოორდინაციას. პრემიერ მინისტრის დაქვემდებარებაში არსებული ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი, ეროვნული სიტუაციური ოთახის გამოყენებით ახორციელებს ეროვნული დონის კრიზისის კოორდინაციას.

⁷⁴ საგანგებო მდგომარეობა არის „დროებითი ღონისძიება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ცხადდება საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის, ... ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს ან სხვა შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას.“ საქართველოს კანონი საგანგებო მდგომარეობის შესახებ, მუხლი 1. (ნახვა 5 მაისი 2020).

საქართველოს კანონის „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ მიხედვით საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ადგილობრივი საგანგებო შტაბი იქმნება გარკვეული ვადით, მოსალოდნელი ან ფაქტობრივი საგანგებო სიტუაციიდან გამომდინარე, ვითარების ხასიათისა და მასშტაბის გათვალისწინებით. „ადგილობრივი საგანგებო შტაბი ოპერაციულ და ტაქტიკურ დონეებზე ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს მოსალოდნელ, წარმოქმნილ ან განვითარებულ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას. ადგილობრივ საგანგებო შტაბს ხელმძღვანელობს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენელი“⁷⁵.

სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მიხედვით საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მიტიგაციის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფა ხორციელდება ქვემოთ ჩამოთვლილი საგანგებო დახმარების ფუნქციის ამოქმედებით⁷⁶:

- საგანგებო სიტუაციების მართვის უზრუნველყოფა;
- კავშირგაბმულობის და შეტყობინების ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- მოსახლეობის ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა (მათ შორის იმ უცხოელთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა მასობრივად შემოსული ნაკადების მართვა, რომლებიც საჭიროებენ საერთაშორისო დაცვას);
- რეაგირების ღონისძიებების კოორდინირება;
- სატრანსპორტო უზრუნველყოფა;
- სამედიცინო უზრუნველყოფა;
- მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის, დიპლომატიური პროტოკოლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- ტყის ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- ენერგომომარაგების უზრუნველყოფა;
- მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფა;
- ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

⁷⁵ საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, მუხლი 16, მე-5 პუნქტი. (ნახვა 5 მაისი 2020).

⁷⁶ საქართველოს მთავრობის დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 8, მე-3 ქვეპუნქტი. (ნახვა 5 მაისი 2020).

- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
- კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის უზრუნველყოფა;
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს უფლებამოსილებას მიკუთვნებული ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფა;
- სურსათითა და წყლით უზრუნველყოფა;
- საგანგებო სიტუაციების ზონაში აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფა.

სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის ამოქმედება იმ შემთხვევაში ხდება როდესაც ადგილი აქვს ქვეყნის მასშტაბით დახმარების საჭიროებას. ადგილობრივი დონის რეაგირების გეგმის ამოქმედება ხდება მაშინ, როდესაც ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე მუნიციპალური მასშტაბითაა დახმარება გასაწევი. დღეის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის დონეზე არსებობს ადგილობრივი რეაგირების გეგმები, თუმცა მათი უმრავლესობა მოძველებულია და საჭიროებენ განახლებას⁷⁷.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეულ კატასტროფებზე რეაგირების, დამდგარი ზარალის მონაცემების შეგროვების და ჩაწერის არსებული პრაქტიკა და პასუხისმგებელი უწყებები საქართველოში

როგორც ზემოთ აღინიშნა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უზრუნველყოფს ოფიციალური სტატისტიკის შეგროვებას და ანგარიშგებას საგანგებო

⁷⁷1. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება „ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის“ დამტკიცების შესახებ, N19, 27 მაისი 2015. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2853658?publication=0> (ნახვა 5 მაისი 2020);
 2. კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება „კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის“ დამტკიცების თაობაზე, N9, 21 აპრილი 2017. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3704325?publication=0> (ნახვა 5 მაისი 2020);
 3. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება „მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის“ დამტკიცების შესახებ, N15, 31 აგვისტო 2011. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1468314?publication=0> (ნახვა 5 მაისი 2020).

სიტუაციების, ხანძრების და მათი შედეგების შესახებ. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური საგანგებო სიტუაციების შესახებ შეტყობინებას იღებს სხვადასხვა უწყებებიდან. საქართველოს კანონის „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ მიხედვით ხანძრისა და ინციდენტის შესახებ შეტყობინებების მისაღებად საქართველოს სატელეფონო ქსელში დადგენილია ერთიანი სატელეფონო ნომერი – „112“ (გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი). ასევე არსებობს სხვა უწყებებიც რომლებიც პასუხისმგებლები არიან შეტყობინების მიწოდებაზე (იხ გრაფიკი 3). მაგ., გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო⁷⁸ პასუხისმგებელია ჰიდრო-მეტეოროლოგიური და გეოლოგიური სტიქიური მოვლენების (გარდა მიწისძვრისა) და გარემოს დაბინძურების საფრთხეების შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სეისმური მონიტორინგის ცენტრი⁷⁹ პასუხისმგებელია სეისმური მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებაზე. ამასთან, ორგანიზაცია, საქართველოში მიწისძვრის შემთხვევაში ეპიცენტრის და მაგნიტუდის შესახებ ინფორმაციას აგზავნის მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით „112“-ში და ათავსებს ინფორმაციას საკუთარ ვებ-გვერდზე (თუმცა კანონი არ ავალდებულებს); გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტო⁸⁰ პასუხისმგებელია ტყის ხანძრებზე სტატისტიკის შეგროვებასა და ანგარიშგებაზე; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური⁸¹ პასუხისმგებელია საზღვაო ფლოტის სექტორთან დაკავშირებული გაფრთხილებების კოორდინაციაზე, ხოლო საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო⁸² (GCAA) პასუხისმგებელია საავიაციო მეტეოროლოგიაზე (მონიტორინგი და ინფორმაციის გავრცელება). თუმცა, ზემოხსენებული, უწყებები პასუხისმგებლები არიან უფრო მეტად საფრთხეების შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე (მაგნიტუდა, ინტენსივობა) და არა კონკრეტულად ზიანის და დანაკარგის აღრიცხვაზე.

⁷⁸ <http://nea.gov.ge/ge/about/chven-sheaxeb/2/>

⁷⁹ https://ies.iliauni.edu.ge/?page_id=121&lang=ka


⁸⁰ <http://forestry.gov.ge/Ge/Reports> (ნახვა 6 მაისი 2020)

⁸¹ http://hydrography.ge/ge/public_information.php (ნახვა 6 მაისი 2020)

⁸² <http://www.gcaa.ge/geo/occurrence.php> (ნახვა 6 მაისი 2020)

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბიოლოგიური საფრთხეების (ადამიანი, ცხოველი, მცენარე) შემთხვევაში შეტყობინებაზე პასუხისმგებელი უწყებებია დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი⁸³ (NCDC) და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო⁸⁴ და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი.

გრაფიკი 3. საგანგებო შემთხვევების/საფრთხის შეტყობინების მომწოდებლები საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის



⁸³ <https://www.ncdc.ge/Default.aspx> (ნახვა 6 მაისი 2020)

⁸⁴ <http://nfa.gov.ge/ge/> (ნახვა 6 მაისი 2020)

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეულ კატასტროფებზე შეტყობინებები, ხშირად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან, ფიზიკური და იურიდიული პირებისგან (რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას) შემოდის. კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფელი) ისეთი სტიქიური მოვლენის დაფიქსირების შემდეგ, რომელიც იწვევს მსხვერპლს, მატერიალურ დანაკარგს ან გარემოზე ზიანს და საჭიროებს რეაგირების ძალების ინტერვენციას, შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის რწმუნებული მაშინვე უკავშირდება (ხშირად მობილურის გამოყენებით) გამგებლის ბრძანებით შექმნილ სტიქიის შედეგების შემსწავლელ მუდმივმოქმედი კომისიის წარმომადგენელს.

სამოქალაქო უსაფრთხოების ადგილობრივი რეაგირების გეგმის მიხედვით, საგანგებო სიტუაციების მართვას უზრუნველყოფს ადგილობრივი საგანგებო შტაბი, რომელიც იქმნება გამგებლის ბრძანების მიხედვით და ოპერირებს სამოქალაქო უსაფრთხოების ადგილობრივი რეაგირების გეგმაში განსაზღვრული ფუნქციების მიხედვით (რომელიც მსგავსია სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმით წარმოდგენილი ფუნქციების). საგანგებო შტაბი აწვდის ინფორმაციას საგანგებო სიტუაციის შესახებ შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს და უზრუნველყოფს არსებული სიტუაციის შესახებ ანგარიშგებას კატასტროფის დროს ან კატასტროფის შემდეგ. ასევე, უზრუნველყოფს სავალე საოპერაციო ცენტრების გახსნას, აკომპლექტებს რეაგირების ჯგუფებს, იღებს ინფორმაციას კატასტროფის ზონიდან, ამუშავებს, აანალიზებს და გეგმავს შესაბამის საქმიანობებს და სხვ. შტაბის წევრები კომპლექტდება რეაგირების გეგმის ფუნქციებიდან გამომდინარე, შტაბის ხელმძღვანელს შეუძლია დაამატოს წევრი თავისივე შეხედულებით. იმ შემთხვევაში თუ საგანგებო სიტუაცია სცილდება მუნიციპალიტეტის ფარგლებს, საგანგებო შტაბის მოქმედების მართვა რჩება იგივე, ხოლო გადაწყვეტილების მიღება და კოორდინაცია გადადის რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მიხედვით.

თავდაპირველად ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეულ კატასტროფებზე ინფორმაცია⁸⁵ გროვდება ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო უსაფრთხოების კანონის შესაბამისად, რადგან საგანგებო სიტუაციის, ხანძრის და მათი შედეგების აღრიცხვის დადგენილი წესების შესრულება სავალდებულოა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის. კერძოდ, საქართველოს მთავრობის დადგენილების “საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ”⁸⁶ მიხედვით საგანგებო სიტუაციების შეტყობინების ფორმა (იხ. დანართი 2) ივსება მას შემდეგ რაც, რწმუნებულის მიერ, საფრთხის შესახებ ინფორმაცია მიწოდებულია გამგებლის ადმინისტრაციისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. ამის შემდეგ, იმართება კომისიის სხდომა (დანართ 3-ში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მაგალითზე⁸⁷ წარმოდგენილია ადგილობრივი დონის სტიქიური მოვლენით გამოწვეული ზარალის შემსწავლელი კომისიის წარმომადგენლების სია, ხოლო ეროვნული დონის სტიქიური მოვლენით გამოწვეული ზარალის შემსწავლელი კომისიის წარმომადგენლების სია თბილისის მუნიციპალიტეტის მაგალითზე⁸⁸ წარმოდგენილია დანართ 4-ში), სადაც განიხილავენ არსებულ სიტუაციას და საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამისი კომისიის წარმომადგენლებს აგზავნიან ადგილზე ზარალის ვიზუალური შეფასებისთვის. კომისიის წევრები იღებენ ფოტოებს, სწავლობენ არსებულ ვითარებას და ითვლიან კატასტროფის შედეგად დამდგარ ზარალს.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია შევადგინოთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის

⁸⁵ საქართველოს მთავრობის დადგენილება „საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის განსაზღვრის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, №68, 21 მარტი 2008. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/8014?publication=0> (ნახვა 7 მაისი 2020)

⁸⁶ საქართველოს მთავრობის დადგენილება “საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ”, N153, 4 ივნისი 2010. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1020717?publication=1> (ნახვა 7 მაისი 2020)

⁸⁷ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის შედეგების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ“, N596, 13 ივნისი 2016. <http://www.lagodekhi.gov.ge/sites/default/files/596.pdf> (ნახვა 3 მაისი 2020)


⁸⁸ საქართველოს მთავრობის დადგენილება „2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო და მდინარე ვერუს ხეობის და მიმდებარე ტერიტორიის მდგომარეობის შესწავლისა და შემდგომი აღდგენითი სამუშაოების ორგანიზების მიზნით უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“, №274, 18 ივნისი 2015. <https://matsne.gov.ge/document/view/2878850?publication=0> (ნახვა 7 მაისი 2020)

მონაცემების შეგროვების და ჩაწერის არსებული პრაქტიკის კონცეპტუალური გამოსახულება (იხ. გრაფიკი 4).

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შესახებ ინფორმაციის შეგროვება იწყება მყისიერად, მოვლენის მოხდენის შემდეგ (შექმნილი ადგილობრივი დონის საგანგებო შტაბის/კომისიის მეშვეობით). კომისიის წევრების მიერ ივსება საგანგებო სიტუაციების აღრიცხვის ფორმა⁸⁹ (იხ. დანართი 5) და ეგზავნება გუბერნატორს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს და სხვა დაინტერესებულ უწყებებს.

⁸⁹ საქართველოს მთავრობის დადგენილება “საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ”, N153, 4 ივნისი 2010. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1020717?publication=1> (ნახვა 7 მაისი 2020)

გრაფიკი 4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კატასტროფების შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის მონაცემების შეგროვების და ჩაწერის კონცეპტუალური გამოსახულება.



საგანგებო სიტუაციების აღრიცხვის ფორმა არის ერთადერთი დოკუმენტი რომელსაც შეუძლია შეაგროვოს ინფორმაცია ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შესახებ. სამწუხაროდ, დღეის მდგომარეობით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური აღნიშნულ ფორმას იყენებს მხოლოდ ხანძრების შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის აღსარიცხავად, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი ფორმა იძლევა საშუალებას შეგროვებულ იქნას ინფორმაცია სხვა კატასტროფების შესახებაც. კერძოდ, აღრიცხვის ფორმა საშუალებას იძლევა შეგროვდეს ისეთი მონაცემები როგორცაა:

- კლასიფიკაციის მიხედვით საგანგებო სიტუაციების რაოდენობა;
- ეკონომიკური ზარალი;
- დაზარალებულთა რაოდენობა:
 - დაღუპულთა რაოდენობა;
 - მათ შორის ბავშვი
 - დაავადებულთა, ტრავმირებულთა და დაშავებულთა რაოდენობა;
 - მათ შორის ბავშვი
 - დროებით გადასახლებულთა (ევაკუირებულთა) რაოდენობა.
- განადგურდა, დაიღუპა (რაოდენობა შესაბამის საზომ ერთეულში):
 - შენობა (ერთეული);
 - ნაგებობა (ერთეული);
 - ტექნიკა (ერთეული);
 - ნათესი (ჰა);
 - ტყის მასივი (ჰა);
 - შინაური ცხოველი (სული);
 - ფრინველი (ფრთა).
- დაზიანდა, დაზარალდა (რაოდენობა შესაბამის საზომ ერთეულში):
 - შენობა (ერთეული);
 - ნაგებობა (ერთეული);
 - ტექნიკა (ერთეული);

- ნათესი (ჰა);
- ტყის მასივი (ჰა);
- ტერიტორია (კმ²)
- შინაური ცხოველი (სული);
- გადარჩენილია
 - შენობა (ერთეული);
 - ნაგებობა (ერთეული);
 - ტექნიკა (ერთეული);
 - ადამიანი
 - შინაური ცხოველი (სული);
 - მატერიალური ფასეულობა (ათასი ლარი)

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში, საგანგებო სიტუაციების აღრიცხვის ფორმის ეკონომიკური ზარალის ველი არასდროს შევსებულა⁹⁰. რაც გამოწვეულია იმით, რომ არ არსებობს სტანდარტული/უნიფიცირებული მიდგომა ზარალის დათვლის, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს დაზიანებული ან განადგურებული შენობა-ნაგებობების, ტექნიკის, ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მიხედვით ნათესი ფართობების, ტყის მასივის, ინფრასტრუქტურის (საგანგებო სიტუაციების აღრიცხვის ფორმა არ მოიცავს მსგავს აქტივებს) და სხვა აქტივების ღირებულებებს. შესაბამისად, საგრძნობ დასახვეწია ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების შეგროვების და ჩაწერის ფორმა. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ახლად შემუშავებული ფორმა უნდა მოიცავდეს SENDAI-ის ჩარჩო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად აუცილებელი ინფორმაციის შესავსებ ველებს. აღნიშნული საკითხები უფრო დეტალურად განხილულია შემდეგ თავში.

⁹⁰ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს კვლევებში გვხვდება ამა თუ იმ სტიქიური მოვლენის ეკონომიკური ზარალის შეფასებები.

თავი II. ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების კლასიფიკატორები და დამდგარი ზარალის ინდიკატორები

2.1 ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების საზღვარგარეთ მოქმედი კლასიფიკატორები და დამდგარი ზარალის ინდიკატორები

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების მართვის, რისკის შემცირების, სწორი პოლიტიკის შემუშავების და გადაწყვეტილების მიღების მიზნით უმნიშვნელოვანესია კატასტროფის ზეგავლენის შეცნობა და აღრიცხვა. ზიანი და დანაკარგი მოიცავს როგორც ეკონომიკურ (ნათესი ფართობები, ინფრასტრუქტურა, უძრავი ქონება და სხვა) და ადამიანზე (დაღუპული, უგზოუკვლოდ დაკარგული, გადასახლებული და სხვა) ზემოქმედების ინდიკატორებს, ასევე გარემოზე მიყენებულ ზიანსაც (გაუდაბნობა, ჭაობების დაშრობა და სხვა). ზარალის შეფასების, აღრიცხვის და მონაცემთა ბაზაში ჩაწერის სტანდარტიზებული მიდგომა დიდ გამოწვევას წარმოადგენს, რადგან შეჯერებული არაა კატასტროფების ტერმინოლოგიები, შეფასების მეთოდოლოგიები და ადამიანთა დანაკარგების ინდიკატორები. შესაბამისად, დროსა და გეოგრაფიულ სივრცეში კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შედარების შეუძლებლობა აფერხებს კატასტროფის ტვირთის შეფასებას გლობალურ და ადგილობრივ დონეზე.

ბოლო 10 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ქვეყნების რაოდენობა (გადააჭარბა 55-ს⁹¹) რომლებიც სისტემურად ახდენენ ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების შეგროვებას და ჩაწერას. აღნიშნული პროცესის მხარდამჭერ/შემსრულებელს, როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, უმეტესწილად წარმოადგენენ ქვეყნების მთავრობები (სახელმწიფო უწყებები), თუმცა ასევე გვხვდებიან არასამთავრობო ორგანიზაციები, კვლევითი ცენტრები და კერძო კომპანიებიც (სადაზღვევო კომპანიები). გამომდინარე

⁹¹ Integrated Research on Disaster Risk (IRDR). Peril Classification and Hazard Glossary. Report N1, DATA Working Group of the IRDR. Beijing, China, p. 5; 20, 2014. <https://council.science/wp-content/uploads/2019/05/Peril-Classification-and-Hazard-Glossary.pdf> (ნახვა, 15 ივნისი 2020)

იქიდან, რომ დამდგარი ზარალის მონაცემების შეგროვება და ჩაწერა მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, ამიტომ აღნიშნული აქტივობები ხშირად ფინანსდება (რათა უზრუნველყოფილ იქნას, დროში, პროცესის უწყვეტობა) საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით. კერძოდ, 35 ქვეყანას⁹² ზარალის მონაცემების სისტემატური შეგროვებისთვის ტექნიკურ დახმარებას უწევს გაეროს კატასტროფის რისკის შემცირების სამსახური (UNDRR), ხოლო ფინანსურად მხარს უჭერს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თითოეულ მონაცემთა ბაზას აქვს სხვადასხვა სპეციფიკური მახასიათებლები (განმარტებები, კლასიფიკაცია და სხვა), მაშინ ერთი და იგივე კატასტროფა (ძირითადად ეხება პირველად და მეორად მოვლენებს) შესაძლოა კლასიფიცირდეს სხვადასხვა მოვლენად სხვადასხვა მონაცემთა ბაზაში. მაგალითად, ზვავი რომელიც გამოწვეულ იქნა დიდთოვლიანობით, შესაძლოა მონაცემთა ბაზაში ჩაიწეროს როგორც ერთი ისე მეორე დასახელებით. ან კიდევ, წყალდიდობა რომელიც გამოწვეულ იქნა გრიგალით, შესაძლოა ერთ მონაცემთა ბაზაში ჩაიწეროს როგორც წყალდიდობა, ხოლო მეორეში როგორც შკვალი⁹³. ამასთან, განსხვავებული ტერმინები აღწერს ერთი და იგივე მოვლენას. მაგალითად, გვალვა შესაძლოა ჩაწერილ იქნას როგორც ძლიერი სიცხე, ხოლო ქარბუქი როგორც ყინვა. გამომდინარე იქიდან, რომ მოვლენის განსაზღვრის სანდო წყაროებიც შესაძლოა განსხვავდებოდნენ (მოვლენა იყო წყალდიდობა, ღვარცოფი, მეწყერი თუ სამივე ერთმანეთის თანმიმდევრობით მოხდა თუ ერთად) ამიტომ ტაქსონომიების სტანდარტიზებაც სირთულეებთანაა დაკავშირებული.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების შესადარისობის უზრუნველსაყოფად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კატასტროფების კლასიფიკაციის სტანდარტიზება. თუ მოვლენის და საფრთხის კატეგორიები განსხვავდება ერთმანეთისგან, მაშინ შეუძლებელია მოახდინო ადამიანური დანაკარგების სტანდარტიზება. შესაბამისად, კატასტროფების

⁹² Grasso, V. F., and M. Dille. "A comparative review of country-level and regional disaster loss and damage databases." United Nations Development Programme Bureau for Crisis Prevention and Recovery, New York. p. 40-41, 2013. <https://www.undp.org/content/undp/en/home/librarypage/crisis-prevention-and-recovery/loss-and-damage-database/>

⁹³ ქარის უეცარი გაძლიერება 1 წუთის განმავლობაში 25 და მეტ მეტრამდე წაშში.

კლასიფიკაციის სტანდარტიზება უზრუნველყოფს, მაგალითად, წყალდიდობის შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების შესადარისობას და მონაცემებში დაფიქსირებული განსხვავება არ იქნება გამოწვეული განსხვავებული განმარტებებით ან თუ როგორ იქნა წყალდიდობა კატეგორიზებული. არამედ, შედარება გვიჩვენებს რომ განსხვავება გამოწვეულია ზარალის შეფასების მაჩვენებელში. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემთა ბაზებში თავმოყრილი ადამიანური და ეკონომიკური ზიანის და დანაკარგის ინდიკატორების არათუ დასახელებები არამედ მათი განმარტებებიც (შინაარსობრივი აღქმა) განსხვავდება ერთმანეთისგან.

ზემოთ განხილული პრობლემური საკითხების გადაჭრის და მონაცემთა ბაზების შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით ბელგიის ეპიდემიოლოგიისა და კატასტროფის კვლევითი ცენტრის (CRED) და მიუნხენის გადამზღვევი კომპანიის (Munich RE) მიერ, 2009 წელს, ერთობლივად შემუშავებულ და შემოთავაზებულ იქნა ბუნებრივი⁹⁴ კატასტროფების კლასიფიკატორი⁹⁵ (იხ. დანართი 6) და განმარტებები⁹⁶. თუმცა, რამდენიმე ქვეყნის (ინდოეთი, მოზამბიკი, ვიეტნამი და ჰონდურასი)⁹⁷ მონაცემთა ბაზების მაგალითზე სტანდარტიზებული კლასიფიკატორის გამოყენების მცდელობის შედეგად, ავტორებმა დაასკვნეს, რომ მათ მიერ შემუშავებული ბუნებრივი კატასტროფების სტანდარტიზებული კლასიფიკატორის პრაქტიკაში დანერგვა (განსაკუთრებით ეროვნულ დონეზე) დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული⁹⁸.

ამასთან, 2014 წელს, კატასტროფის რისკის შესახებ გაერთიანებული კვლევითი ორგანიზაციის (IRDR)⁹⁹ „მონაცემების პროექტის“ სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ შემუშავებულ იქნა ბუნებრივი ფაქტორებით გამოწვეული საფრთხეების

⁹⁴ ადამიანური ფაქტორით გამოწვეული კატასტროფების კლასიფიკატორი არ იქნა შეთანხმებული.

⁹⁵ Below R., Wirtz A., Guha-sapir D. Disaster Category Classification and Peril Terminology for Operational Purposes. Universite catholique de Louvain. Working paper N264. p. 5-8, October 2009. <https://www.cred.be/node/564>

⁹⁶ Wirtz A., Kron W., Löw P., and Steuer M. The Need for Data: Natural Disasters and the Challenges of Database Management. Journal of the International Society for the Prevention and Mitigation of Natural Hazards, vol. 70 (1), p. 135-157. 2014

⁹⁷ Below R., Wirtz A., Guha-sapir D. Disaster Category Classification and Peril Terminology for Operational Purposes. Universite catholique de Louvain. Working paper N264. p. 2, October 2009. <https://www.cred.be/node/564>

⁹⁸ Integrated Research on Disaster Risk (IRDR). Peril Classification and Hazard Glossary. Report N1, DATA Working Group of the IRDR. Beijing, China, p. 6, 2014. <https://council.science/wp-content/uploads/2019/05/Peril-Classification-and-Hazard-Glossary.pdf>

⁹⁹ კატასტროფის რისკის შესახებ გაერთიანებულ კვლევით (IRDR) ორგანიზაციას საფუძველი, 2008 წელს, ჩაუყარა გაეროს კატასტროფის რისკის შემცირების სამსახურმა (UNDRR), საერთაშორისო სოციალური მეცნიერების საბჭომ (ISSC) და მეცნიერების საერთაშორისო საბჭომ (ICSU).

კლასიფიკატორი¹⁰⁰ (იხ. დანართი 7) და შესაბამისი განმარტებები¹⁰¹. ავტორების მოსაზრებით, მათ მიერ შემუშავებული კლასიფიკატორის და განმარტებების გამოყენება შესაძლებელია მონაცემთა ბაზების მიერ, რომლებიც იყენებენ როგორც კატასტროფების გამსხვილებულ კლასიფიკატორს ასევე საფრთხეების დონეზე ჩაშლილ კლასიფიკატორს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ იყო მცდელობა კატასტროფების განზოგადებული და უნიფიცირებული კლასიფიკატორის შექმნისა და შესაბამისი უნიფიცირებული განმარტებების შემოღებისა, დასახული მიზანი ბოლომდე მიღწეული ვერ იქნა. ამასთან, ზემოთ აღნიშნული მცდელობები ყოველთვის მიმართული იყო ბუნებრივი კატასტროფების კლასიფიკატორების შესამუშავებლად და მცირე ძალისხმევაც კი არ გაწეულა ადამიანური ფაქტორით გამოწვეული კატასტროფების უნიფიცირებული კლასიფიკატორის¹⁰² შესაქმნელად.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის გლობალურად აღრიცხვის და შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით, 2015 წლის 18 მარტს, 185 ქვეყნის წარმომადგენელმა, 2015-2030 წლებში კატასტროფის რისკის შემცირებასთან დაკავშირებით, ხელი მოაწერა SENDAI-ის ჩარჩო ხელშეკრულებას¹⁰³ და 15 წლის მანძილზე მისალწევ მიზნად დაისახეს „კატასტროფის რისკის და ზარალის მდგრადი შემცირება საცხოვრებელ და სასიცოცხლო გარემოში, საზოგადოების, ბიზნესის, თემების და ქვეყნების ეკონომიკურ, ფიზიკურ, სოციალურ, კულტურულ და ეკოლოგიურ აქტივებში“¹⁰⁴. SENDAI-ის ჩარჩო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, შეთანხმების წევრ ქვეყნებს საშუალება ეძლევათ შეამცირონ ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების მიმართ მოწყვლადობა.

¹⁰⁰ Integrated Research on Disaster Risk (IRDR). Peril Classification and Hazard Glossary. Report N1, DATA Working Group of the IRDR. Beijing, China, p. 11, 2014. <https://council.science/wp-content/uploads/2019/05/Peril-Classification-and-Hazard-Glossary.pdf>

¹⁰¹ Integrated Research on Disaster Risk (IRDR). Peril Classification and Hazard Glossary. Report N1, DATA Working Group of the IRDR. Beijing, China, p. 12-18 2014. <https://council.science/wp-content/uploads/2019/05/Peril-Classification-and-Hazard-Glossary.pdf>

¹⁰² მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს ადამიანური შეცდომით გამოწვეული კატასტროფების კლასიფიკატორები.

¹⁰³ Lerner, M., Alternative Classification Schemes for Man-Made Hazards in the Context of the Implementation of the Sendai Framework. Inter-Agency Coordination Group on Industrial and Chemical Accidents by the United Nations Environment Programme (UNEP), p.2-3, June 5, 2016. (ნახვა, 15 ივნისი 2020) https://www.researchgate.net/publication/313302584_Alternative_Classification_Schemes_for_Man-Made_Hazards_in_the_Context_of_the_Implementation_of_the_Sendai_Framework

¹⁰⁴United Nations (UN). Sendai Framework for Disaster Risk Reduction 2015–2030. https://www.preventionweb.net/files/43291_sendaiframeworkfordrren.pdf

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების განსაზღვრა და კლასიფიცირება ასევე მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნების¹⁰⁵ (SDG) მისაღწევად. კერძოდ, მიზნები 11.ბ, 11.5 და 3.9¹⁰⁶ და მათი ინდიკატორები (დალუპული, დაზარალებული და მოწამლული ადამიანთა რაოდენობა)

11.ბ¹⁰⁷ „2020 წლისთვის მნიშვნელოვნად გაიზარდოს ქალაქებისა და დასახლებების რიცხვი, რომლებიც მიიღებენ და განახორციელებენ ინტეგრირებულ პოლიტიკას და გეგმებს ინკლუზიურობის, რესურსების ეფექტურობის, კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და შერბილების, კატასტროფებისადმი მდგრადობის მიმართულებით. განავითარებენ და დანერგავენ, 2015-2030 წლებში, კატასტროფების რისკის შემცირების SENDAI ჩარჩო ხელშეკრულების პარალელურად კატასტროფის რისკის ჰოლისტიკურ მართვას ყველა დონეზე“;

11.5¹⁰⁸ „2030 წლისთვის მნიშვნელოვნად შემცირდეს დალუპულთა და დაზარალებულთა რაოდენობა და არსებითად შემცირდეს კატასტროფის შედეგად დამდგარი ეკონომიკური დანაკარგის თანაფარდობა გლობალურ მშპ-სთან...“

პირდაპირ კავშირშია SENDAI ჩარჩო ხელშეკრულებასთან. შესაბამისად, კატასტროფების განსაზღვრის, მათი კლასიფიცირების და ზარალის ინდიკატორების შემუშავების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნებისთვის (SDG) სავალდებულო ანგარიშგების ინდიკატორებიც.

როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, არსებობს ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის აღრიცხვის სამი

¹⁰⁵ <https://sustainabledevelopment.un.org/topics/sustainabledevelopmentgoals> (ნახვა, 26 ივნისი 2020)

¹⁰⁶ Assembly, UN General. "Global indicator framework for the Sustainable Development Goals and targets of the 2030 Agenda for Sustainable Development." United Nations Statistics Division: New York, NY, USA. p. 4. 2017 https://unstats.un.org/sdgs/indicators/Global%20Indicator%20Framework%20after%202020%20review_Eng.pdf

¹⁰⁷ Assembly, UN General. "Global indicator framework for the Sustainable Development Goals and targets of the 2030 Agenda for Sustainable Development." United Nations Statistics Division: New York, NY, USA. p. 12. 2017 https://unstats.un.org/sdgs/indicators/Global%20Indicator%20Framework%20after%202020%20review_Eng.pdf

¹⁰⁸ Assembly, UN General. "Global indicator framework for the Sustainable Development Goals and targets of the 2030 Agenda for Sustainable Development." United Nations Statistics Division: New York, NY, USA. p. 12. 2017 https://unstats.un.org/sdgs/indicators/Global%20Indicator%20Framework%20after%202020%20review_Eng.pdf

გლობალური მონაცემთა ბაზა: შვეიცარიის გადამზღვევი კომპანიის (Swiss RE) ბუნებრივი კატასტროფის მონაცემთა ბაზა - Sigma; მიუნხენის გადამზღვევი კომპანიის (Munich RE) ბუნებრივი კატასტროფის მონაცემთა ბაზა - NatCat და ბელგიის ეპიდემიოლოგიისა და კატასტროფის კვლევითი ცენტრის (CRED) საგანგებო კატასტროფების მონაცემთა ბაზა - EM-DAT. ჩამოთვლილთაგან მხოლოდ Sigma-ს მონაცემთა ბაზა მოიცავს როგორც ბუნებრივ და ადამიანურ (ტექნოგენურ) კატასტროფების კლასიფიკატორს, ასევე სოციალური კატასტროფების კლასიფიკატორსაც, ხოლო EM-DAT ბუნებრივ და ცალკეულ ტექნოგენურ კატასტროფებს. ამასთან, ეროვნულ დონეზე, DesInventar-ის აღრიცხვის მიდგომა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ბუნებრივ, ტექნოგენურ და სოციალურ კატასტროფების ჩამონათვალს (კლასიფიკატორს), გამოიყენება 55 ქვეყნის მონაცემთა ბაზების უმეტესობაში.¹⁰⁹ გარდა ამისა, კატასტროფების იდენტიფიცირების სისტემა - GLIDE¹¹⁰, რომელიც შეიქმნა ზარალის მონაცემთა ბაზების ოპერატორებისთვის, გვთავაზობს ბუნებრივი და ადამიანური კატასტროფების ჩამონათვალს. ამასთან, გაეროს კატასტროფის რისკის შემცირების სამსახურის (UNDRR)¹¹¹ და ევროკავშირის (INSPIRE დირექტივა¹¹²) მიერ შემუშავებულ იქნა ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების კლასიფიკატორები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გავეცნოთ გლობალურ დონეზე გამოყენებად და შემუშავებულ კლასიფიკატორებს, რათა მიღებული გამოცდილება გამოყენებულ იქნას საქართველოსთვის ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების კლასიფიკატორის შესაქმნელად.

¹⁰⁹ Lerner, M., Alternative Classification Schemes for Man-Made Hazards in the Context of the Implementation of the Sendai Framework. Inter-Agency Coordination Group on Industrial and Chemical Accidents by the United Nations Environment Programme (UNEP), p. 5, June 5, 2016. (ნახვა, 15 ივნისი 2020) https://www.researchgate.net/publication/313302584_Alternative_Classification_Schemes_for_Man-Made_Hazards_in_the_Context_of_the_Implementation_of_the_Sendai_Framework

¹¹⁰ <https://glidenumber.net/glide/public/search/search.jsp> (ნახვა, 30 ივნისი 2020)

¹¹¹ UNDRR, Suggested List of Hazards for the Purpose of Measuring Global Targets of the Sendai Framework. https://www.preventionweb.net/files/47137_proposedlistofhazardsforglobaltarget.pdf

¹¹² <https://inspire-regadmin.jrc.ec.europa.eu/dataspecification/ScopeObjectDetail.action;jsessionid=142013E9743E14D91D946C057EFA020A?objectDetailId=10621>; <https://inspire.ec.europa.eu/codelist/NaturalHazardCategoryValue> (ნახვა, 30 ივნისი 2020)

ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემთა ბაზებიდან ყველაზე დეტალური (ჩაშლილი) კლასიფიკატორი წარმოდგენილია ბელგიის ეპიდემიოლოგიისა და კატასტროფის კვლევითი ცენტრის (CRED) საგანგებო კატასტროფების მონაცემთა ბაზაში - EM-DAT (იხ. დანართი 8). იგი მოიცავს, ბუნებრივ და ტექნოგენური კატასტროფების ჩამონათვალს. თუმცა, არ ითვალისწინებს სოციალური არასტაბილურობის (არეულობის) კატასტროფებს. ამასთან, მონაცემთა ბაზაში, მხოლოდ ბუნებრივი კატასტროფების ქვეჯგუფის (გეოფიზიკური, მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური, კლიმატოლოგიური და ბიოლოგიური) განმარტებებია¹¹³ მოცემული. აღსანიშნავია, რომ EM-DAT მონაცემთა ბაზა ერთ-ერთია იმ სამი მონაცემთა ბაზიდან (EM-DAT, Sigma და UNDRR) რომელშიც მეტ-ნაკლებად ჩაშლილია ტექნოგენური კატასტროფები¹¹⁴. კერძოდ, იგი დაყოფილია სამ ქვეჯგუფად ა) ინდუსტრიული ავარიები; ბ) სატრანსპორტო ავარიები და გ) სხვა უბედური შემთხვევები. ამასთან, ქვეჯგუფებში შემავალი კატასტროფის ძირითადი ტიპები ისეთია, რომ მონაცემთა ბაზაში ხვდება მხოლოდ ადამიანის მიერ დაუგეგმავად მომხდარი კატასტროფები და არ აისახება საბოტაჟის, ომის, ტერორიზმის შედეგად დამდგარი საფრთხეების შედეგად გამოწვეული ზარალი.

EM-DAT მონაცემთა ბაზის მსგავსად კლასიფიკატორის დეტალურ ჩაშლას გვთავაზობს ბელგიის ეპიდემიოლოგიისა და კატასტროფის კვლევითი ცენტრის (CRED) და მიუნხენის გადამზღვევი კომპანიის (Munich RE) მიერ ერთობლივად შემუშავებული ბუნებრივი კატასტროფების კლასიფიკატორი (იხ. დანართი 6). ძირითადი და უმნიშვნელოვანესი განსხვავება ამ კლასიფიკატორსა და EM-DAT მონაცემთა ბაზის კლასიფიკატორ შორის არის ის, რომ მას არ აქვს ტექნოგენური კატასტროფების კლასიფიკატორი და ბუნებრივი კატასტროფების კლასიფიკატორის გეოფიზიკურ და ჰიდროლოგიურ კატასტროფის ჯგუფებში გაყოფილია კატასტროფის ქვეჯგუფის - მასის დაძვრის „მშრალი“ და „სველი“ ასპექტები. მაშინ როდესაც EM-DAT მონაცემთა ბაზაში გვხვდება მხოლოდ მასის დაძვრის „მშრალი“ საფრთხეები. შესაბამისად, ზემოაღნიშნული განაწილება აადვილებს ერთმანეთისგან გავარჩიოთ ზვავის,

¹¹³ <https://www.emdat.be/classification> (ნახვა, 9 ივლისი 2020)

¹¹⁴ მნიშვნელოვანია, აღინიშნოს რომ მსოფლიო პრაქტიკა ტექნოგენური კატასტროფების კლასიფიკატორთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად მწირია.

ქვათაცვენის, ჯდენის და მეწყერის გამომწვევი მიზეზები ჰიდროლოგიურია თუ გეოფიზიკური. ამასთან, ერთობლივი ძალისხმევით შემუშავებულ კლასიფიკატორში განმარტებულია 23 ერთეული კატასტროფის ძირითადი ტიპი¹¹⁵.

კატასტროფის რისკის შესახებ გაერთიანებული კვლევითი ორგანიზაციის (IRDR) „მონაცემების პროექტის“ სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ შემუშავებული ბუნებრივი ფაქტორებით გამოწვეული საფრთხეების კლასიფიკატორი (იხ. დანართი 7) შედარებით ნაკლებად არის ჩაშლილი ვიდრე ბელგიის ეპიდემიოლოგიისა და კატასტროფის კვლევითი ცენტრის (CRED) და მიუნხენის გადამზღვევი კომპანიის (Munich RE) მიერ ერთობლივად შემუშავებული ბუნებრივი კატასტროფების კლასიფიკატორი. თუმცა IRDR-ის მიერ გაწეული ძალისხმევა ძალიან ღირებულია მათ მიერ შემოთავაზებული ბუნებრივი კატასტროფის 6 ოჯახის, 19 ძირითადი მოვლენის და 44 საფრთხის განმარტებების¹¹⁶ უნიფიცირების კუთხით.

შვეიცარიის გადამზღვევი კომპანიის (Swiss RE) ბუნებრივი კატასტროფის მონაცემთა ბაზის (Sigma) კლასიფიკატორი განსხვავებით ყველა სხვა მონაცემთა ბაზისგან ტექნოგენური კატასტროფების უფრო დეტალურ ჩაშლას გვთავაზობს (იხ. დანართი 9) და მასშივე გვხვდება სოციალური არასტაბილურობის (არეულობის) კომპონენტიც. რაც შეეხება ბუნებრივ კატასტროფებს, მათი ჩამონათვალი აღნიშნულ ბაზაში ძალიან მცირეა და სულ რამდენიმე საფრთხეს მოიცავს. კერძოდ, გამოყოფილია მხოლოდ მიწისძვრა, შტორმი, წყალდიდობა, სეტყვა, გვალვა, სითბური ტალღა, ბუჩქის ხანძარი და ყინულმოცვა. ხოლო დანარჩენი ბუნებრივი კატასტროფები გაერთიანებულია „სხვა დანარჩენი ბუნებრივი კატასტროფებში“. რაც შეეხება ტექნოგენურ კატასტროფებს ის განაწილებულია ექვს ჯგუფად (საჰაერო, სანაოსნო, სარკინიგზო უბედური შემთხვევები, ძირითადი ხანძრები, მადაროს უბედური შემთხვევა და სხვა უბედური შემთხვევები).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განსხვავებით სხვა მონაცემთა ბაზებისგან რომლებშიც მოცემულია ტექნოგენური კატასტროფების კლასიფიკატორი, მხოლოდ

¹¹⁵ Below R., Wirtz A., Guha-sapir D. Disaster Category Classification and Peril Terminology for Operational Purposes. Universite catholique de Louvain. Working paper N264. p. 12-15, October 2009. <https://www.cred.be/node/564>

¹¹⁶ განმარტებული არაა არამიწიერი კატასტროფის ჯგუფის შეჯახების საფრთხე, კლიმატოლოგიური კატასტროფის ჯგუფის ბალახის, ბუჩქის, სამოვრის ხანძრების საფრთხეები და ბიოლოგიური კატასტროფის ჯგუფის ვირუსული დაავადებების საფრთხე.

მოცემული მონაცემთა ბაზა აგროვებს ინფორმაციას მაღაროს უბედურ შემთხვევებზე, სოციალური არეულობით და ტერორიზმით გამოწვეულ ზარალზე. თუმცა, არ აგროვებს მონაცემებს საგზაო უბედური შემთხვევებით და ომით გამოწვეულ ზარალზე.

კატასტროფების იდენტიფიცირების სისტემა - GLIDE, რომელიც შეიქმნა ზარალის მონაცემთა ბაზების ოპერატორებისთვის გამორჩეულია სხვა მონაცემთა ბაზებისგან იმით, რომ ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების კლასიფიკატორი (იხ. დანართი 10) არის კოდირებული და ძალიან აადვილებს მსგავსი ბუნებრივი მოვლენების თუ ტექნოგენური საფრთხეების (რომელიც მასშია წარმოდგენილი) შედარებას სხვა მონაცემთა ბაზებთან. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ბუნებრივი კატასტროფები არც თუ ისე დეტალურადაა წარმოდგენილი არსებულ ბაზაში. ამასთან ტექნოგენური კატასტროფები არაა ჩაშლილი, რაც ბაზაში მონაცემების ჩამწერს აძლევს საშუალებას ნებისმიერი ადამიანური შეცდომით გამოწვეული ზარალი ერთი ჯგუფის ქვეშ გააერთიანოს.

DesInventar – ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების მონაცემთა ბაზა (იხ. დანართი 11) არ ახდენს კლასიფიკატორის დაჯგუფებას ბუნებრივ და ტექნოგენური კატასტროფებად. აღნიშნული თავისუფლება საშუალებას იძლევა ადვილად დავაკავშიროთ ერთმანეთთან კატასტროფის საფრთხე და მასთან დაკავშირებული მოწყვლადობა. ამასთან, კატასტროფების საფრთხის, გამომწვევი მიზეზის და დამდგარი ზეგავლენის არსებული ჩამონათვალი არ ზღუდავს ინფორმაციის ჩამწერს დაამატოს სხვადასხვა ვარიანტებიც. არსებული თავისუფლება დადებითთან ერთად უარყოფითიცაა, რადგან სისტემატიზებული არაა მონაცემები და შეუძლებელია შედარება სხვა ბაზის მონაცემებთან. გარდა ამისა, DesInventar მონაცემთა ბაზაში წარმოდგენილი კატასტროფების უმეტესობას არ აქვს განმარტება¹¹⁷, რაც კიდევ უფრო ართულებს შესადარისობას. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, DesInventar მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის ჩაწერის პრაქტიკა, მისი სიმარტივიდან გამომდინარე, დღეის მდგომარეობით 55-ზე მეტ ქვეყანაში გამოიყენება.

¹¹⁷ <https://www.desinventar.net/definitions.html> (ნახვა, 10 ივლისი 2020)

SENDAI ჩარჩო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გლობალური მიზნების მიღწევის მიზნით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კატასტროფის რისკის შემცირების სამსახურმა (UNDRR) შეიმუშავა „SENDAI ჩარჩო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გლობალური მიზნების გაზომვის საფრთხეების შემოთავაზებული ნუსხა“ (იხ. ცხრილი 3). კატასტროფების შემოთავაზებული კლასიფიკატორი იყოფა ოთხ ოჯახად: ბუნებრივ, ბიოლოგიურ, გარემოს და ადამიანური შეცდომით გამოწვეულ საფრთხეებად. ბუნებრივი კატასტროფების ქვეჯგუფები, საფრთხეები და ქვესაფრთხეები ძალიან მსგავსია გაერთიანებული კვლევითი ორგანიზაციის (IRDR) „მონაცემების პროექტის“ სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ შემუშავებული კლასიფიკატორის. გარემოს საფრთხეებში შედის ისეთი საფრთხეები როგორცაა ნიადაგის ეროზია, ტყის საფარის შემცირება, გაუდაბნობა, ჭარბტენიანი ტერიტორიების კარგვა და სხვა. ბიოლოგიურ საფრთხეებს მიეკუთვნება ეპიდემიები, პანდემიები და სხვა. ადამიანური შეცდომით გამოწვეული კატასტროფები იყოფა სამ ქვეოჯახად: ტექნოგენური, სატრანსპორტო ავარიები და ქიმიური და რადიოლოგიური საფრთხეები.

ევროკავშირის INSPIRE დირექტივით განსაზღვრულია ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების კლასიფიკატორი (იხ. დანართი 12). განსხვავებით ყველა ზემოთ წარმოდგენილი კატასტროფების კლასიფიკატორებისა, დირექტივაში მოცემული ბუნებრივი კატასტროფების საფრთხეები არის გაერთიანებული. კერძოდ, ერთად დაჯგუფებულია მეტეოროლოგიური და კლიმატოლოგიური საფრთხეები და გეოლოგიური და ჰიდროლოგიური საფრთხეები. ცალკე ოჯახად არის გამოყოფილი ხანძრის, ბიოლოგიური და კოსმიური კატასტროფები. ამასთან, საფრთხის ტიპებში გვხვდება „სხვა მეტეოროლოგიური/კლიმატოლოგიური“ და „სხვა გეოლოგიური/ჰიდროლოგიური“ კატეგორიები, რაც მონაცემების შეგროვების დიდ თავისუფლებას იძლევა, თუმცა ამავე დროს პრობლემას უქმნის მონაცემთა ბაზების შესადარისობას.

ცხრილი 3. UNDRR-ის კლასიფიკატორი

ოჯახი	ქვეოჯახი	საფრთხე	ქვესაფრთხე	
ბუნებრივი კატასტროფები	გეოფიზიკური	გეოლოგიური მოვლენით გამოწვეული მასის დაძვრა		
		მიწისძვრა, ცუნამი		
		ვულკანური აქტივობა	ამოფრქვევა	
			ლავის ნაკადი	
			დანაცვრა/დაფერფვლა	
	პიროკლასტური ნაკადი			
	ლაჰარი			
	მეტეოროლოგიური	კონვექციური შტორმი	წვიმა	
			ქარი	
			სეტყვა	
			თოვლი	
			ყინული	
			ქარბუქი	
			ელვა	
			ქვიშა	
			მტვერი	
			ურაგანი	
			ტორნადო	
			ექსტრემალური ტროპიკული შტორმი	
			ექსტრემალური ტემპერატურა	ცივი ტალღა
სითბური ტალღა				
ყინულმოცვა				
ნისლი	გაყინვა			
ტროპიკული ციკლონი	ციკლონური ქარი			
	ციკლონური წვიმა			
	ციკლონური ტალღა			
ჰიდროლოგიური	წყალდიდობა	მდინარის წყალდიდობა		

		მეწყერი	სანაპიროს დატბორვა
			დატბორვა
			ქალაქის წყალდიდობა
			წყალმოვარდნა
			ზვავი
			ქვათაცვენა
			ტალახის მოდინება
			ნაშალის მოდინება
			ჯდენა
			ტალღის აქტივობა
			სანაპირო ზოლის შეცვლა
კლიმატოლოგიური		გვალვა	
		მყინვარის ტბის გამოთავისუფლება	
		ბუნებრივი ხანძარი	
არამიწიერი		გავლენა	
		კოსმოსური ამინდი	
გარემოს საფრთხეები	გარემოს დეგრადირება	ეროზია	
		ტყის საფარის შემცირება	
		დამლაშება	
		ზღვის დონის აწევა	
		გაუდაზნობა	
		აზიის მტვრის/ქვიშის ღრუბელი	
		ჭარბტენიანი ტერიტორიების კარგვა/დეგრადაცია	
		მყინვარის უკან დახევა/დნობა	
ბიოლოგიური საფრთხეები	ბიოლოგიური საფრთხეები	ეპიდემიები	
		პანდემიები	
		ეპიზოტიები	
		მავნებელი	
		მწერების ინფექცია	
		ცხოველთა ინციდენტები	

		დაბინძურება
ადამიანის მიერ გამოწვეული საფრთხეები (ანთროპოგენული საფრთხეები)	ტექნოგენური საფრთხეები	ინდუსტრიული კატასტროფა
		შენობა-ნაგებობებს ნგრევა
		დენის გათიშვა
		ხანძარი
		აფეთქება
		მალაროს კატასტროფა
	ქიმიური და რადიოლოგიური საფრთხეები	ქიმიური ნივთიერების დაღვრა
		ნავთობის დაღვრა
		რადიაციული დაბინძურება, ბირთვული ინციდენტი
	სატრანსპორტო ავარიები	საავიაციო უბედური შემთხვევა
		სარკინიგზო უბედური შემთხვევა
		საგზაო უბედური შემთხვევა
		სანავიგაციო უბედური შემთხვევა
		კოსმოსური უბედური შემთხვევა

წყარო: https://www.preventionweb.net/files/47137_proposedlistofhazardsforglobaltarge.pdf (ავტორის თარგმანი)

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის აღსარიცხავად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ თუ რა ინდიკატორებით ვახდენთ ზიანის და დანაკარგის იდენტიფიცირებას. ზარალის ინდიკატორები იყოფა სამ ჯგუფად: ადამიანური და ეკონომიკური დანაკარგები და ზიანი.

ადამიანზე ზეგავლენის ინდიკატორები შესაძლოა განაწილდეს სამ საფეხურზე. პირველ საფეხურზეა ძირითადი ინდიკატორები რომლებზეც აუცილებელია ინფორმაციის შეგროვება. კერძოდ: დაღუპული, დაშავებული, დაკარგული, დაზარალებული და ეკონომიკური დანაკარგი (პირდაპირი და არაპირდაპირი დანაკარგის ჯამი). მეორე საფეხურზე გვხვდება ძირითადი ინდიკატორების უფრო დეტალური ჩაშლა. მაგალითად, დაღუპულების მაჩვენებელი მეორე საფეხურზე იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირი ზეგავლენის შედეგად დაღუპულების მაჩვენებლად. ხოლო ეკონომიკური დანაკარგი იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ ეკონომიკურ დანაკარგებად. ამასთან, მეორე საფეხურზე გვხვდება ადამიანური დანაკარგების ისეთი ინდიკატორები როგორცაა უსახლკაროდ დარჩენილი, გადასახლებული, ევაკუირებული და დაზარალებულის სტატუსს მიკუთვნებული. მესამე საფეხურზე ხდება პირველი და მეორე საფეხურზე მოცემული ინდიკატორების კიდევ უფრო დეტალიზება. მაგალითად დაშავებულის მონაცემები შესაძლოა ჩაიშალოს სქესის, ასაკის, დაშავებული ადგილის მიხედვით. ასევე, პირდაპირი ეკონომიკური დანაკარგი შესაძლოა დაკონკრეტდეს სექტორების მიხედვით (მაგ. ინდუსტრია, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა და სხვა) და დაზღვეულ¹¹⁸ და დაუზღვეველ დანაკარგად. გარდა ამისა, მესამე საფეხურზე გვხვდება არამონეტარული ეკონომიკური დანაკარგები როგორცაა: დაზიანებული/განადგურებული გზები (გაზომილი კილომეტრებში), წყლის და კანალიზაციის დაზიანებული ინფრასტრუქტურა (გაზომილი კილომეტრებში), დაზიანებული/განადგურებული ელექტროგადამცემი ხაზები, გაზის და ნავთობის მილსადენები (გაზომილი კილომეტრებში), დაზიანებული/განადგურებული ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურა (გაზომილი კილომეტრებში) და სხვა.

¹¹⁸ დაზღვეული ეკონომიკური დანაკარგი არის ისეთი დანაკარგი რომელიც ანაზღაურდება სადაზღვეო კომპანიების მიერ

სხვადასხვა ქვეყნების და გლობალური მონაცემთა ბაზების ანალიზი გვიჩვენებს რომ კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის ინდიკატორები განსხვავებულია და დამოკიდებულია იმაზე თუ რას ემსახურება ამა თუ იმ მაჩვენებლის აღრიცხვა და ჩაწერა (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4. ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის ინდიკატორების ზოგადი ჩამონათვალი

ზარალის ინდიკატორები	მონაცემთა ბაზები				
	EM-DAT	NatCat	Sigma	GLIDE	DesInventar
დაღუპული	✓		✓		✓
დაკარგული		✓	✓		✓
დაშვებული	✓	✓	✓		✓
უსახლკაროდ დარჩენილი	✓		✓		✓
დაზარალებული	✓	✓	✓		
ევაკუირებული		✓			✓
გადასახლებული		✓			✓
ქონების დაკარგვა	✓				
სავარგულის დაკარგვა	✓				
გარემოზე მიყენებული ზიანი	✓	✓	✓		
დაზღვეული დანაკარგი		✓	✓		
ინფრასტრუქტურის დაზიანება	✓	✓			✓
მთლიანი ეკონომიკური დანაკარგი	✓	✓			✓
ეკონომიკური დანაკარგი სექტორების მიხედვით	✓	✓			✓

წყარო: *Integrated Research on Disaster Risk (IRDR). Peril Classification and Hazard Glossary. Report N1, DATA Working Group of the IRDR. Beijing, China, p. 21-22, 2014.*

საქართველოზე მორგებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების კლასიფიკატორი და დამდგარი ზარალის ინდიკატორები რომლებიც

შემუთავაზებულია საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების და სამთავრობო უწყებების ინტერესების გათვალისწინებით, დეტალურად განხილულია შემდეგ ქვეთავში.

2.2 კლასიფიკატორის შემუშავების და დამდგარი ზარალის ინდიკატორების განსაზღვრის თავისებურებები საქართველოში

საქართველოში ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების კლასიფიკატორის შემუშავება მნიშვნელოვანია მოვლენების კატეგორიზაციისა და ერთიანი აღრიცხვის სისტემის შესამუშავებლად.

დღეის მდგომარეობით, საქართველოში არ მოქმედებს ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების ოფიციალური კლასიფიკატორის განმსაზღვრელი სამართლებრივი ნორმა¹¹⁹. თუმცა, კატასტროფის იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენება, 2008 წელს დამტკიცებული, საქართველოს მთავრობის დადგენილება „საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის განსაზღვრის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ (იხ დანართი 13). შესაბამისად, კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების მხოლოდ ნაწილობრივი აღრიცხვა ხდება, რაც სრულად ვერ პასუხობს ევროკავშირის INSPIRE დირექტივით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას.

იმისათვის, რომ საქართველოში სისტემურად და გამართულად მოხდეს კატასტროფების იდენტიფიცირება, დამდგარი ზარალის ჩაწერა და შესრულებულ იქნას INSPIRE დირექტივით და SENDAI ჩარჩო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, აუცილებელია მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდეს 2008 წლის მთავრობის დადგენილებაში „საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის განსაზღვრის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

¹¹⁹ საქართველოს მთავრობის დადგენილება „საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის განსაზღვრის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, №68, 21 მარტი 2008. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/8014?publication=0>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბუნებრივი საფრთხეების სხვადასხვა ფორმით კატეგორიზაციის მრავალი პრაქტიკა არსებობს მსოფლიოში. თუმცა, საქართველოსთვის ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების ოფიციალური კლასიფიკატორის შემუშავების პროცესში ჩვენ დავეყრდენით როგორც მსოფლიო პრაქტიკას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კატასტროფის რისკის შემცირების სამსახურის (UNDRR) მიერ შემუშავებულ „SENDAI ჩარჩო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გლობალური მიზნების გაზომვის საფრთხეების შემოთავაზებულ ნუსხა“-ს, ასევე, საქართველოსთვის დამახასიათებელ სპეციფიურ გარემოებებსაც¹²⁰.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოში ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფები უნდა აღირიცხოს საფრთხის სიმწვავის დონეების (ქარის სიჩქარე, ნალექის სიდიდე, დალუპული და დაკარგული ადამიანების რაოდენობა და სხვა) მიხედვით, რომ შესაძლებელი იყოს სტიქიური მოვლენის განმეორებადობასთან დაკავშირება და შესაბამისი ზარალის გამოთვლა. შემოთავაზებული მიდგომა, რადიკალურად განასხვავებს საქართველოსთვის შემოთავაზებული კატასტროფების კლასიფიკატორს კვლევის დროს შესწავლილი სხვა ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციების, კვლევითი გაერთიანებების და კერძო კომპანიების მიერ შემუშავებული კატასტროფების კლასიფიკატორებისგან.

საქართველოსთვის შემოთავაზებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების კლასიფიკატორი (იხ. დანართი 14) დაჯგუფებულია ევროკავშირის INSPIRE დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, კლასიფიკატორის პირველი ორი სვეტი - „ძირითადი ჯგუფები“ და „ქვეჯგუფები“ INSPIRE დირექტივის შესაბამისადაა მოცემული, რაც აადვილებს აღნიშნული ინფორმაციის ევროკავშირთან გაცვლას. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ INSPIRE დირექტივის შესაბამისად კლასიფიკატორის შემუშავება სრულებით არ ნიშნავს იმას რომ იგი ზედმიწევნით იმეორებს INSPIRE დირექტივით მოცემულ კლასიფიკატორს. საქართველოსთვის შემოთავაზებული ვარიანტი უფრო ფართოა და მორგებულია ქვეყნის სპეციფიკას და საჭიროებებს.

¹²⁰ გარკვეული ტიპის და დასახელების ბუნებრივი მოვლენები ისტორიულად არ დაფიქსირებულა საქართველოში.

ახალი კლასიფიკატორი შესაძლოა გამოყენებულ იქნას ურთიერთშესაძარის ინფორმაციის შეგროვებისა და გაზიარებისთვის. ერთიანი კლასიფიკატორის შემოთავაზებული ვარიანტის საშუალებით მოხდება ზარალის დათვლა და ოფიციალური სტატისტიკის წარმოება.

მნიშვნელოვანი განსხვავება დღეის მდგომარეობით მოქმედ არაოფიციალურ კლასიფიკატორსა და შემოთავაზებულს შორის გახლავთ ის, რომ მოქმედი არაოფიციალური კლასიფიკატორი გადმოტანილია ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს შექმნილი დოკუმენტიდან და ვერ პასუხობს საქართველოს და საერთაშორისო ვალდებულებებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამასთან, მსოფლიოში არსებული კლასიფიკატორებისგან განსხვავებით მას თან ახლავს საფრთხის სიმწვავის რამდენიმე დონიანი ჩაშლა, რომელიც შესაბამისი სიმწვავის კატასტროფის განმეორების შემთხვევაში საშუალებას მოგვცემს ველზე გაუსვლელად წინასწარ იქნას შეფასებული მოსალოდნელი ზარალი. გარდა ამისა, დღეის მდგომარეობით მოქმედ კატასტროფების არაოფიციალურ კლასიფიკატორს თან არ ახლავს კატასტროფების/საფრთხეების განმარტებები. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია შემუშავებულ იქნას კატასტროფების/საფრთხეების განმარტებები, რომლებიც თანხვედრაში იქნება (საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით) საერთაშორისო და კვლევითი ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ და შეთანხმებულ განმარტებებთან. აღნიშნული კი დამატებით კონსულტაციებს საჭიროებს რელევანტურ დარგის ექსპერტებთან.

საქართველოსთვის შემოთავაზებული კლასიფიკატორი იყოფა ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფებად (იხ. დანართი 14), რომელთაგან ბუნებრივი კატასტროფები ხუთ ძირითად ჯგუფადაა გაყოფილი. კერძოდ, გეოლოგიურ/ჰიდროლოგიური კატასტროფები; მეტეოროლოგიურ/კლიმატოლოგიური კატასტროფები; ხანძრები, კოსმიური და ბიოლოგიური კატასტროფები. ძირითადი ჯგუფის კატასტროფები დაჯგუფებულია 20 ქვეჯგუფის კატასტროფად, რომელშიც ასევე გაერთიანებულია 77 ბუნებრივი საფრთხე. მოქმედ არაოფიციალურ კლასიფიკატორში (იხ. დანართი 13) კი გვხვდება ორ დონიანი დაყოფა. კერძოდ, მოცემულია 16 ჯგუფი და მასში გაერთიანებული 98 საფრთხე, რომელთა გარკვეული ნაწილის დასახელება არ ემთხვევა

მსოფლიოში არსებულ პრაქტიკას, ხოლო ზოგიერთი საფრთხე საქართველოში ისტორიულად არ ფიქსირდება.

რაც შეეხება ტექნოგენურ კატასტროფებს, შემოთავაზებულ ვარიანტში გვაქვს ექვსი ძირითადი ჯგუფის კატასტროფა. კერძოდ, სატრანსპორტო ავარია (კატასტროფა); აფეთქება და ხანძარი; სამრეწველო ავარია; გარემოს დაბინძურება სამრეწველო საქმიანობით და წიაღის მოპოვებით; ინჟინრული კონსტრუქციებისა და შენობა-ნაგებობების ჩამოშლა (ავარია/დანგრევა) და ბაზისური და კრიტიკული ინფრასტრუქტურის შეჩერება. თავის მხრივ, აღნიშნული ექვსი ძირითადი ჯგუფის კატასტროფები იყოფა 39 ქვეჯგუფის კატასტროფად და მასში შემავალ 81 საფრთხედ. მოქმედ არაოფიციალურ კლასიფიკატორში გვხვდება 14 ჯგუფში გაერთიანებული 89 საფრთხე.

ბუნებრივი კატასტროფების კლასიფიკატორის შემუშავების პროცესში კონსულტაციები იქნა გავლილი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გეოლოგებთან, ჰიდროლოგებთან, მეტეოროლოგებთან და ბიოლოგებთან. ასევე, საგანგებო მდგომარეობის მართვის სამსახურთან. საქართველოს სპეციფიკის და ისტორიული მონაცემების გათვალისწინებით იდენტიფიცირებულ იქნა 77 საფრთხე, რომელიც განაწილდა 20 ქვეჯგუფში (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 5. ბუნებრივი კატასტროფების ძირითადი ჯგუფები და ქვეჯგუფები

ძირითადი ჯგუფი	ქვეჯგუფი
გეოლოგიური/ჰიდროლოგიური	გეოლოგიური
	გეოლოგიური/ჰიდროლოგიური
	სხვა გეოლოგიური/ჰიდროლოგიური
მეტეოროლოგიური/კლიმატოლოგიური	გვალვა
	ძლიერი ქარი
	ელვა
	შტორმი ზღვაზე
	გრიგალი ზღვაში
	ძლიერი ღელვა
	სხვა მეტეოროლოგიური/კლიმატოლოგიური
ხანძრები	ტყის ხანძრები და ბუნებრივი ხანძრები
	მიწისქვეშა ხანძარი

კოსმოსური	მეტეორიტის შეჯახება
	მაგნტინური ველის ნეგატიური ზეგავლენა
	მზის და კოსმოსური რადიაცია
	სხვა კოსმოსური საფრთხე
ბიოლოგიური	ეპიდემია
	ალერგია (მასიური)
	სხვა ბიოლოგიური საფრთხე
	ეპიდემია (ეპიზოოტია)

ტექნოგენური კატასტროფების კლასიფიკატორის შემუშავების პროცესში არსებული არაოფიციალური კლასიფიკატორისგან განსხვავებით მოხდა ქვეჯგუფების გამოყოფა რომლებიც საერთოდ არაა არაოფიციალურ კლასიფიკატორში (იხ. ცხრილი 6). ამასთან, ტექნოგენური კატასტროფების კლასიფიკატორის შემოთავაზებულ ვარიანტში გვხვდება სრულიად ახალი 13 დასახელების საფრთხე, რომელიც არ ფიგურირებს ამჟამად მოქმედ არაოფიციალურ კლასიფიკატორში, როგორცაა: სატრანსპორტო ავარიების ძირითად ჯგუფში მოხვედრილი სატვირთო და სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებები, მძიმე ტექნიკა, სამგზავრო და სატვირთო ბორნები, სატვირთო და სამგზავრო საჰაერო საშუალებები; ბაზისური და კრიტიკული ინფრასტრუქტურის შეჩერების ძირითად ჯგუფში არსებული ავარიები ქარის ელექტროსადგურებზე და სხვა. გარდა ამისა, მოქმედი არაოფიციალური კლასიფიკატორიდან ამოღებულ იქნა 21 დასახელების ტექნოგენური საფრთხე, როგორცაა: ავიაკატასტროფები აეროპორტებსა და დასახლებულ პუნქტებში; ავიაკატასტროფები აეროპორტებისა და დასახლებული პუნქტების გარეთ; სატრანსპორტო ავარიები ხიდებზე, სარკინიგზო გადასასვლელებზე და გვირაბებში; ატომურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ავარიები (შვიდი ერთეული); კოსმიურ სიტუაციებთან დაკავშირებული ავარიები (ოთხი ერთეული) და სხვა. ზემოხსენებული საფრთხეების ამოღება და დამატება ძირითადად ეყრდნობა საქართველოში ისტორიულად დაფიქსირებული საფრთხეების შესწავლას, მსოფლიოში არსებულ პრაქტიკას, კატასტროფის კლასიფიკატორის ფორმირების საერთაშორისო მიდგომას და კლასიფიკატორის შემუშავების პროცესში გამოვლენილ შინაარსობრივ დუბლირებებს.

ცხრილი 6. ტექნოგენური კატასტროფების ძირითადი ჯგუფები და ქვეჯგუფები

ძირითადი ჯგუფი	ქვეჯგუფი
სატრანსპორტო ავარია (კატასტროფა)	სარკინიგზო შემთხვევა
	საგზაო შემთხვევა
	საზღვაო შემთხვევა
	სამდინარე შემთხვევა
	საჰაერო შემთხვევა
	ავარია მილსადენზე და გამანაწილებელ ქსელზე
	ტრანსპორტირებისას საშიში ქიმიური ნივთიერებების გაჟონვა
	ტრანსპორტირებისას ბიოლოგიური აგენტებისა და ოქსინების გამოშვება
	ტრანსპორტირებისას რადიოაქტიური ნივთიერებების გაჟონვა
აფეთქება და ხანძარი	შენობა-ნაგებობებზე
	ტრანსპორტზე
	შახტებში, მადარობებში, მიწისქვეშა და სამთო გამონამუშევრებში
	მეტროპოლიტენის ობიექტებსა და მოძრავ შემადგენლობებზე
	ქიმიურ, ბიოლოგიურ და რადიაციულ ობიექტებზე
	ღია სივრცეში, ქუჩაში, ადამიანთა თავშეყრის, სპორტულ და კომერციულ ადგილში
	მაგისტრალურ ნავთობსადენზე და გაზსადენზე
	ელექტროენერგეტიკულ სისტემაში
	ტექნოგენური ხასიათის ტყის ხანძარი
სხვა ტიპის ობიექტებზე ან მათ ქვეშ	
სამრეწველო ავარია	საშიში ქიმიური ნივთიერებების გაჟონვა სტაციონარული წყაროებიდან
	ავარიები სამრეწველო გამწმენდ ნაგებობებზე
	ჰიდროდინამიკური ავარიები
	ავარიები ნავთობისა და გაზის სამრეწველო კომპლექსების სისტემებში
	ავარიები რადიოაქტიური ნივთიერებების გამოტყორცნით
	ბიოლოგიური აგენტებისა და ტოქსინების გამოშვება
	სტაციონარული წყაროდან
მიწისქვეშა სამუშაოების (მადაროს) ავარიები	
გარემოს დაბინძურება სამრეწველო საქმიანობით და წიაღის მოპოვებით	მიწის დაბინძურება
	ატმოსფეროს დაბინძურება
	წყლების დაბინძურება
ინჟინრული კონსტრუქციებისა და შენობა-ნაგებობების ჩამოშლა (ავარია/დანგრევა)	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ჩამოშლა
	საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობების ჩამოშლა
	საცხოვრებელი, საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების შენობა-ნაგებობების ჩამოშლა
	მიწისქვეშა ინფრასტრუქტურის ჩამოშლა
	დიდი შენობის ჩამოშლა

	კაშხლების/დამბის ჩამოშლა/ავარია
ბაზისური და კრიტიკული ინფრასტრუქტურის შეჩერება	ავარიები ელექტროენერგეტიკულ სისტემებში
	ავარიები ელექტროენერგეტიკულ ქსელებში
	ავარიები სასიცოცხლო უზრუნველყოფის კომუნალურ სისტემებში
	ავარიები კავშირგაბმულობისა და ტელეკომუნიკაციების სისტემებში

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დღეის მდგომარეობით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურები აგრძელებენ მუშაობას საქართველოსთვის შემოთავაზებულ კლასიფიკატორის და საფრთხის სიმწვავის მაჩვენებლებზე.

ზარალის ინდიკატორები

საქართველოსთვის ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის ინდიკატორების ნუსხის შემუშავებისთვის გამოყენებულ იქნა „ღია მთავრობათაშორისი ექსპერტების სამუშაო ჯგუფის ანგარიშში კატასტროფის რისკის შემცირებასთან დაკავშირებული მაჩვენებლებისა და ტერმინოლოგიის შესახებ“ SENDAI-ს ჩარჩო ხელშეკრულებაში¹²¹⁻¹²² და ევროკავშირის გაერთიანებული კვლევითი ცენტრის (JRC) სახელმძღვანელოში¹²³ მითითებული დანაკარგის მაჩვენებლების მინიმალური ჩამონათვალი, როგორც ბაზისი ეროვნული დონის ინდიკატორების შესამუშავებლად. აღნიშნულის საშუალებით უზრუნვეყოფილ იქნება მონაცემების შესადარისობა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით აღებული ვალდებულებების შესრულება. ასევე, გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებული სამთავრობო უწყებების¹²⁴ მოთხოვნები, რისი საშუალებითაც გაფართოებულ იქნა ზარალის ინდიკატორების ნუსხა.

¹²¹ UN, Report of the open-ended intergovernmental expert working group on indicators and terminology relating to disaster risk reduction, 2016. <https://www.undrr.org/publication/report-open-ended-intergovernmental-expert-working-group-indicators-and-terminology>

¹²² UN, Technical Collection of Concept Notes on Indicators for the Seven Global Targets of the SENDAI Framework for Disaster Risk Reduction, 2016. https://www.unisdr.org/files/54970_techguidancefdigitalhr.pdf

¹²³ De Grove, T., Ehrlich D. and C. Corbane. Guidance for Recording and Sharing Disaster Damage and Loss Data. JRC Scientific and Policy Reports. Joint Research Centre, European Commission, p. 8-15, 2015. https://www.researchgate.net/publication/295907537_Guidance_for_Recording_and_Sharing_Disaster_Damage_and_Loss_Data

¹²⁴ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;


იმისთვის, რომ საქართველოს ჰქონდეს კატასტროფების შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის მონაცემთა აღრიცხვის ზუსტი, სრული, შედარებითი და გამჭვირვალე სისტემა, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია მკაფიოდ განისაზღვროს ზარალის მონაცემთა აღრიცხვის კონცეპცია. საქართველოსთვის კატასტროფების შედეგად მიყენებული ზიანისა და დანაკარგის ბაზისური ინდიკატორების ფორმულირების კონცეპტუალური მოდელი წარმოდგენილია ევროკავშირის გაერთიანებული კვლევითი ცენტრის მიერ შემოთავაზებული მაგალითის მიხედვით (იხ. გრაფიკი 5).

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, ზარალის ინდიკატორები იყოფა სამ ჯგუფად: ადამიანური და ეკონომიკური დანაკარგები და ზიანი.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის მონაცემების შეგროვება უნდა განხორციელდეს კონკრეტულ მასშტაბში და შემდეგ მოხდეს მისი განაზოგადება უფრო მაღალ დონეზე. მასშტაბი, რომლის მიხედვითაც მოხდება კატასტროფებისგან მიყენებული ზარალის აღრიცხვა, პირდაპირ გავლენას მოახდენს განზოგადებული ზიანის და დანაკარგის მონაცემების ხარისხზე. საქართველოში ადამიანური დანაკარგის ინდიკატორების აღრიცხვა მიზანშეწონილია განხორციელდეს ადმინისტრაციული ერთეულების დონეზე. სივრცითი თვალსაზრისით, ასევე რეკომენდირებულია კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემის შეგროვება ყველაზე დაბალი ადმინისტრაციული ერთეულის დონეზე (მაგ., სოფელი).

ფინანსთა სამინისტრო; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

გრაფიკი 5. ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის ბაზისური ინდიკატორების ფორმულირების კონცეპტუალური მოდელი



წყარო: De Grove, T., Ehrlich D. and C. Corbane. Guidance for Recording and Sharing Disaster Damage and Loss Data. JRC Scientific and Policy Reports. Joint Research Centre, European Commission, p. 7, 2015

ადამიანური დანაკარგები

SFDRR რეკომენდაციით, მიზანშეწონილია ყველა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომაც, გამოიყენოს SENDAI ჩარჩო ხელშეკრულების A¹²⁵ და B¹²⁶ მიზნების მისაღწევად შესაბამისი მაჩვენებლები (A1, A2, A3, B1, B2, B3, B4, B5). აქედან გამომდინარე, SENDAI ჩარჩო ხელშეკრულების ტექნიკური სახელმძღვანელოს მიხედვით¹²⁷ ადამიანური დანაკარგების ინდიკატორები უნდა იყოს შემდეგი:

A1: კატასტროფასთან დაკავშირებული დაღუპული და დაკარგული ადამიანების რაოდენობა (აკუმულირებული):

- A2 - კატასტროფის შედეგად დაღუპული ადამიანების რაოდენობა;
- A3 - კატასტროფის შედეგად დაკარგული ადამიანების რაოდენობა;

B1: ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანები (აკუმულირებული):

- B2 - კატასტროფის შედეგად დაშავებული ან დაავადებული ადამიანების რაოდენობა;
- B3 - ადამიანების რაოდენობა, რომელთაც კატასტროფის შედეგად დაუზიანდათ საცხოვრებელი;
- B4 - ადამიანების რაოდენობა, რომელთაც კატასტროფის შედეგად დაენგრათ საცხოვრებელი;
- B5- ადამიანების რაოდენობა, რომელთაც კატასტროფის შედეგად დაკარგეს საარსებო წყარო¹²⁸:

- B5.1 - სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა, რომელთაც კულტურები დაზიანდა ან განადგურდა კატასტროფის შედეგად
- B5.2 - სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა, რომელთაც კატასტროფის შედეგად დაკარგეს საქონელი/პირუტყვი;

¹²⁵ 2020–2030 წლებისთვის (2005–2015 წლებთან შედარებით) ყოველ 100 000 მცხოვრებზე ბუნებრივი კატასტროფის შედეგად დაღუპულთა საშუალო რაოდენობის არსებითად შემცირება;

¹²⁶ 2020–2030 წლებისთვის (2005–2015 წლებთან შედარებით) ყოველ 100 000 მცხოვრებზე ბუნებრივი კატასტროფის შედეგად დაზარალებულთა საშუალო რაოდენობის არსებითად შემცირება;

¹²⁷ UN, Technical Collection of Concept Notes on Indicators for the Seven Global Targets of the SENDAI Framework for Disaster Risk Reduction, 2016. https://www.unisdr.org/files/54970_techguidancefdigitalhr.pdf

¹²⁸ არაპირდაპირი (მატერიალური) დანაკარგები;

- B5.3 - კატასტროფის შედეგად დაზიანებულ ან დანგრეულ კომერციულ/ბიზნეს დაწესებულებებში დასაქმებულთა რაოდენობა;
- B5.4 - კატასტროფის შედეგად დაზიანებულ ან დანგრეულ ინდუსტრიულ დაწესებულებებში დასაქმებულთა რაოდენობა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლებისა, სასურველია შეგროვებულ იქნას ინფორმაცია კატასტროფის შედეგად ევაკუირებულ და გადასახლებულ ადამიანთა რაოდენობაზეც (პირობითი კოდი B6 და B7).

მდგრადი განვითარების მიზნის (SDG) მაჩვენებლები შეიძლება ჩაიშალოს შემოსავლის, სქესის, ასაკის, რასის, ეთნიკურობის, მიგრაციული სტატუსის, ინვალიდობის, გეოგრაფიული მდებარეობის ან სხვა მახასიათებლების მიხედვით. SDG-ის მიზნებისგან განსხვავებით¹²⁹, SENDAI-ს ჩარჩო ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნები არ ითვალისწინებენ ქვემაჩვენებლების კონკრეტულ მოთხოვნებს. თუმცა, საქართველოს სხვადასხვა სამინისტროების ინტერესებიდან გამომდინარე, A და B ინდიკატორების თითოეული ქვეინდიკატორი სასურველია ჩაიშალოს შემდეგ კატეგორიებად:

- სქესი (მათ შორის ორსული/ლაქტაციის პერიოდში მყოფი);
- ასაკი (ჩაშლილი ქვეკატეგორიებად: 5 წლამდე ბავშვები, 5-14 წლის ბავშვები, 15-65 წლის ზრდასრულები და 65 წლის ზემოთ მოხუცები);
- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფები;
- უნარშეზღუდულები;
- ეთნიკური უმცირესობები.

ზიანი

ზიანის ინდიკატორი წარმოადგენს დაზარალებულ ტერიტორიაზე არსებულ განადგურებულ/დანგრეულ ან დაზიანებულ ფიზიკურ აქტივებს. ზიანის მონაცემები მიზანშეწონილია შეგროვდეს აქტივების დონეზე, რომელიც შესაძლებელია განზოგადებულ იქნას სივრცული/ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით.

¹²⁹ <https://www.un.org/sustainabledevelopment/sustainable-development-goals/> (ნახვა, 30 ივლისი 2020).

განზოგადებული მონაცემები გამოყენებული იქნება SENDAI-ს ჩარჩო ხელშეკრულების ანგარიშგებისთვის. ზიანისა და ზარალის მონაცემები შეიძლება განზოგადდეს სექტორების მიხედვით. კერძოდ:

1. საცხოვრისი
2. საზოგადო ინფრასტრუქტურა
3. ენერგეტიკა
4. განათლება
5. კულტურა
6. ჯანმრთელობის დაცვა
7. სოფლის მეურნეობა
8. მრეწველობა
9. ვაჭრობა/კომერცია
10. ბუნებრივი გარემო

სექტორის სპეციფიკური მაჩვენებლები შეიძლება დაჯგუფდეს აქტივების ტიპების მიხედვით (იხ. დანართი 15,16). დანართში მოცემული აქტივების ტიპები ეყრდნობა აშშ-ს ფედერალური საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (FEMA) ტექნიკურ სახელმძღვანელოს (Hazus-MH)¹³⁰ და დაინტერესებული მხარეების (სამინისტროების) ექსპერტების მოსაზრებებს/რეკომენდაციებს.

SFDRR რეკომენდაციით, მიზანშეწონილია ყველა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომაც, ზიანის შეფასებისთვის გამოიყენოს SENDAI ჩარჩო ხელშეკრულების C¹³¹ და D¹³² მიზნების მისაღწევად განსაზღვრული ზიანის ინდიკატორები. კერძოდ:

C1: პირდაპირი ეკონომიკური ზარალი

- C2 - კატასტროფასთან დაკავშირებული სოფლის მეურნეობის პირდაპირი ზარალი;

¹³⁰ <https://www.fema.gov/multimedia-library> (ნახვა, 1 აგვისტო 2020)

¹³¹ 2020-2030 წლებში კატასტროფის შედეგად დამდგარი პირდაპირი ეკონომიკური დანაკარგის შემცირება გლობალურ მშპ-სთან მიმართებით;

¹³² 2030 წლისთვის კატასტროფის შედეგად კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე მიყენებული ზიანის და საბაზისო სერვისების (მ.შ. ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო დაწესებულებები) შეწყვეტის არსებითად შემცირება მათი უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფის ჩათვლით

- C3 - კატასტროფასთან დაკავშირებული, ყველა სხვა დანგრეული ან დაზიანებული საწარმოო აქტივების, პირდაპირი ეკონომიკური ზარალი;
- C4 - კატასტროფასთან დაკავშირებული, საბინაო სექტორის პირდაპირი ეკონომიკური ზარალი;
- C5 - კატასტროფასთან დაკავშირებული, კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტის დაზიანებით ან დანგრევით გამოწვეული პირდაპირი ეკონომიკური ზარალი;
- C6 - კატასტროფასთან დაკავშირებული, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის დაზიანებით ან დანგრევით გამოწვეული პირდაპირი ეკონომიკური ზარალი.

D1: კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაზიანება კატასტროფის შედეგად

- D2 - კატასტროფის შედეგად დაზიანებული და დანგრეული ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების რაოდენობა;
- D3 - კატასტროფის შედეგად დაზიანებული და დანგრეული საგანმანათლებლო დაწესებულების რაოდენობა;
- D4 - კატასტროფის შედეგად დაზიანებული და დანგრეული სხვა კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტების და ერთეულების რაოდენობა;

D5: საბაზისო სერვისებით მომსახურების შეფერხება კატასტროფების შედეგად

- D6 - კატასტროფის შედეგად შეფერხებული საგანმანათლებლო სერვისების რაოდენობა;
- D7 - კატასტროფის შედეგად შეფერხებული ჯანმრთელობის დაცვის სერვისების რაოდენობა;
- D8 - კატასტროფის შედეგად შეფერხებული სხვა საბაზისო სერვისების რაოდენობა.

რაც შეეხება ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარ ეკონომიკური დანაკარგის შეფასების მეთოდოლოგიური მიდგომას, იგი განხილულია შემდეგ თავში.

თავი III. ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების მეთოდოლოგია და ადმინისტრირება საქართველოს მაგალითზე

3.1 ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების საერთაშორისო პრაქტიკა

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარ ან ბუნებრივი მოვლენის/კატასტროფის დადგომის შემდგომ. ზარალის წინასწარი შეფასება ძირითადად ხდება კვლევებით ან სადაზღვეო კომპანიების მეთოდოლოგიებით და წარმოადგენს რისკზე დამყარებულ მიდგომას. ამ ქვეთავში ჩვენ შევხებით ზარალის შეფასების იმ მეთოდოლოგიებს რომლებიც ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარ ზარალს აფასებენ მოვლენის შემდგომ პერიოდში.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების სამი განსხვავებული მიდგომა არსებობს¹³³: დამდგარი ზარალის შეფასება, დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების შეფასება და დაზარალებულთა უფლებების (სასურველი ცხოვრების დონის მისაღწევად) შეფასება. თითოეულ მიდგომას კატასტროფის შემდგომი პერიოდის შეფასების თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია. ამასთან, თითოეული მათგანი ახდენს დანარჩენი ორის გადაფარვას. კერძოდ, საჭიროებების შეფასება მოიცავს ზარალის შეფასებას, ხოლო უფლებების შეფასება კი ორივეს.

ზარალის შეფასების მიდგომა მოვლენის/კატასტროფის შედეგად დამდგარ ზარალს წარმოგვიდგენს რაოდენობრივ, ფიზიკურ და ფულად ფორმაში. აღნიშნული მიდგომის გამოყენების დროს თითქმის არ ხდება კატასტროფის შედეგად გამოწვეული სოციალური და ფსიქოლოგიური ზარალის შეფასება, რის შედეგადაც არ ხდება ბუნებრივი და

¹³³ Kelly, C., Damage, Needs or Rights? – Defining What is Required After a Disaster. Disaster Studies and Management, Working Paper no. 17, 2008.

ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის სრული შეფასება.

ამასთან, ზარალის შეფასების მიდგომის დროს, არ ხდება იმის გათვალისწინება არსებობს თუ არა შესაბამისი რესურსები აღდგენითი სამუშაოების საწარმოებლად. გარდა ამისა, აღნიშნული მიდგომის გამოყენების შედეგად შესაძლოა ზედმეტი მხარდაჭერა მიიღონ იმ პირებმა ვისაც მოეპოვებათ საკუთარი რესურსები მიღებული ზარალის დასაფინანსებლად (დანაზოგი ან დაზღვევა) და ძალიან მცირე დახმარება მიიღონ მათ ვისაც ზარალის დასაფარად საკუთარი რესურსები არ გააჩნია.

საჭიროებების შეფასების მიდგომას ძირითადად იყენებენ არასამთავრობო ორგანიზაციები და მისი გამოყენება იწყება მიღებული ზარალის შეფასებით. მიდგომის მიზანია მოახდინოს ზარალის დიფერენცირება იმის და მიხედვით თუ რა არის საჭირო აღდგენითი სამუშაოების თითოეულ ეტაპზე. მაგალითად, თუ დაზიანებულია წყლის მილები და არის წვიმების სეზონი, აღნიშნული მიდგომის გამოყენების დროს არ იქნება გათვალისწინებული მილების აღდგენისთვის საჭირო ხარჯები, რადგან მოსახლეობას შეუძლია წყლის შეგროვება წვიმის გამოყენებით¹³⁴.

ზარალის შეფასების მიდგომისგან განსხვავებით საჭიროების შეფასების მიდგომა ახდენს კატასტროფით გამოწვეული სოციალური და ფსიქოლოგიური ზარალის შეფასებასაც. კერძოდ, დაზარალებულებს უსვამენ კითხვას თუ რაში (რა მხრივ) საჭიროებს დახმარებას (ფსიქოლოგიური, თავშესაფრით უზრუნველყოფა, განათლებაზე ხელმისაწვდომობა და სხვა)¹³⁵.

აღსანიშნავია, რომ არსად არ გვხვდება იმის განმარტება თუ რას ნიშნავს და რა მინიმალური/მაქსიმალური მოცულობის შესაძლოა იყოს „საჭიროება“. ამასთან, გაურკვეველია თუ როგორ უნდა შეფასდეს დაზარალებულისთვის „საჭირო“ ფსიქოლოგიური მდგომარეობა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მიდგომის გამოყენებაც არ იძლევა კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის სრული შეფასების

¹³⁴ Kelly, C., Damage, Needs or Rights? – Defining What is Required After a Disaster. Disaster Studies and Management, Working Paper no. 17, pp 3, 2008.

¹³⁵ Kelly, C., Damage, Needs or Rights? – Defining What is Required After a Disaster. Disaster Studies and Management, Working Paper no. 17, pp 4, 2008.

შესაძლებლობას. ამასთან შესაფასებელი ელემენტების შეფასების უფრო მეტ სირთულეს ვაწყდებით ვიდრე ზარალის შეფასების მიდგომის დროს.

დაზარალებულის უფლებების შეფასების მიდგომა მსგავსია საჭიროებების შეფასების მიდგომის, რადგან მისი მიზანია შეაფასოს ნაკლოვანებების შესავსებად საჭირო დანახარჯები და არა კატასტროფის შედეგად გამოწვეული ზარალი. ამასთან, აღნიშნული მიდგომის გამოყენების დროს ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა დაზარალებულის უფლებებს (როგორცაა მინიმალური „საჭიროებები“ და სხვა), რომელიც რეგულირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანთა უფლებების დეკლარაციით. კერძოდ, შეფასების დროს ხდება იმის გამოკვლევა, იყო თუ არა შეზღუდული რაიმე ფორმით დაზარალებულის ცხოვრება კატასტროფამდე¹³⁶.

სადოქტორო კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ამ ქვეთავში ჩვენ გაგაცნობთ ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ ყოვლისმომცველ, საყოველთაოდ აღიარებულ, საუკეთესო პრაქტიკის მქონე მეთოდოლოგიებს, ასევე, მკვლევარების და სახელმწიფო ორგანოების მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიებსაც. ამასთან, წარმოდგენილი იქნება ზოგიერთი მნიშვნელოვანი მიგნებები (არამართებული გამოთვლები), რომლებიც გათვალისწინებულ იქნა ჩვენს მიერ საქართველოსთვის შეთავაზებულ მეთოდოლოგიაში.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების შესახებ არსებული ლიტერატურა, რომელიც ეხება მოვლენის შემდგომ პერიოდში შეფასებებს, შეგვიძლია დავყოთ სამ ჯგუფად. **პირველი**, კვლევები რომელიც აფასებენ სპეციფიური ტიპის ზეგავლენას. კერძოდ, მოკლევადიანი და გრძელვადიანი, პირდაპირი და არაპირდაპირი და კონკრეტულ სექტორზე ეკონომიკური ზეგავლენა. **მეორე**, რომლებშიც მოყვანილია კონკრეტული ბუნებრივი

¹³⁶ Moore, W. R., and Willard P. Review of ECLAC damage and loss assessments in the Caribbean. pp 12, 2014.

მოვლენის/კატასტროფის (მაგ. მიწისძვრა¹³⁷, გვალვა¹³⁸, წყალდიდობა¹³⁹ და სხვა) შედეგად დამდგარი ზარალის შეფასება. მესამე, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების ყოვლისმომცველი მეთოდოლოგიები¹⁴⁰.

D. Eckhardt, A. Leiras და A. Marcio TT-ს მიერ 2019 წლის კვლევის¹⁴¹ თანახმად მსოფლიოში არსებობს ბუნებრივი მოვლენის/კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების 12 მეთოდოლოგია და 11 ზოგადი ჩარჩო მონახაზი (framework). კერძოდ:

- ECLAC DaLA - გაერთიანებული ერების კარიბის და ლათინო ამერიკის ეკონომიკური კომისიის მიერ შექმნილი კატასტროფით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური ზარალის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების სახელმძღვანელო¹⁴². აღნიშნული მეთოდოლოგია (გზამკვლევი) ერთ-ერთი ყველაზე ფართო გამოყენებისაა მსოფლიოში (ბევრი სხვა მეთოდოლოგია იყენებს მასში წარმოდგენილ მიდგომას და გამოთვლით ფორმულებს), თუმცა სახელმწიფო ინტერესებისთვის მისი გამოყენება საჭიროებს მნიშვნელოვან ადაპტირებას.

¹³⁷ Erdik M. K., Şeşetyan, M. B., Demircioğlu, U. H., and Zülfişkar C. Rapid earthquake loss assessment after damaging earthquakes. *Soil Dynamics and Earthquake Engineering* 31, no. 2 pp 247-266, 2011;

Cardona O. D., Mario G. O., Luis E. Y., Mabel C. M., and Barbat A. H. Earthquake loss assessment for integrated disaster risk management. *Journal of Earthquake Engineering* 12, no. S2 pp 48-59, 2008.

¹³⁸ Nagarajan Ramanathan. *Drought assessment*. Springer Science & Business Media, 2010;

Y. Ding, M.J. Hayes, M. Widhalm, Measuring economic impacts of drought: a review and discussion, *Disaster Preview Management* 20 (4), pp 434-446, 2011. <https://doi.org/10.1108/09653561111161752>

Cui, Y., Shangming J., Juliang J., Shaowei N., and Ping F. Quantitative assessment of soybean drought loss sensitivity at different growth stages based on S-shaped damage curve. *Agricultural Water Management* 213, pp 821-832, 2019.

¹³⁹ Jonkman B., etc. Integrated Hydrodynamic and Economic Modelling of Flood Damage in the Netherlands, *Ecological Economics*, Volume 66 pp. 77-90, 2008;

Dutta D., Srikantha H., Musiaka K. A Mathematical Model for Flood Loss Estimation, *Journal of Hydrology Number 277* pp. 24 – 49, 2003.

The World Meteorological Organization (WMO) and the Global Water Partnership (GWP), Associated Programme on Flood Management (APFM), Issue 2, June 2013;

Ruiz V. Flood Loss Assessment. Associated Programme on Flood Management (APFM), Issue 27, June 2017.

[https://www.researchgate.net/publication/318339432 APFM Tools Series - Flood Loss Assessment](https://www.researchgate.net/publication/318339432_APFM_Tools_Series_-_Flood_Loss_Assessment)

¹⁴⁰ APEC Workshop on Damage Assessment Techniques, Guidelines and best practices for post-disaster damage and loss assessment, Yogyakarta, 3-6 August, pp 21-37, 2009;

Moore, W. R., and Willard P. Review of ECLAC damage and loss assessments in the Caribbean. pp 11-18, 2014.

¹⁴¹ Eckhardt D, Leiras A, Thomé AM. Systematic literature review of methodologies for assessing the costs of disasters. *International journal of disaster risk reduction* 33, pp 398-416, 2019.

¹⁴² ECLAC, Handbook for Estimating the Socio-economic and Environmental Effects of Disasters. LC/MEX/G.5. LC/L.1874, 2003. <https://repositorio.cepal.org/handle/11362/2782>

DaLA მეთოდოლოგია გამოიყენება სოციალურ-ეკონომიკური და გარემოზე მიყენებული ზარალის შესაფასებლად. ზარალის შეფასება ეყრდნობა დაზიანებული აქტივის აღსადგენად საჭირო რესურსის გამოთვლას (აღდგენით ღირებულებას) და ახდენს ზიანის და დანაკარგის კლასიფიცირებას პირდაპირ, არაპირდაპირ და მაკროეკონომიკურ ზარალად. გამომდინარე იქიდან, რომ მეთოდოლოგია მულტიექტორული (აფასებს შენობა-ნაგებობების, სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანდაცვის, წარმოების და კომერციის, ტურიზმის და გარემოზე მიყენებულ ზიანს) და საკმაოდ კომპლექსურია, ამიტომ მისი შესწავლის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების სრულად წარმოდგენა მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული. თუმცა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას რამდენიმე მიგნებას. კერძოდ:

- მეთოდოლოგია 2003 წელს არის შექმნილი და საჭიროებს მნიშვნელოვან განახლებას;
- ზარალის შეფასება სტანდარტიზებული არაა (შეფასების სტანდარტული ფორმები არაა შემუშავებული), შესაბამისად ძნელია სხვადასხვა მოვლენით გამოწვეული ზარალის შედარება;
- შენობა-ნაგებობების ზარალის შეფასების ნაწილში¹⁴³ მითითებულია თუ რა უნდა იქნას გამოთვლილი. ასევე მოცემულია გამოსათვლელი ცვლადების განმარტებები, მაგრამ არაა მოყვანილი ფორმულები, რაც გამოთვლის სხვადასხვა ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა. ამასთან, შენობა-ნაგებობების დაზიანების მხოლოდ სამი დონეა შემოთავაზებული (სრულად დანგრეული, ნახევრად დანგრეული და დაუზიანებელი), რაც ჩვენი მოსაზრებით ზარალის შეფასებისთვის მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს.

¹⁴³ ECLAC, Handbook for Estimating the Socio-economic and Environmental Effects of Disasters. LC/MEX/G.5. LC/L.1874, pp 75-91, 2003. <https://repositorio.cepal.org/handle/11362/2782>

- თუ უძრავი ქონების მეპატრონეს არ აქვს სურვილი შეფასებულ იქნას ზარალი, მაშინ მისი დაზიანებული შენობა-ნაგებობის მონაცემები საერთოდ არ იქნება აღრიცხული, რაც, ჩვენი შეფასებით, აღნიშნული მიდგომა, ზარალის მონაცემთა ბაზას არასრულფასოვანს ხდის;
- ისევე როგორც ყველა არსებული ზარალის შეფასების მეთოდოლოგია, DaLA მეთოდოლოგიაც ვერ გვთავაზობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისთვის და ხელოვნების ნიმუშისთვის მიყენებული ზარალის შეფასების სტანდარტიზებულ მიდგომას და გვთავაზობს ინდივიდუალურად მოხდეს თითოეული დაზიანებული აქტივის შეფასება;
- ტრანსპორტზე და კომუნიკაციაზე მიყენებული ზარალის შეფასების ფორმულა¹⁴⁴ ძალიან არაპრაქტიკულია და საკმაოდ ძნელია მისი პრაქტიკაში დანერგვა.
- სოფლის მეურნეობისთვის მიყენებული ზარალის შეფასებისთვის გამოყენებული მიდგომები თითქმის არ ითვალისწინებს სექტორისთვის დამახასიათებელ ნიუანსებს. როგორცაა სეზონურობა, მოსავლიანობა და გასაწევი ხარჯები რეგიონების მიხედვით და სხვა.
- PDNA - კატასტროფის შემდგომი საჭიროებების ანალიზი, რომელიც დაფუძნებულია DaLA მეთოდოლოგიაზე და დამატებით აფასებს კატასტროფით გამოწვეულ სოციალურ და ფსიქოლოგიურ ზეგავლენასაც.
- HAZUS - აშშ-ს ფედერალური საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (FEMA) მიერ შემუშავებული რისკების შეფასების მეთოდოლოგია¹⁴⁵, რომელიც გამოიყენება წყალდიდობის, ტორნადოს და მიწისძვრის შედეგად გამოწვეული ზარალის შესაფასებლად. მეთოდოლოგიის ყველაზე დიდ პლიუს წარმოადგენს ის, რომ იგი ეყრდნობა გეოგრაფიული მონაცემების სისტემას (GIS) და მასში თავმოყრილია ისეთი დეტალური ინფორმაცია

¹⁴⁴ ECLAC, Handbook for Estimating the Socio-economic and Environmental Effects of Disasters. LC/MEX/G.5. LC/L.1874, pp 169-171, 2003. <https://repositorio.cepal.org/handle/11362/2782>

¹⁴⁵ <https://www.fema.gov/flood-maps/products-tools/hazus> (ნახვა, 20 იანვარი 2021)

როგორცაა შენობა-ნაგებობების განლაგება და კლასიფიკაცია, მოსახლეობის რაოდენობა, კომუნიკაციების რუკები, მდინარეების მოდიფიკაციის სიმძლავრეები, გეოგრაფიული ტერიტორიებზე ნალექიანობის სიდიდეები და სხვა. თუმცა, აღნიშნული მონაცემების დეტალიზაცია და ზარალის დათვლისთვის მათი შევსების აუცილებლობა უმეტეს შემთხვევაში განაპირობებს სხვა ქვეყნების მიერ მის გამოყენებლობას (მაგ. საქართველოს შემთხვევაშიც). ამასთან, სისტემა მოითხოვს მონაცემების მუდმივ განახლებას, რაც მნიშვნელოვან განახლებულ კვლევებთან და ფინანსებთანაა დაკავშირებული. ასევე, სოფლის მეურნეობისთვის მიყენებული ზარალის შესაფასებლად გამოყენებულია ისეთი მიდგომა რომელიც თითქმის არ ითვალისწინებს სოფლის მეურნეობისთვის დამახასიათებელ გარემოებას.

- IDEA¹⁴⁶ - ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის გამოყენებით ბუნებრივი კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასება. აღნიშნული მიდგომის გამოყენების მიზანს წარმოადგენს მონაცემთა გაუმჯობესებული შეგროვების და ანალიზისთვის ახლად შექმნილი მეთოდების გამოყენება, რათა:
 - დაეხმაროს სახელმწიფოს შესაბამის უწყებას ეფექტურად მართოს კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის აღრიცხვის და აღდგენის პროცესი;
 - ხელი შეუწყოს რისკის შეფასების პროცესის გაუმჯობესებას მომავალში მოსახდენი შემთხვევებისთვის.
- MIRA¹⁴⁷ - მულტი სექტორული წინასწარი სწრაფი შეფასების მეთოდოლოგია შემუშავებულ იქნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის, არასამთავრობო ორგანიზაციების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, დონორი ორგანიზაციების და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტების მიერ. იგი კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასებისთვის იყენებს როგორც მიმდინარე ასევე ისტორიულ მონაცემებს. აღნიშნული

¹⁴⁶ Improving Damage assessments to Enhance cost-benefit Analyses. http://www.ideaproject.polimi.it/?page_id=11

¹⁴⁷ MIRA, Multi-Cluster/Sector Initial Rapid Assessment Guidance. Revision July 2015, IASC - Inter-Agency Standing Committee, pp 2, 2015.

შეფასების მეთოდოლოგიას ძირითადად იყენებს ჰუმანიტარული დახმარების ორგანიზაციები, რათა სიღრმისეულად შეაფასოს კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალი და ეფექტურად დაგეგმოს რეაგირების ფაზები;

- IRA¹⁴⁸ - წინასწარი სწრაფი შეფასების მეთოდოლოგია გამოიყენება ბუნებრივი მოვლენის/კატასტროფის შემდგომი ზოგადი სიტუაციის შესაფასებლად, რათა გამოვლენილ იქნას კატასტროფის ზეგავლენა და ის საჭიროებები რაც დაზარალებულ მოსახლეობას ესაჭიროება დაუყოვნებლივ. ასევე, მისი დახმარებით განისაზღვრება ჰუმანიტარული დახმარების პრიორიტეტები და მომავალში გასატარებელი ღონისძიებები;
- SAF¹⁴⁹ - სპეციალური შესავსები ფორმა, რომელიც საშუალებას იძლევა ერთმანეთს შეედაროს წარსული და მომავალი დიდი მასშტაბის ბუნებრივი მოვლენის შედეგად გამოწვეული დანაკარგები. ასევე, აღნიშნული მიდგომა გამოიყენება ზეგავლენის ფულად ფორმაში გადასაყვანად და პირდაპირი და არაპირდაპირი და არამატერიალური ზეგავლენის შესაფასებლად;
- SEIA - სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენის შეფასების მოდელი, რომელიც შემუშავებულ იქნა Stephenson-ის¹⁵⁰ და მისი კოლეგების მიერ. აღნიშნული მოდელი აფასებს ტყის ხანძრების შედეგად გამოწვეულ პირდაპირ და არაპირდაპირ დანაკარგებს და ბიზნეს პროცესის შეფერხების შედეგად გამოწვეულ დანახარჯებს;
- EMA - კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების სახელმძღვანელო შემუშავებულ იქნა ავსტრალიის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ¹⁵¹. აღნიშნული სახელმძღვანელო გამოყენების თვალსაზრისით ყველაზე მარტივია, სხვა დანარჩენ ზემოთ ჩამოთვლილ

¹⁴⁸ IASC. Initial Rapid Assessment (IRA) Tool: Guidance Notes.

http://www.who.int/hac/network/global_health_cluster/ira_guidance_note_june_2009.pdf

¹⁴⁹ O. Petrucci, G. Gullà, A support analysis framework for mass movement damage assessment: applications to case studies in Calabria (Italy), Nat. Hazards Earth Syst. Sci. 9 (2), 2009.

O. Petrucci, A.A. Pasqua, G. Gullà, Landslide damage assessment using the Support Analysis Framework (SAF): the 2009 landsliding event in Calabria (Italy), Adv. Geosci. 26 pp 13-17, 2010 <https://doi.org/10.5194/adgeo-26-13-2010>

¹⁵⁰ C. Stephenson, J. Handmer, R. Betts, Estimating the economic, social and environmental impacts of wildfires in Australia, Environ. Hazards-Hum. Policy Dimensions 12 (2), pp 93-111, 2013. <https://doi.org/10.1080/17477891.2012.703490>

¹⁵¹ EMA, Australian Disaster Resilience Manual 27: Disaster Loss Assessment Guidelines, 2002, Australian Institute for Disaster Resilience CC BY-NC, 2002. <file:///C:/Users/g.modebadze/Downloads/5362.pdf>

მეთოდოლოგიებს შორის. EMA ზარალის შეფასების დროს იყენებს სამ (საჭიროებიდან გამომდინარე ერთ-ერთს): გასაშუალოების, სინთეტურ - ყოვლისმომცველ და გამოკითხვის მიდგომას¹⁵².

- გასაშუალოების მიდგომის დროს ზარალის შეფასება ხდება შესაბამისი სიმძლავრის ბუნებრივი მოვლენის დროს დამდგარი ზარალების გასაშუალოებით;
- სინთეტურ - ყოვლის მომცველი მიდგომის დროს, ზარალის შესაფასებლად გამოიყენება წინასწარ შექმნილი მონაცემთა ბაზები (შენობა-ნაგებობების ტიპები, გასაშუალოებული შიდა აღჭურვილობა და სხვა) და კომპიუტერული პროგრამები;
- გამოკითხვის მიდგომის გამოყენების შემთხვევაში ბუნებრივი მოვლენის/კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალი ფასდება დეტალურად და არ ეყრდნობა ისტორიულ თუ სხვა მონაცემებს.

მნიშვნელოვანის აღნიშნოს, რომ EMA მეთოდოლოგიის საშუალებით ხდება ბუნებრივი მოვლენის/კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის მიახლოებითი შეფასება და არა ზუსტი ზარალის გამოთვლა;

- და სხვა¹⁵³

გარდა ზემოთ მოყვანილი მეთოდოლოგიებისა მნიშვნელოვანია განვიხილოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციფიკური მეთოდოლოგიები, რადგან მათში თავმოყრილია მნიშვნელოვანი მიდგომები, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა საქართველოსთვის შემუშავებულ მეთოდოლოგიაში.

გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ შემუშავებულია სოფლის მეურნეობისთვის მიყენებული ზარალის შეფასების მეთოდოლოგია¹⁵⁴, რომელიც აფასებს შემდეგი ტიპის ზარალებს:

¹⁵² APEC Workshop on Damage Assessment Techniques, Guidelines and best practices for post-disaster damage and loss assessment, Yogyakarta, 3-6 August, pp 31-32, 2009;

¹⁵³ Eckhardt D, Leiras A, Thomé AM. Systematic literature review of methodologies for assessing the costs of disasters. International journal of disaster risk reduction 33, pp 403-404, 2019.

¹⁵⁴ Conforti, P., Markova, G., & Tochkov, D. FAO's methodology for damage and loss assessment in agriculture. FAO Statistics Working Paper 19-17. Rome. 2020 <https://doi.org/10.4060/ca6990en>

- პირდაპირი ზიანი გამოწვეული ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დაზიანების შედეგად;
- პირდაპირი ზიანი გამოწვეული ცოცხალი პირუტყვის დახოცვის ან დაკარგვის შედეგად;
- პირდაპირი ზიანი გამოწვეული ტყის დაზიანების შედეგად;
- პირდაპირი ზიანი გამოწვეული აკვაკულტურის დაზიანების შედეგად;
- პირდაპირი ზიანი სათევზე მეურნეობის დაზიანების შედეგად.

ჩვენს მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი აღნიშნული მეთოდოლოგია და გათვალისწინებულ იქნა შეფასების მიდგომები. თუმცა, საქართველოს სპეციფიკიდან და არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე, გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობისთვის მიყენებული ზარალის შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილ გამოთვლით ფორმულებს დაემატა მნიშვნელოვანი დეტალები და გარკვეული კორექტირებები იქნა შეტანილი. მაგალითად, ჩვენს მიერ მხედველობაში იქნა მიღებული ბუნებრივი მოვლენა/კატასტროფა სეზონის რა პერიოდში ხდება. ასევე, გათვალისწინებულია ნათესი ფართობის სრულად განადგურების შემთხვევაში ფერმერს რომ აღარ მოუწევს დაგეგმილი ხარჯების გაღება და სხვა (საქართველოს მაგალითზე დეტალური შეფასების მეთოდოლოგია და გამოთვლითი ფორმულები წარმოდგენილია შემდეგ ქვეთავში).

SENDAI ჩარჩო ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობის მიზნით, გაეროს კატასტროფის რისკის შემცირების სამსახურმა მოახდინა გაერთიანებული ერების კარიბის და ლათინო ამერიკის ეკონომიკური კომისიის მიერ შექმნილი კატასტროფით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური ზარალის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების სახელმძღვანელოს (DaLA) გამარტივება¹⁵⁵. აღნიშნულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ფასდება/ითვლება:

- გარდაცვლილთა რაოდენობა;
- დაზარალებულთა რაოდენობა;

¹⁵⁵ United Nations Office for Disaster Risk Reduction (UNISDR). Technical guidance for monitoring and reporting on progress in achieving the global targets of the Sendai Framework for Disaster Risk Reduction. 2017 https://www.preventionweb.net/files/54970_techguidancefdigitalhr.pdf

- ეკონომიკური ზარალი, კერძოდ:
 - ზარალი სოფლის მეურნეობაში, რომელიც ეყრდნობა გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას;
 - შენობა-ნაგებობების დაზიანებით ან განადგურებით გამოწვეული ზარალი;
 - წარმოების შეფერხებით და წარმოების აქტივების დაზიანებით და/ან განადგურებით გამოწვეული ზარალი;
 - კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაზიანებით და/ან განადგურებით გამოწვეული ზარალი;
 - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანებით და/ან განადგურებით გამოწვეული ზარალი.
- დაზიანებული ინფრასტრუქტურის რაოდენობა¹⁵⁶ და სერვისის მიწოდების შეფერხება.

ჩვენს მიერ აღნიშნული მეთოდოლოგიის დეტალური შესწავლის შემდეგ გამოვლენილ იქნა შენობა-ნაგებობების დაზიანებით ან დანგრევით გამოწვეული ზარალის შეფასების ფორმულაში მოცემული ცვლადის (მშენებლობის კვადრატული ღირებულება) ამომწურავი განმარტების აუცილებლობა (იხ. დანართი 17). წინააღმდეგ შემთხვევაში შენობა-ნაგებობების დაზიანებით ან დანგრევით გამოწვეული ზარალის შეფასების ფორმულა არაა მართებული. ამასთან, გათვალისწინებული არაა მშენებლობის ღირებულების რეგიონული ფაქტორი და სხვა ელემენტები, რომლებიც გამოყენებულია საქართველოს მაგალითზე დეტალური შეფასების მეთოდოლოგიაში.

¹⁵⁶ მაგალითად, x რაოდენობის სკოლების, ბაღების, კლინიკების და სხვა დაწესებულების რაოდენობა, გზის და ხიდის სიგრძე.

3.2 ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების შემუშავებული მეთოდოლოგია საქართველოში დასაწერად

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის, პრობლემების და გამოწვევების ეფექტურად გადაჭრის მიზნით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა კატასტროფის რისკის შემცირების (DRR) სტრატეგია და სამოქმედო გეგმა¹⁵⁷. კატასტროფის რისკის შემცირების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების ერთიანი სისტემის შემუშავება. ამჟამად არ არსებობს ერთობლივი და სისტემატიზებული მექანიზმი კატასტროფების შედეგად მიყენებული ზარალის შეფასების (მეთოდოლოგია), მონაცემთა შედარებისა და ანალიზისთვის, რაც აფერხებს კატასტროფების შემდგომი აღდგენისთვის და ანგარიშებისთვის ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას და მონაცემთა ხელმისაწვდომობას რისკის ანალიზისთვის. გარდა ამისა, ბუნებრივი საფრთხეების შედეგად მიყენებული ზარალის შეფასების უნიფიცირებული მეთოდოლოგიის არარსებობა ერთგვარი გამოწვევაა საქართველოს მთავრობისთვის შეასრულოს SENDAI-ის ჩარჩო კატასტროფის რისკის შემცირებისთვის (SFDRR) და ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

საქართველოსთვის ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებით გაუმჯობესდება ისეთი საკითხების მართვა, როგორც არის: აღრიცხვა (სტანდარტიზაცია, საერთაშორისო მეთოდოლოგიასთან შესადარისობა, ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობა, სიზუსტე), კომპენსაცია (სამართლიანი და ეფექტიანი სახელმწიფო დახმარების მექანიზმი, ადგილობრივ საზოგადოებასთან, კერძო სექტორთან და საერთაშორისო თანამეგობრობასთან თანამშრომლობის

¹⁵⁷ http://gov.ge/files/469_59429_120118_4.pdf (ნახვა 1 მარტი, 2021)

შესაძლებლობები, სადაზღვევო ბაზრის განვითარება), დასაბუთება/პრიორიტეტიზაცია (დაცვისა და პრევენციული ღონისძიებების საჭიროების შეფასება და საჭირო პრევენციული პოლიტიკის უკეთ არგუმენტირება) და რისკის მოდელირება (რისკების შეფასების დაზუსტება ადგილობრივი მონაცემების გამოყენებით, არაპირდაპირი დანაკარგების პროგნოზირებით და ეკონომიკური მოდელების შემუშავებით).

კატასტროფით გამოწვეული ზარალის სწორად და ერთიანი მეთოდოლოგიით აღრიცხვა და აღდგენითი საჭიროებების შეფასება მნიშვნელოვანია სტიქიის დადგომისას სამოქმედო ნაბიჯების დროულად განხორციელებისთვის და კატასტროფით გამოწვეული შედეგების მაქსიმალურად ეფექტიანად აღმოფხვრისათვის, ასევე, ბუნებრივი კატასტროფების საფრთხეების შეფასებისა და მოდელირებისათვის.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების საერთაშორისო პრაქტიკის და სხვადასხვა შეფასების სახელმძღვანელოს მიდგომების გათვალისწინებით ზოგიერთი სექტორისთვის (განსაკუთრებით კერძო ოპერირების ქვეშ მყოფი ინფრასტრუქტურული სექტორისთვის) მიყენებული დანაკარგისა და ზიანის შეფასება, ასევე, სექტორული მონაცემების სიზუსტე უშუალოდ კერძო ორგანიზაციების პასუხისმგებლობის ქვეშ ექცევა. საზოგადოებრივი და/ან სახელმწიფო მფლობელობაში არსებული სექტორებისთვის, კატასტროფის შემდგომი დანაკარგისა და ზიანის შეფასება ხდება სპეციალურად მომზადებული შემფასებლების მიერ, რომლებიც შეფასებას განახორციელებენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების და/ან უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ეგიდით.

საქართველოსთვის ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების მეთოდოლოგია მოიცავს ზიანის და დანაკარგის ორ კატეგორიას, რომელიც თანაბრად მართებულია ყველა ქვემოთ განხილული სექტორისთვის. კერძოდ:

- პირდაპირი ზარალი შენობების ფიზიკური ელემენტების მიმართ (კონსტრუქციები, აღჭურვილობა და ა.შ.);

- არაპირდაპირი ზარალი, რომელიც მიადგა მწარმოებელს. კერძოდ, კატასტროფის შემდეგ მოკლე ან ხანგრძლივი ვადით შეფერხებულ სერვისებთან დაკავშირებული დანაკარგები.

საქართველოსთვის შემოთავაზებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასება ხდება შემდეგი სექტორებისთვის:

- **საცხოვრისი და არასაცხოვრისი შენობა-ნაგებობები;**
- **საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა:**
 - საგზაო ინფრასტრუქტურა;
 - სარკინიგზო ინფრასტრუქტურა;
 - აეროპორტები;
 - საზღვაო ინფრასტრუქტურა;
 - წყალმომარაგების, წყალარინების და მყარი ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურა;
 - ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურა;
 - საზოგადოებრივი შენობები (სამთავრობო/ადმინისტრაციული, პოლიცია, სახანძრო და სამაშველო სამსახურის შენობა-ნაგებობები);
 - საპატიმრო დაწესებულებები;
 - სასაფლაოები.
- **ენერგეტიკა:**
 - ელექტროენერჯია
 - ბუნებრივი აირი
 - ნავთობი
- **განათლება;**
- **კულტურა;**
- **ჯანმრთელობის დაცვა;**
- **სოფლის მეურნეობა.**

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების მეთოდოლოგია ზემოთ ჩამოთვლილი სექტორების გარდა დამატებით შესამუშავებელია მრეწველობის და წარმოება/კომერციის სექტორებისთვისაც. აღნიშნული სექტორების სპეციფიკიდან გამომდინარე ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის შესამუშავებლად საჭიროა დამატებით კვლევა. ამასთან, გარემოზე მიყენებული ზარალის შეფასების მეთოდოლოგიური მიდგომა წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 14 იანვრის, #54 დადგენილებაში - ტექნიკური

რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდოლოგია“ დამტკიცების შესახებ¹⁵⁸.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის ჩვენს მიერ შემუშავებული გამოთვლით ფორმულებში მოცემული ცვლადები შეგვიძლია დავყოთ სამ კატეგორიად. კერძოდ:

- ცვლადები რომლებიც წინასწარ განსაზღვრული და ინტეგრირებული უნდა იყოს ზიანისა და დანაკარგის შეფასების პროგრამულ უზრუნველყოფაში;
- ზიანის და დანაკარგის მახასიათებელი ცვლადები რომლებიც აირჩევა შემფასებლის მიერ წინასწარ მომზადებული მახასიათებელი ცვლადების მენიუდან;
- შემფასებლის მიერ საველე შეფასების პროცესში მოსაგროვებელი მონაცემები.

3.2.1 საცხოვრისი და არასაცხოვრისი შენობა-ნაგებობები

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად უმეტეს წილად ზიანდება შენობა-ნაგებობები და სასოფლო-სამეურნეო მიწები. ეკონომიკური აქტივობების მნიშვნელოვნად გადაჯაჭვულობიდან გამომდინარე, შენობა-ნაგებობების და სასოფლო-სამეურნეო მიწების დაზიანება ასევე იწვევს ბიზნესის საქმიანობის შეფერხებას და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესებას. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია ზარალის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნას ყველა დეტალი რომელიც გავლენას ახდენს მიღებული ზიანის და დანაკარგის გამოთვლაზე.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების მეთოდოლოგია ეფუძნება ზიანის და დანაკარგის აღდგენით ღირებულებას.

¹⁵⁸ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2195792> (ნახვა, 4 მარტი 2021)

ქვემოთ მოყვანილი გამოთვლითი ფორმულები და პარამეტრები განკუთვნილია საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული შენობა-ნაგებობების გამოსაკვლევად და ამის საფუძველზე მათი ტექნიკური მდგომარეობის ან საერთო ვარგისიანობის ინდექსის დადგენით ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული ზარალის გამოსათვლელად.

შენობა-ნაგებობის დაზიანებად მიიჩნევა ცალკეული კონსტრუქციების, ელემენტების ან მთლიანობაში, გარე ფაქტორებით გამოწვეული პირველადი (საპროექტო) ტექნიკურ-ეკონომიური თვისებების დაკარგვა (მდგრადობა, სიმტკიცე, უსაფრთხოება და სხვა).

ზარალის შეფასება ხდება შენობის გამოკვლევის პერიოდში დაზიანების ხარისხის განსაზღვრით ვიზუალური ან ინსტრუმენტული (ხელსაწყოებით) გამოკვლევების შედეგად. ზარალის ოდენობა განისაზღვრება ღონისძიებების და სამუშაოების შეფასებით, რომელიც ჩასატარებელია შენობა-ნაგებობების და მისი ელემენტების აღსადგენად.

დაზიანებული შენობა-ნაგებობების აღდგენითი ღირებულების გამომთვლელ ფორმულაში და შეფასების კრიტერიუმებში ჩვენს მიერ შემოტანილ იქნა ისეთი ცვლადები და განმარტებები რომლებიც არ გვხვდება არცერთ საერთაშორისო ორგანიზაციის, კვლევითი ინსტიტუტის თუ კერძო კომპანიის ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების სახელმძღვანელოში, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან სამეცნიერო სიახლეს. კერძოდ:

- ჩვენს მიერ შემოთავაზებულ იქნა დაზიანების ხარისხის განმსაზღვრელი რვა კატეგორია და შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტების დაზიანების კატეგორიის დადგენის კრიტერიუმები და განმარტებები (იხ. დანართი 18; 19)¹⁵⁹.

დაზიანების კრიტერიუმის დადგება ხდება შესაფასებელი შენობა-ნაგებობების გამოკვლევით - ვიზუალურად, მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით. ვიზუალური გამოკვლევა მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით ტარდება შენობის ფიზიკური, საერთო სივრცითი მდგომარეობის,

¹⁵⁹ მომზადებულია მშენებლობის შემფასებელთა კავშირის პრეზიდენტის მარინა ხოფერიას აქტიური ჩართულობით.

გეომეტრიული უცვლელობის და სიხისტის, შენობის და მისი ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების ხილული დაზიანების, დეფექტების ან დეფორმაციების გამოვლენისათვის და შენობათა დაზიანების ხარისხის განსაზღვრისთვის.

შენობის გამოკვლევისთვის საჭიროა მოსახლეობის გამოკითხვა, კონსტრუქციების მდგომარეობის დაფიქსირება-ფოტოგრაფირება.

შენობის გამოკვლევა იწყება მისი გარე და შიგა ზოგადი დათვალიერებით, შემდეგ კი დეტალურად გამოიკვლევა ცალკეული კონსტრუქციული ელემენტები.

დანართ 19-ში მითითებულია, თუ როგორი ხასიათის დაზიანება ახასიათებს თითოეულ კატეგორიას და რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება ცალკეული ელემენტების დათვალიერებისას. გამოკვლევების შედეგად დაზიანების კატეგორია ენიჭება ყველა კონსტრუქციულ ელემენტს და საერთო დაზიანების ხარისხის გამოთვლა ხდება საშუალო შეწონილით. რის შედეგადაც დგინდება დაზიანების და შესაბამისად ზარალის შეფასების კატეგორია I-დან VIII-მდე.

- მოვახდინეთ შენობების კლასიფიკაცია და მათი გამოსადეგობის ვადის (ასაკი) განსაზღვრა (იხ დანართი 20)¹⁶⁰.

დაზიანების შედეგად შენობა-ნაგებობის ზიანის გამოთვლისას აგრეთვე გასათვალისწინებელია შენობის ხანდაზმულობა (ასაკი). კერძოდ ახლით გამოწვეული ფიზიკური და მორალური ცვეთა. შენობა-ნაგებობის, მისი ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების ფიზიკური ცვეთა გულისხმობს დროთა განმავლობაში თავდაპირველი ფიზიკურ-მექანიკური და ტექნიკურ-საექსპლუატაციო თვისებების დაკარგვას.

- რეგიონებში ტრანსპორტირებით გამოწვეული ხარჯების შემასწორებელი კოეფიციენტები.

¹⁶⁰ მომზადებულია მშენებლობის შემფასებელთა კავშირის პრეზიდენტის მარინა ხოფერიას აქტიური ჩართულობით.

შენობა-ნაგებობის ერთი ერთეულის (მ²) ღირებულება (საპროექტო და ანალოგებით) განსაზღვრულია რესურსების ტრანსპორტირების პირველადი საბაზისო ზონისთვის (I ზონა: თბილისი, ბათუმი და ქუთაისი).

საქართველოს სხვა რეგიონებისათვის (იხ. დანართი 21) შენობა-ნაგებობების ღირებულების განსაზღვრისას ტრანსპორტირების ხარჯების გასათვალისწინებლად გამოყენებული უნდა იყოს რეგიონალური შემასწორებელი კოეფიციენტი¹⁶¹ (იხ. ცხრილი 7)

ცხრილი 7. სამშენებლო მასალების რეგიონებში ტრანსპორტირებით გამოწვეული ხარჯების შემასწორებელი კოეფიციენტები

სატრანსპორტო ზონირები	ადმინისტრაციული ერთეულების და ქალაქების ჩამონათვალი	კოეფიციენტები
I (საბაზისო)	თბილისი, ბათუმი, ქუთაისი	1.0
II	მცხეთა, ოზურგეთი, ზესტაფონი, ვანი და სხვა	1.03
III	ბორჯომი, ბაღდათი, ახალციხე და სხვა	1.042
IV	ცაგერი, წალკა, ამბროლაური და სხვა	1.06
V	სტეფანწმინდა, ნინოწმინდა და სხვა	1.078
VI	მესტია	1.085

იმისათვის რომ მაქსიმალურად მოგვეცვა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების ტიპები, მშენებლობის შემფასებელთა კავშირის პრეზიდენტის მარინა ხოფერიას აქტიური ჩართულობით დათვლილ იქნა 15 საცხოვრებელი სახლის (იხ. ცხრილი 8) და 27 არასაცხოვრებელი ტიპის შენობა-ნაგებობის (იხ. ცხრილი 9) ერთი ერთეულის (მ²) აღდგენის ღირებულება (იხ. დანართი 22) 2019 წლის ფასებით.

ცხრილი 8. საცხოვრებელი შენობების ტაქსონომია

ჯგუფი -1	საცხოვრებელი სახლები:
1.1	<i>მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები.</i>
1.1-1	სხვილპანელოვანი 8-9 სართულიანი სახლები (“ლვოვის” და “მოსკოვის” პროექტები)

¹⁶¹ რეგიონული შემასწორებელი კოეფიციენტები გამოთვლილია ავტორის მიერ.

1.1-2	კარკასულ-პანელოვანი 14-16 სართულიანი სახლები;
1-1-3	თანამედროვე მრავალსართულიანი სახლები (მონოლითური რ/ბეტონის კარკასი შევსება ბლოკით)
1.1-4	3-4 სართულიანი აგურის სახლები "სტალინური" ტიპის);
1.1-5	მსხვილბლოკური 4-5 სართულიანი სახლები ("ხრუმჭოვკა"-ის ტიპის)
1.1-6	გაუმჯობესებული მსხვილბლოკური სახლი 7-8 სართულიანი ("ხრუმჭოვკა"-ს ტიპის)
1.1-7	მსხვილბლოკური სახლები 9-10 სართულიანი ("ჩეხური", "ვედძისი"-ის ტიპის)
1.2	<i>ინდივიდუალური სახლები:</i>
1.2-1	ორსართულიანი აგურის სახლი
1.2-2	ორსართულიანი სახლი რკინაბეტონის კარკასით, კედლების შევსება აგურით
1.2-3	ერთსართულიანი ბუნებრივი ქვის სახლი
1.2-4	ორსართულიანი ბუნებრივი ქვის სახლი
1.2-5	ერთსართულიანი ბლოკის სახლი
1.2-6	ერთსართულიანი ბლოკის სახლი
1.2-7	ორსართულიანი სახლი: I სართ-ქვა II სართ-ხე
1.2-8	ერთსართულიანი ხის კოჭები

ცხრილი 9. არასაცხოვრებელი შენობების ტაქსონომია

ჯგუფი-2	დასასვენებელი, სპორტული, კულტურული ნაგებობების, სატუმროების და რესტორნები
2.1	<i>დასასვენებელი ნაგებობები:</i>
2.1-1	კინოთეატრი მცირე
2.1-2	კინოთეატრი დიდი
2.2	<i>სპორტული ნაგებობები:</i>
2.2-1	ყინულის მოედანი
2.2-2	ღია საცურაო (საჭყუმპალაო) აუზი
2.2-3	დახურული საცურაო აუზი
2.2-4	საბაგირო-ზამთრის სპორტის ნაგებობა
2.2-5	სტადიონი საწვრთნელი მოედანი
2.2-6	სტადიონი სათამაშო
2.2-7	სპორტული კომპლექსური დარბაზი
ჯგუფი-3	კომერციული შენობები, საწყობები და სამრეწველო შენობები, ტრანსპორტთან დაკავშირებული შენობები.
3.1	<i>კომერციული დანიშნულების შენობები:</i>
3.1-1	მცირე სავაჭრო ჯიხური-ლითონის, პროფნასტილის კედლებით

3.1-2	მცირე სავაჭრო ჯიხური-ბეტონის ბლოკის კონსტრუქცია
3.1-3	მცირე სავაჭრო ჯიხური-მეტალოპლასტიკის კონსტრუქცია
3.1-4	სავაჭრო ცენტრი-მოლი (რ/ზ შუშით შემინული)
3.1-5	საოფისე შენობა
3.2	<i>საწყობებისა და სამრეწველო დანიშნულების შენობები:</i>
3.2-1	მაცივარ-საწყობი (ლითონის კონსტრუქცია-სენდვიჩ პანელი)
3.2-2	საწყობი (რ/ზ საწარმოო ტიპის)
3.3	<i>სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შენობები:</i>
3.3-1	ფერმა-ბოსელის მშენებლობა
3.4	<i>სამრეწველო შენობები:</i>
3.4-1	სამრეწველო შენობა რ/ბეტონის -არსებული ფონდი)
ჯგუფი-4	ტრანსპორტთან დაკავშირებული ნაგებობები:
4.1	<i>მიწისქვეშა ნაგებობა-გადასასველი</i>
4.2	<i>ავტოსადგომი ღია (რ/ზ გადახურული ლითონით)</i>
ჯგუფი-5	სასტუმროების და რესტორნების შენობები
5.1	<i>სასტუმრო სახლი</i>
5.2	<i>სასტუმრო დასასვენებელი ტიპის</i>
5.3	<i>ცალკე მდგარი რესტორანი</i>
ჯგუფი-6	ჯამთელობასთან დაკავშირებული ნაგებობები:
6.1	<i>კლინიკა-საავადმყოფო</i>
ჯგუფი 7	კანონისა და წესრიგის დაცვის სამსახურის ან საავარიო-სამაშველო სამსახურის, სამხედრო ნაგებობები:
7.1	<i>პოლიციის განყოფილების შენობა</i>
7.1-1	პოლიციის განყოფილების შენობა (თანამედროვე შენობა)
7.1-2	ადმინისტრაციული შენობა (რაიონების)
7.2	<i>საავარიო-სამაშველო სამსახურის შენობები (თანამედროვე შენობა)</i>
7.2-1	სახანძრო განყოფილებების შენობა

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დაზიანებული შენობა-ნაგებობით მიღებული ზარალი შეგვიძლია გამოვთვალოთ შემდეგი ფორმულით:

$$D = DB + UP$$

სადაც

- DB - შენობა-ნაგებობების დაზიანების ღირებულება.
- UP - ინვენტარის დაზიანების ღირებულება.¹⁶²

¹⁶² შიგთავსის ღირებულების შესწორების (Uplift) სტანდარტული ფაქტორები დაფუძნებულია შენობის ერთეულის ადდგენის ღირებულებაზე და შიგთავსისა და აღჭურვილობის ღირებულება განისაზღვრება როგორც დაზიანებული შენობა-ნაგებობის გარკვეული პროცენტი.

$$DB = \left(\sum_i^n V_0 * P_i * S_0 * DD_i \right) * k * r$$

$$UP = V_0 * S_0 * U_e * DI$$

სადაც,

$$S_0 = F \times f$$

$$k = 100 - (70 * n / N)$$

V_0 - შენობის ერთეულის ($1m^2$) ღირებულება მიმდინარე ფასებში¹⁶³, შენობის ტიპის მიხედვით (იხ. დანართი 22)¹⁶⁴.

P_i - შენობის i ელემენტის (იატაკი, კედელი, სახურავი და აშ.) ღირებულების ხვედრითი წილი, შენობის ერთეულის ღირებულებაში m^2 -ზე (იხ. დანართი 22).

DD_i - შენობის i ელემენტის დაზიანების ხარისხი (%)

ცვლადის მნიშვნელობა დამოკიდებულია შემფასებლის გადაწყვეტილებაზე, რომელიც ეფუძნება შენობის კატასტროფის შემდგომი მდგომარეობის შედარებას, იმავე შენობის ჰიპოტეტურ, კატასტროფამდელ მდგომარეობასთან (იხ. დანართი 18, 19).

DI - ინვენტარის დაზიანების ხარისხი (%).

S_0 - დაზიანებული შენობის ფართობი (m^2).

F - შენობის მიერ დაკავებული ნაკვეთის ფართობი (m^2).

f - სართულების რაოდენობა.

k - შენობის ცვეთის/ამორტიზაციის კოეფიციენტი (%).

r - მშენებლობის ღირებულების რეგიონული ფაქტორი. რეგიონებში ტრანსპორტირებით გამოწვეული ხარჯების შემასწორებელი კოეფიციენტები (იხ. ცხრილი 7).

¹⁶³ 2019 წლის ფასები

¹⁶⁴ მომზადებულია მშენებლობის შემფასებელთა კავშირის პრეზიდენტის მარინა ხოფერიას აქტიური ჩართულობით.

U_e - შიგთავსის ღირებულების შესწორების ფაქტორი (Uplift factor), ინვენტარიზაცია, მოძრავი და უძრავი აღჭურვილობა (იხ. ცხრილი 10).

N - შენობის ასაკი კლასიფიკაციის მიხედვით (იხ. დანართი 20)

n - შენობის ფაქტიური ასაკი

შენობა-ნაგებობებისთვის, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის გამოთვლით ფორმულაში მოცემული ცვლადები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

წინასწარ განსაზღვრული/ინტეგრირებული მონაცემები

V_0 - შენობის ერთეულის ($1m^2$) ღირებულება მიმდინარე ფასებში, შენობის ტიპის მიხედვით.

P_i - შენობის i ელემენტის(იატაკი, კედელი, სახურავი და აშ.) ღირებულების ხვედრითი წილი, შენობის ერთეულის ღირებულებაში m^2 -ზე.

r - მშენებლობის ღირებულების რეგიონული ფაქტორი.

U_e - შიგთავსის ღირებულების შესწორების ფაქტორი (Uplift factor), ინვენტარიზაცია, მოძრავი და უძრავი აღჭურვილობა.

N - შენობის ასაკი კლასიფიკაციის მიხედვით.

მონაცემები, რომლებიც უნდა განისაზღვროს შეფასების პროცესში

DD_i - შენობის i ელემენტის დაზიანების ხარისხი (პროცენტებში).

DI - ინვენტარის დაზიანების ხარისხი (პროცენტებში).

F- შენობის მიერ დაკავებული ნაკვეთის ფართობი (m^2).

f - სართულების რაოდენობა.

k - შენობის ცვეთის/ამორტიზაციის კოეფიციენტი (%).

n - შენობის ფაქტიური ასაკი.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე გათვალისწინებული იქნას ბუნებრივი კატასტროფის შედეგად განადგურებული მიწის ღირებულებაც რომელზეც იდგა შენობა-ნაგებობა:

$$LC = L$$

სადაც,

LC - განადგურებული მიწის ღირებულება

წინასწარ განსაზღვრული/ინტეგრირებული მონაცემები

L - მიწის არსებული ნაკვეთის ღირებულება.

თავისი არსით, კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალი არა მხოლოდ უშუალოდ შენობა-ნაგებობის დაზიანებასთანაა დაკავშირებული, არამედ ზიანის და დანაკარგის გაანგარიშებისას ასევე მნიშვნელოვანია შენობაში არსებული სხვადასხვა აღჭურვილობის, ინვენტარისა და სხვა სახის შიგთავსის (მაგ., პირადი ნივთები) დაზიანების გათვალისწინება. საერთაშორისო პრაქტიკით მიღებულია, რომ შიგთავსის/ინვენტარის ღირებულება წარმოადგენს მთლიანი ნაგებობის ღირებულების გარკვეულ ნაწილს.

საქართველოსთვის შემუშავებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ზარალის შეფასებისას შიგთავსთან/ინვენტართან დაკავშირებული პროპორციები ეფუძნება ლონდონის (მიდლსექსი) საფრთხის ცენტრის (the Middlesex (London) Hazard Centre) მონაცემებს. აღნიშნული ცენტრის მიერ შემუშავებულია მონაცემთა ბაზა¹⁶⁵, რომელიც ასახავს დამოკიდებულებას ნაგებობისა და მისი შიგთავსის/ინვენტარის ღირებულებას შორის 34 სახის საცხოვრებელი ნაგებობისთვის (ტიპისა და ასაკის მიხედვით)¹⁶⁶. ასევე, ლონდონის საფრთხის ცენტრის (the Middlesex (London) Hazard Centre) მიერ შემუშავებულია არასაცხოვრისი შენობა-ნაგებობებისთვის შიგთავსის/ინვენტარის პროპორციები.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს შენობა-ნაგებობების კომპონენტების წილის პროცენტული მაჩვენებლები სხვადასხვა ტიპის შენობების ერთეული (მ²) ღირებულებაში მაღალ კორელაციაშია (იხ. დანართი 23) ბრიტანეთის მაჩვენებლებთან, ამიტომ, საქართველოსთვის შეგვიძლია დროებით გამოვიყენოთ ლონდონის საფრთხის ცენტრის

¹⁶⁵ 40 წლიანი დაკვირვების შედეგად.

¹⁶⁶ მსგავსი მიდგომა რეკომენდირებულია ასევე გაერთიანებული ერების ლათინო ამერიკის და კარიბის ეკონომიკური კომისიის (ECLAC) და მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში. United Nations, Economic Commission for Latin America and the Caribbean (ECLAC) and International Bank for Reconstruction and Development (The World Bank), Handbook for Estimating the Socio-economic and Environmental Effects of Disasters. P 114. 2003.

მიერ შემუშავებულია საცხოვრისი და არასაცხოვრისი შენობა-ნაგებობებისთვის შიგთავსის/ინვენტარის პროპორციები (uplift cost-ების კოეფიციენტები. იხ ცხრილი 10), მანამ სანამ არ იქნება მსგავსი საშუალო კოეფიციენტი გამოყვანილი სპეციალური კვლევის საფუძველზე საქართველოსთვის.

ცხრილი 10. საცხოვრისის და არასაცხოვრისის შიგთავსის/ინვენტარის ღირებულების შესწორების % მაჩვენებლები

საცხოვრებელი შენობა-ნაგებობები	14%	აგურის საწყობი	181%	ბიბლიოთეკა	35%
სუპერმარკეტი	178%	სასტუმრო	11%	სახანძრო - სამაშველო სამსახური	10%
ჰიპერმარკეტი	169%	დიდი სასტუმრო	33%	ჰოსპიტალი	12%
შოურუმი	200%	თეატრი	17%	დიდი ჰოსპიტალი	13%
კოსკი	16%	სათამაშო მოედანი	7%	ეკლესია	128%
საზოგადოებრივი სახლი	19%	სპორტული ცენტრი	6%	დამწყები ერთეული	5%
კაფე - რესტორანი	27%	ნავმისადგომი	15%	საკანალიზაციო საქმიანობა	4%
მცირე ოფისი	18%	სპორტული მოედანი	17%	პარკინგი	0%
დიდი ოფისი	16%	სკოლა	14%	დიდი სასაწყობე დეპო	200%
ბანკის შენობა	14%	უნივერსიტეტი	18%	საოფისე შენობა	17%
სასაწყობო შენობა	200%	საოპერაციო	12%	დიდი საოფისე შენობა	23%
ტრადიციული საცალო ვაჭრობა (მცირე)	31%	სათემო ცენტრი	4%		
ტრადიციული საცალო ვაჭრობა (დიდი)	41%				

3.2.2 საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა

საქართველოსთვის შემოთავაზებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასება, როგორც ზემოთ

აღვნიშნეთ მოიცავს საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურის სექტორსაც. კერძოდ: საგზაო, სარკინიგზო და საზღვაო ინფრასტრუქტურას; აეროპორტებს; წყალმომარაგების, წყალარინების და მყარი ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურას; ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურას; საზოგადოებრივი შენობების (სამთავრობო/ადმინისტრაციული, პოლიცია, სახანძრო და სამაშველო სამსახურის შენობა-ნაგებობები), საპატიმრო დაწესებულებების ინფრასტრუქტურას და სასაფლაოებს.

I. საგზაო ინფრასტრუქტურა

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურით მიღებული ზიანი და დანაკარგი შეგვიძლია დავითვალოთ შემდეგი ფორმულით:

$$RD = \sum_i^n \sum_j^m \sum_k^f (E_{ijk} * L) + PL + CL$$

სადაც,

RD - საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებით მიღებული ზარალი (აღდგენითი ღირებულებით)

E_{ijk} - დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურის ელემენტის ერთეულის ღირებულება.

- i - გზა, ხიდი, გვირაბი, ბერმა, გაბიონი და სხვა ნაპირსამაგრი ნაგებობა.
- j - საერთაშორისო მნიშვნელობის, შიდა სახელმწიფოებრივი, ადგილობრივი, საწარმოს/შიდასამეურნეო, საფეხმავლო, სამანქანო გზები.
- k - ასფალტის, ბეტონის, გრუნტის, რკინის, რკინა-ბეტონის, ხის გზები.

L - დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურული ელემენტის სიგრძე (გრძ/მ).

PL - მწარმოებლის დანაკარგები.

CL - მომხმარებლის დანაკარგი.

მწარმოებლის დანაკარგები

გამომდინარე იქიდან, რომ მწარმოებლის დანაკარგის გამოთვლა უნდა უზრუნველყოს დაზარალებულმა კომპანიამ და ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ზარალის დათვლა იყოს უნიფიცირებული. ამიტომ, ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა ზიანის და დანაკარგის შეფასების შესაბამისი ფორმულა კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის. კერძოდ, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებით გამოწვეული მწარმოებლის დანაკარგი შესაძლებელია გამოთვლილ იქნას შემდეგი ფორმულით:

$$PL = CC + \sum_i^n (F_i * N_o * W_i) + (FR * N_o) + S + O + \sum_i^n \sum_j^m (CU_{i,j} * CF_{i,j}) + B + DI$$

სადაც,

CC – სატრანსპორტო საშუალების ღირებულება.

F_i - მომსახურების ღირებულება მარშრუტის (მანძილის) მიხედვით.

N_o - მგზავრთა რაოდენობა წინა წლის იმავე თვეში.

W_i - მგზავრთა ნაწილი, რომლებიც იყენებენ ხელმისაწვდომი ტიპის ბილეთებს, სადაც *i* წარმოადგენს მარშრუტს (დისტანცია).

FR - კერძო პირების ან კომპანიების მიერ გადახდილი ნებისმიერი ფრანჩიზა ან ქირის ღირებულება, სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების /დაქირავებისთვის.

S - კომერციულ სატრანსპორტო საშუალებებში სერვისების გაყიდვიდან (მაგ., მცირე კაფეები დიდი ზომის ავტობუსებში და ა.შ.) მიღებული შემოსავლები.

O - დამატებითი საოპერაციო და საექსპლუატაციო ხარჯი

CU_{i,j} - ტვირთის ღირებულება ტვირთის ტიპის (*j*), და მარშრუტის (*i*) მიხედვით ერთეულზე. მაგალითად ავტოსატრანსპორტო კომპანიებისთვის.

CF_{i,j} - შეფერხებული სატვირთო ერთეულების რაოდენობა, ტვირთის ტიპის (*j*), და მარშრუტის (*i*) მიხედვით ერთეულზე.

B – ბუნებრივი მოვლენის ან კატასტროფის შედეგად დარღვეული ნებისმიერი ხელშეკრულების/კონტრაქტის ღირებულება ან კომპენსაცია.

DI - მარშრუტების დარღვევის ან მარშრუტების ცვლილებებით გამოწვეული დამატებითი ხარჯები (მათ შორის მოვლენის შედეგად დამატებით მოხმარებული საწვავის ღირებულება = დამატებითი დისტანცია * საწვავის ღირებულება).

მომხმარებლის დანაკარგები¹⁶⁷

$$CL = W * T + SU + DI - B$$

სადაც,

W - სამუშაოს ანაზღაურება

T - დამატებითი დრო, რომელიც მოვლენამდე იხარჯებოდა სამუშაოზე, მოვლენის შემდეგ კი იხარჯება მგზავრობაზე.

SU - სხვა სახეობის ტრანსპორტის ან კომუნიკაციის დამატებითი ღირებულება, რომელიც გამოყენებული იქნება საგზაო ტრანსპორტის ჩასანაცვლებად საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანების შემდეგ.

DI - მარშრუტების დარღვევის ან მარშრუტების ცვლილებებით გამოწვეული დამატებითი ხარჯები (მათ შორის მოვლენის შედეგად დამატებით მოხმარებული საწვავის ღირებულება = დამატებითი დისტანცია * საწვავის ღირებულება).

B - ბუნებრივი მოვლენის ან კატასტროფის შედეგად დარღვეული ნებისმიერი ხელშეკრულების/კონტრაქტის ღირებულება ან კომპენსაცია.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის გამოთვლით ფორმულაში მოცემული ცვლადები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

წინასწარ განსაზღვრული/ინტეგრირებული მონაცემები:

E_{ijk} - დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურის ელემენტის ერთეულის ღირებულება.

F_i - მომსახურების ღირებულება მარშრუტის (მანძილის) მიხედვით.

¹⁶⁷ არაკომერციული ორგანიზაციებისთვისაც

N_o - მგზავრთა რაოდენობა წინა წლის იმავე თვეში.

W_i - მგზავრთა ნაწილი, რომლებიც იყენებენ ხელმისაწვდომი ტიპის ბილეთებს, სადაც i წარმოადგენს მარშრუტს (დისტანცია).

$CU_{i,j}$ - ტვირთის ღირებულება ტვირთის ტიპის (j), და მარშრუტის (i) მიხედვით ერთეულზე. მაგალითად ავტოსატრანსპორტო კომპანიებისთვის.

მონაცემები, რომლებიც უნდა განისაზღვროს შეფასების პროცესში

CC - სატრანსპორტო საშუალების ღირებულება

L - დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურული ელემენტის სიგრძე (გრძ/მ)

FR - კერძო პირების ან კომპანიების მიერ გადახდილი ნებისმიერი ფრანჩიზა ან ქირის ღირებულება, სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების /დაქირავებისთვის.

S - კომერციულ სატრანსპორტო საშუალებებში სერვისების გაყიდვიდან (მაგ., მცირე კაფეები დიდი ზომის ავტობუსებში და ა.შ.) მიღებული შემოსავლები.

O - დამატებითი საოპერაციო და საექსპლუატაციო ხარჯი

$CF_{i,j}$ - შეფერხებული სატვირთო ერთეულების რაოდენობა, ტვირთის ტიპის (j), და მარშრუტის (i) მიხედვით ერთეულზე.

B - ბუნებრივი მოვლენის ან კატასტროფის შედეგად დარღვეული ნებისმიერი ხელშეკრულების/კონტრაქტის ღირებულება ან კომპენსაცია.

DI - მარშრუტების დარღვევის ან მარშრუტების ცვლილებებით გამოწვეული დამატებითი ხარჯები (მათ შორის მოვლენის შედეგად დამატებით მოხმარებული საწვავის ღირებულება = დამატებითი დისტანცია * საწვავის ღირებულება).

W - სამუშაოს ანაზღაურება

T - დამატებითი დრო, რომელიც მოვლენამდე იხარჯებოდა სამუშაოზე, მოვლენის შემდეგ კი იხარჯება მგზავრობაზე.

SU - სხვა სახეობის ტრანსპორტის ან კომუნიკაციის დამატებითი ღირებულება, რომელიც გამოყენებული იქნება საგზაო ტრანსპორტის ჩასანაცვლებად საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანების შემდეგ.

II. წყალარინებისა და მყარი ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურა

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დაზიანებული წყალარინებისა და მყარი ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურით მიღებული ზიანი და დანაკარგი შეგვიძლია დავითვალოთ შემდეგი ფორმულით:

$$ID = \sum_i^n (E_i * L) + PL + CL$$

სადაც,

ID - წყალარინებისა და მყარი ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის დაზიანებით მიღებული ზარალი (აღდგენითი ღირებულებით).

E_i - დაზიანებული წყალარინებისა და მყარი ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის ელემენტის ერთეულის ღირებულება.

o *i* - ბეტონის, რკინის, რკინა-ბეტონის, პლასტმასის მილები.

L - დაზიანებული წყალარინებისა და მყარი ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურული ელემენტის სიგრძე (გრძ/მ).

PL - მწარმოებლის დანაკარგები.

CL - მომხმარებლის დანაკარგი.

საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე შეუძლებელია გამოთვლილ იქნას წყალარინებისა და მყარი ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის დაზიანებით გამოწვეული დანაკარგები შინამეურნეობებისთვის და არასაცხოვრებელი ობიექტებისთვის. თუმცა, მომავალში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ჩვენს მიერ შემოთავაზებული ფორმულები ზემოაღნიშნული დანაკარგების შეფასებისთვის.

მწარმოებლის დანაკარგები

გამომდინარე იქიდან, რომ მწარმოებლის დანაკარგის გამოთვლა უნდა უზრუნველყოს დაზარალებულმა კომპანიამ და ამასთან, მნიშვნელოვანია ზარალის უნიფიცირებული დათვლა. ამიტომ, ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა ზიანის და

დანაკარგის შეფასების შესაბამისი ფორმულა კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის. კერძოდ, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად წყალარინებისა და მყარი ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის დაზიანებით გამოწვეული მწარმოებლის დანაკარგი შესაძლებელია გამოთვლილ იქნას შემდეგი ფორმულით:

$$PL = N_t * P_f + C_c * D + Q_{s_{t-1}} * P + C_0 * D$$

სადაც¹⁶⁸,

N_t – შინამეურნეობების რაოდენობა.

P_f – ერთ სულზე გადასახადის ოდენობა (თვე).

C_c – სერვისის შეწყვეტისთვის/შეფერხებისთვის გადახდილი დღიური კომპენსაციის მოცულობა, თითოეულ შინამეურნეობაზე ან ობიექტზე.

D – სერვისის შეწყვეტის/შეფერხების პერიოდი (დღეები).

$Q_{s_{t-1}}$ – საპროგნოზო მოხმარება t-1 პერიოდში.

P – სარეალიზაციო ერთეულის ფასი.

C_0 – სერვისის შეწყვეტისთვის/შეფერხებისთვის გადახდილი დღიური კომპენსაციის მოცულობა, თითოეულ არასაცხოვრებელ ობიექტზე.

D – სერვისის შეწყვეტის/შეფერხების პერიოდი (დღეები).

მომხმარებლის დანაკარგები

მომხმარებლის დანაკარგები წყალარინებისა და მყარი ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის დაზიანების შედეგად შეგვიძლია გამოვთვალოთ შემდეგი ფორმულით:

$$CL = TE + C * U * N + W_l * T_l + W * T - C_c * D - C_0 * D$$

სადაც,

TE – დროებითი წყალმომარაგებისთვის საჭირო აღჭურვილობის/ინფრასტრუქტურის ღირებულება. მათ შორის ასევე წყლის გაწმენდისთვის საჭირო მოწყობილობები (მაგ., ჭაბურღილები და ჭაბურღილების დანადგარები, ჭები და ა.შ.).

¹⁶⁸ ქვემოთ ჩამოთვლილი მონაცემების შეროვნებას უზრუნველყოფს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია.

C - დროებითი წყალმომარაგების ღირებულება ერთი დღის მანძილზე. მაგ., ჭების საოპერაციო ღირებულება, ან ცისტერნებით წყალმომარაგების ღირებულება, ან ერთი ერთეული დაფასოებული წყლის ღირებულება (მაგ., ერთი ბოთლი).

U - წყალმომარაგების ერთეულების რაოდენობა.

N - წყალმომარაგების შეწყვეტა/შეფერხების დღეების რაოდენობა.

W_t - არასამუშაო დროის ანაზღაურება.

T_t - არასამუშაო დრო, რომელიც დაიხარჯა წყალმომარაგების სისტემის გამართვაზე.

W - სამუშაოს ანაზღაურება.

T - სამუშაო დრო, რომელიც დაიხარჯა დროებითი წყალმომარაგების მოწყობაზე.

C_c - სერვისის შეწყვეტისთვის/შეფერხებისთვის გადახდილი დღიური კომპენსაციის მოცულობა, თითოეულ შინამეურნეობაზე ან ობიექტზე.

D - სერვისის შეწყვეტის/შეფერხების პერიოდი (დღეები).

C_o - სერვისის შეწყვეტისთვის/შეფერხებისთვის გადახდილი დღიური კომპენსაციის მოცულობა, თითოეულ არასაცხოვრებელ ობიექტზე.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის გამოთვლით ფორმულაში მოცემული ცვლადები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

წინასწარ განსაზღვრული/ინტეგრირებული მონაცემები:

E_i - დაზიანებული წყალარინებისა და მყარი ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის ელემენტის ერთეულის ღირებულება.

N_t - შინამეურნეობების რაოდენობა.

P_f - ერთ სულზე გადასახადის ოდენობა (თვე).

C_c - სერვისის შეწყვეტისთვის/შეფერხებისთვის გადახდილი დღიური კომპენსაციის მოცულობა, თითოეულ შინამეურნეობაზე ან ობიექტზე.

C_o - სერვისის შეწყვეტისთვის/შეფერხებისთვის გადახდილი დღიური კომპენსაციის მოცულობა, თითოეულ არასაცხოვრებელ ობიექტზე.

$Q_{S_{t-1}}$ - საპროგნოზო მოხმარება $t-1$ პერიოდში.

P – სარეალიზაციო ერთეულის ფასი.

TE – დროებითი წყალმომარაგებისთვის საჭირო აღჭურვილობის/ინფრასტრუქტურის ღირებულება. მათ შორის ასევე წყლის გაწმენდისთვის საჭირო მოწყობილობები (მაგ., ჭაბურღილები და ჭაბურღილების დანადგარები, ჭები და ა.შ.).

C – დროებითი წყალმომარაგების ღირებულება ერთი დღის მანძილზე. მაგ., ჭების საოპერაციო ღირებულება, ან ცისტერნებით წყალმომარაგების ღირებულება, ან ერთი ერთეული დაფასოებული წყლის ღირებულება (მაგ., ერთი ბოთლი).

მონაცემები, რომლებიც უნდა განისაზღვროს ადგილზე, შეფასების პროცესში:

L – დაზიანებული წყალარინებისა და მყარი ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურული ელემენტის სიგრძე (გრძ/მ).

D – სერვისის შეწყვეტის/შეფერხების პერიოდი (დღეები).

N – წყალმომარაგების შეწყვეტა/შეფერხების დღეების რაოდენობა.

W₁ – არასამუშაო დროის ანაზღაურება.

T₁ – არასამუშაო დრო, რომელიც დაიხარჯა წყალმომარაგების სისტემის გამართვაზე.

W – სამუშაოს ანაზღაურება.

T – სამუშაო დრო, რომელიც დაიხარჯა დროებითი წყალმომარაგების მოწყობაზე.

III. სარკინიგზო ინფრასტრუქტურა

საქართველოში სარკინიგზო ინფრასტრუქტურის თითქმის 100%-ს ფლობს საქართველოს რკინიგზა. თუმცა, სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ელემენტების ძალიან მცირე ნაწილი მაინც გვხვდება კერძო საკუთრებაში. შესაბამისად, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დაზიანებული სარკინიგზო ინფრასტრუქტურით მიღებული ზიანი და დანაკარგი შეგვიძლია დავითვალოთ შემდეგი ფორმულით:

$$RWD = \sum_i^n (E_i * L) + PL + CL$$

სადაც,

RWD - სარკინიგზო ინფრასტრუქტურის დაზიანებით მიღებული ზარალი (აღდგენითი ღირებულებით).

E_i - დაზიანებული სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ელემენტის ერთეულის ღირებულება.

o i - სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ელემენტი.

L - დაზიანებული სარკინიგზო ინფრასტრუქტურული ელემენტის რაოდენობა ან სიგრძე (გრძ/მ).

PL - მწარმოებლის დანაკარგები.

CL - მომხმარებლის დანაკარგი.

მწარმოებლის დანაკარგები

გამომდინარე იქიდან, რომ მწარმოებლის დანაკარგის გამოთვლა უნდა უზრუნველყოს დაზარალებულმა კომპანიამ და ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ზარალის დათვლა იყოს უნიფიცირებული. ამიტომ, ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა ზიანის და დანაკარგის შეფასების შესაბამისი ფორმულა კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის. კერძოდ, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად სარკინიგზო ინფრასტრუქტურის დაზიანებით გამოწვეული მწარმოებლის დანაკარგი შესაძლებელია გამოთვლილ იქნას შემდეგი ფორმულით:

$$PL = \sum_i (F_i * N_o * W_i) + S + O + \sum_i^n \sum_j^m (CU_{ij} * CF_{ij}) + B + DI$$

სადაც,

F_i - მომსახურების ღირებულება მარშრუტის (მანძილის) მიხედვით.

N_o - მგზავრთა რაოდენობა წინა წლის იმავე თვეში.

W_i - მგზავრთა ნაწილი, რომლებიც იყენებენ ხელმისაწვდომი ტიპის ბილეთებს, სადაც i წარმოადგენს მარშრუტს (დისტანცია).

S - სერვისების გაყიდვა მატარებლებში (მაგალითად რესტორნები).

O - დამატებითი საოპერაციო და საექსპლუატაციო ხარჯი.

$CU_{i,j}$ - ტვირთის ღირებულება ტვირთის ტიპის (j), და მარშრუტის (i) მიხედვით ერთეულზე. მაგალითად ავტოსატრანსპორტო კომპანიებისთვის.

$CF_{i,j}$ - შეფერხებული სატვირთო ერთეულების რაოდენობა, ტვირთის ტიპის (j), და მარშრუტის (i) მიხედვით ერთეულზე.

B - ბუნებრივი მოვლენის ან კატასტროფის შედეგად დარღვეული ნებისმიერი ხელშეკრულების/კონტრაქტის ღირებულება ან კომპენსაცია.

DI - მარშრუტების დარღვევის ან მარშრუტების ცვლილებებით გამოწვეული დამატებითი ხარჯები (მათ შორის მოვლენის შედეგად დამატებით მოხმარებული საწვავის ღირებულება = დამატებითი დისტანცია * საწვავის ღირებულება).

საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე შეუძლებელია გამოთვლილ იქნას სარკინიგზო ინფრასტრუქტურის დაზიანებით გამოწვეული დანაკარგები შინამეურნეობებისთვის. თუმცა, მომავალში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ჩვენს მიერ შემოთავაზებული ფორმულა მომხმარებლის დანაკარგების შეფასებისთვის.

მომხმარებლის დანაკარგები

$$CL = W * T + SU - B$$

სადაც,

W - სამუშაოს ანაზღაურება

T - დამატებითი დრო, რომელიც მოვლენამდე იხარჯებოდა სამუშაოზე, მოვლენის შემდეგ კი იხარჯება მგზავრობაზე.

SU - სხვა სახეობის ტრანსპორტის ან კომუნიკაციის დამატებითი ღირებულება, რომელიც გამოყენებული იქნება სარკინიგზო ტრანსპორტის ჩასანაცვლებად სარკინიგზო ინფრასტრუქტურის დაზიანების შემდეგ.

B - ბუნებრივი მოვლენის ან კატასტროფის შედეგად დარღვეული ნებისმიერი ხელშეკრულების/კონტრაქტის ღირებულება ან კომპენსაცია.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის გამოთვლით ფორმულაში მოცემული ცვლადები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

წინასწარ განსაზღვრული/ინტეგრირებული მონაცემები:

E_i - დაზიანებული სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ელემენტის ერთეულის ღირებულება.

F_i - მომსახურების ღირებულება მარშრუტის (მანძილის) მიხედვით.

N_o - მგზავრთა რაოდენობა წინა წლის იმავე თვეში.

W_i - მგზავრთა ნაწილი, რომლებიც იყენებენ ხელმისაწვდომი ტიპის ბილეთებს, სადაც i წარმოადგენს მარშრუტს (დისტანცია).

$CU_{i,j}$ - ტვირთის ღირებულება ტვირთის ტიპის (j), და მარშრუტის (i) მიხედვით ერთეულზე. მაგალითად ავტოსატრანსპორტო კომპანიებისთვის.

მონაცემები, რომლებიც უნდა განისაზღვროს ადგილზე, შეფასების პროცესში:

L - დაზიანებული სარკინიგზო ინფრასტრუქტურული ელემენტის რაოდენობა ან სიგრძე (გრძ/მ).

S - სერვისების გაყიდვა მატარებლებში (მაგალითად რესტორნები).

O - დამატებითი საოპერაციო და საექსპლუატაციო ხარჯი.

$CF_{i,j}$ - შეფერხებული სატვირთო ერთეულების რაოდენობა, ტვირთის ტიპის (j), და მარშრუტის (i) მიხედვით ერთეულზე.

B - ბუნებრივი მოვლენის ან კატასტროფის შედეგად დარღვეული ნებისმიერი ხელშეკრულების/კონტრაქტის ღირებულება ან კომპენსაცია.

DI - მარშრუტების დარღვევის ან მარშრუტების ცვლილებებით გამოწვეული დამატებითი ხარჯები (მათ შორის მოვლენის შედეგად დამატებით მოხმარებული საწვავის ღირებულება = დამატებითი დისტანცია * საწვავის ღირებულება).

W - სამუშაოს ანაზღაურება

T - დამატებითი დრო, რომელიც მოვლენამდე იხარჯებოდა სამუშაოზე, მოვლენის შემდეგ კი იხარჯება მგზავრობაზე.

SU - სხვა სახეობის ტრანსპორტის ან კომუნიკაციის დამატებითი ღირებულება, რომელიც გამოყენებული იქნება სარკინიგზო ტრანსპორტის ჩასანაცვლებად სარკინიგზო ინფრასტრუქტურის დაზიანების შემდეგ.

IV. საზღვაო ინფრასტრუქტურა

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დაზიანებული საზღვაო ინფრასტრუქტურით მიღებული ზიანი და დანაკარგი შეგვიძლია დავითვალოთ შემდეგი ფორმულით:

$$SID = \sum_i^n (E_i * L) + PL + CL$$

სადაც,

SID - საზღვაო ინფრასტრუქტურის დაზიანებით მიღებული ზარალი (აღდგენითი ღირებულებით).

E_i - დაზიანებული საზღვაო ინფრასტრუქტურის ელემენტის ერთეულის ღირებულება.

o *i* - საზღვაო ინფრასტრუქტურის ელემენტი.

L - დაზიანებული საზღვაო ინფრასტრუქტურული ელემენტის რაოდენობა ან სიგრძე (გრძ/მ).

PL - მწარმოებლის დანაკარგები.

CL - მომხმარებლის დანაკარგი.

მწარმოებლის დანაკარგები

გამომდინარე იქიდან, რომ მწარმოებლის დანაკარგის გამოთვლა უნდა უზრუნველყოს დაზარალებულმა კომპანიამ და ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ზარალის დათვლა იყოს უნიფიცირებული. ამიტომ, ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა ზიანის და დანაკარგის შეფასების შესაბამისი ფორმულა კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის. კერძოდ, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად

საზღვაო ინფრასტრუქტურის დაზიანებით გამოწვეული მწარმოებლის დანაკარგი შესაძლებელია გამოთვლილ იქნას შემდეგი ფორმულით:

$$PL = \sum_i^n \sum_j^m (N_{i,j} * P_{i,j} * V_{i,j}) + T * D + \sum_k^n (C_{t_k} * C_{s_k} * D) + \sum_k^n (C_{m_k} * C_{v_k}) + B_c * B_p * D + B$$

სადაც,

$N_{i,j}$ – მოვლენის შედეგად ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მარშრუტის რაოდენობა თითოეული საზღვაო სატრანსპორტო საშუალებისთვის.

i – საზღვაო ტრანსპორტის სახეობა.

j – საზღვაო მარშრუტი.

$P_{i,j}$ – მგზავრობის ფასი თითოეულ საზღვაო სატრანსპორტო საშუალებისთვის, მარშრუტის მიხედვით.

$V_{i,j}$ – ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მარშრუტის მგზავრთა საშუალო რაოდენობა თითოეულ საზღვაო სატრანსპორტო საშუალებისთვის (წინა წლის შესაბამისი პერიოდისთვის).

T – ნავსადგურის მომსახურების საშუალო დღიური გადასახადი.

D – შეწყვეტილი/შეფერხებული სერვისის დღეების რაოდენობა.

C_{t_k} – ტვირთის მომსახურების ტარიფი (ერთ ერთეულზე), ტვირთის სახეობის მიხედვით (k).

C_{s_k} – დღეში საშუალოდ მიღებული ტვირთის მოცულობა, ტვირთის სახეობის (k) მიხედვით (წინა წლის შესაბამისი პერიოდისთვის)

C_{m_k} – პორტის ტერიტორიაზე ტვირთის გადაზიდვის ტარიფი, ტვირთის სახეობის (k) მიხედვით.

C_{v_k} – გადაზიდული ტვირთის მოცულობა, ტვირთის სახეობის (k) მიხედვით.

B_c – ნავმისადგომის საშუალო დღიური ტარიფი.

B_p – დღეში მომსახურებული გემების რაოდენობა, წინა წლის შესაბამისი პერიოდისთვის.

B – ბუნებრივი მოვლენის ან კატასტროფის შედეგად დარღვეული ნებისმიერი ხელშეკრულების/კონტრაქტის ღირებულება ან კომპენსაცია.

საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე შეუძლებელია გამოთვლილ იქნას საზღვაო ინფრასტრუქტურის დაზიანებით გამოწვეული დანაკარგები კერძო კომპანიებისთვის. თუმცა, მომავალში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ჩვენს მიერ შემოთავაზებული ფორმულა მომხმარებლის დანაკარგების შეფასებისთვის.

მომხმარებლის დანაკარგები

$$CL = W * T + SU - B$$

სადაც,

W - სამუშაოს ანაზღაურება

T - დამატებითი დრო, რომელიც მოვლენამდე იხარჯებოდა სამუშაოზე, მოვლენის შემდეგ კი იხარჯება მგზავრობაზე.

SU - სხვა სახეობის ტრანსპორტის ან კომუნიკაციის დამატებითი ღირებულება, რომელიც გამოყენებული იქნება საზღვაო ტრანსპორტის ჩასანაცვლებად საზღვაო ინფრასტრუქტურის დაზიანების შემდეგ.

B – ბუნებრივი მოვლენის ან კატასტროფის შედეგად დარღვეული ნებისმიერი ხელშეკრულების/კონტრაქტის ღირებულება ან კომპენსაცია.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის გამოთვლით ფორმულაში მოცემული ცვლადები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

წინასწარ განსაზღვრული/ინტეგრირებული მონაცემები:

E_i - დაზიანებული საზღვაო ინფრასტრუქტურის ელემენტის ერთეულის ღირებულება.

$P_{i,j}$ - მგზავრობის ფასი თითოეულ საზღვაო სატრანსპორტო საშუალებისთვის, მარშრუტის მიხედვით.

$V_{i,j}$ – ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მარშრუტის მგზავრთა საშუალო რაოდენობა თითოეულ საზღვაო სატრანსპორტო საშუალებებისთვის (წინა წლის შესაბამისი პერიოდისთვის).

T – ნავსადგურის მომსახურების საშუალო დღიური გადასახადი.

C_{t_k} – ტვირთის მომსახურების ტარიფი (ერთ ერთეულზე), ტვირთის სახეობის მიხედვით (k).

C_{s_k} – დღეში საშუალოდ მიღებული ტვირთის მოცულობა, ტვირთის სახეობის (k) მიხედვით (წინა წლის შესაბამისი პერიოდისთვის)

C_{m_k} – პორტის ტერიტორიაზე ტვირთის გადაზიდვის ტარიფი, ტვირთის სახეობის (k) მიხედვით.

B_c – ნავმისადგომის საშუალო დღიური ტარიფი.

B_p – დღეში მომსახურებული გემების რაოდენობა, წინა წლის შესაბამისი პერიოდისთვის.

მონაცემები, რომლებიც უნდა განისაზღვროს ადგილზე, შეფასების პროცესში:

L – დაზიანებული საზღვაო ინფრასტრუქტურული ელემენტის რაოდენობა ან სიგრძე (გრძ/მ).

$N_{i,j}$ – მოვლენის შედეგად ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მარშრუტის რაოდენობა თითოეული საზღვაო სატრანსპორტო საშუალებებისთვის.

D – შეწყვეტილი/შეფერხებული სერვისის დღეების რაოდენობა.

C_{v_k} – გადაზიდული ტვირთის მოცულობა, ტვირთის სახეობის (k) მიხედვით.

B – ბუნებრივი მოვლენის ან კატასტროფის შედეგად დარღვეული ნებისმიერი ხელშეკრულების/კონტრაქტის ღირებულება ან კომპენსაცია.

W – სამუშაოს ანაზღაურება

T – დამატებითი დრო, რომელიც მოვლენამდე იხარჯებოდა სამუშაოზე, მოვლენის შემდეგ კი იხარჯება მგზავრობაზე.

SU - სხვა სახეობის ტრანსპორტის ან კომუნიკაციის დამატებითი ღირებულება, რომელიც გამოყენებული იქნება საზღვაო ტრანსპორტის ჩასანაცვლებად საზღვაო ინფრასტრუქტურის დაზიანების შემდეგ.

V. აეროპორტები

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დაზიანებული საჰაერო ტრასპორტირებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურით მიღებული ზიანი და დანაკარგი შეგვიძლია დავითვალოთ შემდეგი ფორმულით:

$$AID = \sum_i^n (E_i * L) + PL + CL$$

სადაც,

AID - საჰაერო ტრასპორტირებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის დაზიანებით მიღებული ზარალი (აღდგენითი ღირებულებით).

E_i - დაზიანებული საჰაერო ტრასპორტირებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის ელემენტის ერთეულის ღირებულება.

o *i* - საჰაერო ტრასპორტირებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის ელემენტი.

L - დაზიანებული საჰაერო ტრასპორტირებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურული ელემენტის რაოდენობა ან სიგრძე (გრძ/მ).

PL - მწარმოებლის დანაკარგები.

CL - მომხმარებლის დანაკარგი.

მწარმოებლის დანაკარგები

გამომდინარე იქიდან, რომ მწარმოებლის დანაკარგის გამოთვლა უნდა უზრუნველყოს დაზარალებულმა კომპანიამ და ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ზარალის დათვლა იყოს უნიფიცირებული. ამიტომ, ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა ზიანის და

დანაკარგის შეფასების შესაბამისი ფორმულა კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის. კერძოდ, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად საჰაერო ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის დაზიანებით გამოწვეული მწარმოებლის დანაკარგი შესაძლებელია გამოთვლილ იქნას შემდეგი ფორმულით:

$$PL = \sum_i^n \sum_j^m (N_{i,j} * P_{i,j} * V_{i,j}) + T_A * D + EX * D + \sum_k^n (C_{t_k} * C_{s_k} * D) + \sum_k^n (C_{m_k} * C_{v_k}) + H_c * H_p * D + B$$

სადაც,

$N_{i,j}$ – მოვლენის შედეგად ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მარშრუტებზე სამგზავრო ფრენების შესრულებული რაოდენობა.

i – საჰაერო ტრანსპორტის სახეობა.

j – საჰაერო მარშრუტი.

$P_{i,j}$ – მგზავრობის ფასი თითოეულ საჰაერო სატრანსპორტო საშუალებისთვის, მარშრუტის მიხედვით.

$V_{i,j}$ – ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მარშრუტის მგზავრობის საშუალო რაოდენობა თითოეულ საჰაერო სატრანსპორტო საშუალებისთვის (წინა წლის შესაბამისი პერიოდისთვის).

T_A – აეროპორტის მომსახურების საშუალო დღიური გადასახადი.

D – შეწყვეტილი/შეფერხებული სერვისის დღეების რაოდენობა.

EX – მომხმარებლის მიერ, აეროპორტის ტერიტორიაზე მდებარე მაღაზიებში დღის განმავლობაში საშუალოდ დახარჯული თანხა.

C_{t_k} – ტვირთის მომსახურების ტარიფი (ერთ ერთეულზე), ტვირთის სახეობის მიხედვით (k).

C_{s_k} – დღეში საშუალოდ მიღებული ტვირთის მოცულობა, ტვირთის სახეობის (k) მიხედვით (წინა წლის შესაბამისი პერიოდისთვის)

C_{m_k} – აეროპორტის ტერიტორიაზე ტვირთის გადაზიდვის ტარიფი, ტვირთის სახეობის (k) მიხედვით.

C_{v_k} - გადაზიდული ტვირთის მოცულობა, ტვირთის სახეობის (k) მიხედვით.

H_c - ანგარების საშუალო დღიური ტარიფი.

H_p - დღეში მომსახურებული საფრენი საშუალებების რაოდენობა, წინა წლის შესაბამისი პერიოდისთვის.

B – ბუნებრივი მოვლენის ან კატასტროფის შედეგად დარღვეული ნებისმიერი ხელშეკრულების/კონტრაქტის ღირებულება ან კომპენსაცია.

საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე შეუძლებელია გამოთვლილ იქნას საჰაერო ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის დაზიანებით გამოწვეული დანაკარგები შინამეურნეობებისთვის და კერძო კომპანიებისთვის. თუმცა, მომავალში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ჩვენს მიერ შემოთავაზებული ფორმულა მომხმარებლის დანაკარგების შეფასებისთვის.

მომხმარებლის დანაკარგები

$$CL = W * T + SU - B$$

სადაც,

W - სამუშაოს ანაზღაურება

T - დამატებითი დრო, რომელიც მოვლენამდე იხარჯებოდა სამუშაოზე, მოვლენის შემდეგ კი იხარჯება მგზავრობაზე.

SU - სხვა სახეობის ტრანსპორტის ან კომუნიკაციის დამატებითი ღირებულება, რომელიც გამოყენებული იქნება საჰაერო ტრანსპორტის ჩასანაცვლებად საჰაერო ტრანსპორტირების ინფრასტრუქტურის დაზიანების შემდეგ.

B – ბუნებრივი მოვლენის ან კატასტროფის შედეგად დარღვეული ნებისმიერი ხელშეკრულების/კონტრაქტის ღირებულება ან კომპენსაცია.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის გამოთვლით ფორმულაში მოცემული ცვლადები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

წინასწარ განსაზღვრული/ინტეგრირებული მონაცემები:

E_i - დაზიანებული საჰაერო ტრასპორტირებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის ელემენტის ერთეულის ღირებულება.

$P_{i,j}$ - მგზავრობის ფასი თითოეულ საჰაერო სატრანსპორტო საშუალებისთვის, მარშრუტის მიხედვით.

$V_{i,j}$ - ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მარშრუტის მგზავრთა საშუალო რაოდენობა თითოეულ საჰაერო სატრანსპორტო საშუალებისთვის (წინა წლის შესაბამისი პერიოდისთვის).

T_A - აეროპორტის მომსახურების საშუალო დღიური გადასახადი.

C_{t_k} - ტვირთის მომსახურების ტარიფი (ერთ ერთეულზე), ტვირთის სახეობის მიხედვით (k).

C_{s_k} - დღეში საშუალოდ მიღებული ტვირთის მოცულობა, ტვირთის სახეობის (k) მიხედვით (წინა წლის შესაბამისი პერიოდისთვის)

C_{m_k} - აეროპორტის ტერიტორიაზე ტვირთის გადაზიდვის ტარიფი, ტვირთის სახეობის (k) მიხედვით.

H_c - ანგარების საშუალო დღიური ტარიფი.

H_p - დღეში მომსახურებული საფრენი საშუალებების რაოდენობა, წინა წლის შესაბამისი პერიოდისთვის.

მონაცემები, რომლებიც უნდა განისაზღვროს ადგილზე, შეფასების პროცესში:

L - დაზიანებული საჰაერო ტრასპორტირებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურული ელემენტის რაოდენობა ან სიგრძე (გრძ/მ).

$N_{i,j}$ - მოვლენის შედეგად ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მარშრუტებზე სამგზავრო ფრენების შესრულებული რაოდენობა.

D - შეწყვეტილი/შეფერხებული სერვისის დღეების რაოდენობა.

C_{v_k} - გადაზიდული ტვირთის მოცულობა, ტვირთის სახეობის (k) მიხედვით.

B – ბუნებრივი მოვლენის ან კატასტროფის შედეგად დარღვეული ნებისმიერი ხელშეკრულების/კონტრაქტის ღირებულება ან კომპენსაცია.

EX – მომხმარებლის მიერ, აეროპორტის ტერიტორიაზე მდებარე მაღაზიებში დღის განმავლობაში საშუალოდ დახარჯული თანხა.

W - სამუშაოს ანაზღაურება

T - დამატებითი დრო, რომელიც მოვლენამდე იხარჯებოდა სამუშაოზე, მოვლენის შემდეგ კი იხარჯება მგზავრობაზე.

SU - სხვა სახეობის ტრანსპორტის ან კომუნიკაციის დამატებითი ღირებულება, რომელიც გამოყენებული იქნება საჰაერო ტრანსპორტის ჩასანაცვლებად საჰაერო ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის დაზიანების შემდეგ.

VI. ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურა

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დაზიანებული ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურით მიღებული ზიანი და დანაკარგი შეგვიძლია დავითვალოთ შემდეგი ფორმულით:

$$TID = \sum_i^n (E_i * L) + PL + CL$$

სადაც,

TID - ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურის დაზიანებით მიღებული ზარალი (აღდგენითი ღირებულებით).

E_i - დაზიანებული ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურის ელემენტის ერთეულის ღირებულება.

○ *i* - ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურის ელემენტი.

L - დაზიანებული ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურული ელემენტის რაოდენობა ან სიგრძე (გრძ/მ).

PL - მწარმოებლის დანაკარგები.

CL - მომხმარებლის დანაკარგი.

მწარმოებლის დანაკარგები

გამომდინარე იქიდან, რომ მწარმოებლის დანაკარგის გამოთვლა უნდა უზრუნველყოს დაზარალებულმა კომპანიამ და ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ზარალის დათვლა იყოს უნიფიცირებული. ამიტომ, ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა ზიანის და დანაკარგის შეფასების შესაბამისი ფორმულა კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის. კერძოდ, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურის დაზიანებით გამოწვეული მწარმოებლის დანაკარგი შესაძლებელია გამოთვლილ იქნას შემდეგი ფორმულით:

$$PL = \sum_i^n F_i * N_i * T_i + B$$

სადაც,

F_i - მომსახურების ღირებულება სერვისის სახეობის (i) მიხედვით.

N_i - დაზარალებული მომხმარებელთა რაოდენობა სერვისის სახეობის (i) მიხედვით.

T_i - სერვისის შეწყვეტის/შეფერხების ხანგრძლივობა (დროის ერთეული, რომელიც შესაბამისობაშია სერვისის სახეობასთან).

B - ბუნებრივი მოვლენის ან კატასტროფის შედეგად დარღვეული ნებისმიერი ხელშეკრულების/კონტრაქტის ღირებულება ან კომპენსაცია.

საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე შეუძლებელია გამოთვლილ იქნას საჰაერო ტრასპორტირებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის დაზიანებით გამოწვეული დანაკარგები შინამეურნეობებისთვის და კერძო კომპანიებისთვის. თუმცა, მომავალში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ჩვენს მიერ შემოთავაზებული ფორმულა მომხმარებლის დანაკარგების შეფასებისთვის.

მომხმარებლის დანაკარგები

$$CL = W * T + SU - B$$

სადაც,

W - სამუშაოს ანაზღაურება

T - დამატებითი დრო, რომელიც მოვლენამდე იხარჯებოდა სამუშაოზე, მოვლენის შემდეგ კი იხარჯება მგზავრობაზე.

SU - სხვა სახეობის კომუნიკაციის დამატებითი ღირებულება, რომელიც გამოყენებული იქნა შეწყვეტილი სერვისის ჩასანაცვლებად.

B - ბუნებრივი მოვლენის ან კატასტროფის შედეგად დარღვეული ნებისმიერი ხელშეკრულების/კონტრაქტის ღირებულება ან კომპენსაცია.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის გამოთვლით ფორმულაში მოცემული ცვლადები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

წინასწარ განსაზღვრული/ინტეგრირებული მონაცემები:

E_i - დაზიანებული ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურის ელემენტის ერთეულის ღირებულება.

F_i - მომსახურების ღირებულება სერვისის სახეობის (i) მიხედვით.

მონაცემები, რომლებიც უნდა განისაზღვროს ადგილზე, შეფასების პროცესში:

L - დაზიანებული ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურული ელემენტის რაოდენობა ან სიგრძე (გრძ/მ).

N_i - დაზარალებული მომხმარებელთა რაოდენობა სერვისის სახეობის (i) მიხედვით.

T_i - სერვისის შეწყვეტის/შეფერხების ხანგრძლივობა (დროის ერთეული, რომელიც შესაბამისობაშია სერვისის სახეობასთან).

W - სამუშაოს ანაზღაურება

T - დამატებითი დრო, რომელიც მოვლენამდე იხარჯებოდა სამუშაოზე, მოვლენის შემდეგ კი იხარჯება მგზავრობაზე.

SU - სხვა სახეობის კომუნიკაციის დამატებითი ღირებულება, რომელიც გამოყენებული იქნა შეწყვეტილი სერვისის ჩასანაცვლებად.

B - ბუნებრივი მოვლენის ან კატასტროფის შედეგად დარღვეული ნებისმიერი ხელშეკრულების/კონტრაქტის ღირებულება ან კომპენსაცია.

VII. საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობები

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად საზოგადოებრივი შენობების (სამთავრობო/ადმინისტრაციული, პოლიცია, სახანძრო და სამაშველო სამსახურის შენობა-ნაგებობები), საპატიმრო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის და სასაფლაოების დაზიანებით მიღებული ზიანი და დანაკარგები დათვლილ იქნება არასაცხოვრისი შენობა-ნაგებობების დანაკარგების დათვლის მეთოდოლოგიით¹⁶⁹. ამასთან, საპატიმროების, სასაფლაოების, და სხვა სპეციფიკური საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობების დანაკარგის შეფასება უნდა მოახდინოს შესაბამისმა კომპეტენტურმა სამთავრობო უწყებებმა.

3.2.3 ენერგეტიკა

საქართველოსთვის შემოთავაზებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მოიცავს ენერგეტიკის სექტორსაც. კერძოდ: ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის და ნავთობის ტრანსპორტირების ინფრასტრუქტურას.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად ენერგეტიკის სექტორისთვის მიყენებული პირდაპირი ზარალი მოიცავს კატასტროფის დროს დაზიანებულ და განადგურებულ ინფრასტრუქტურას. ხოლო, არაპირდაპირ ზიანად შეგვიძლია ჩავთვალოთ სერვისის შეწყვეტის შედეგად სხვა წყაროებით მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის გაწეული ხარჯები და დაკარგული შემოსავლები¹⁷⁰.

I. ელექტროენერჯია

¹⁶⁹ მე-3 თავის, მე-2 ქვეთავის, საცხოვრისი და არასაცხოვრისი სექტორის მიხედვით.

¹⁷⁰ United Nations, Economic Commission for Latin America and the Caribbean (ECLAC) and International Bank for Reconstruction and Development (The World Bank), Handbook for Estimating the Socio-economic and Environmental Effects of Disasters. P 130. 2003.

ელექტროენერგიაში გვაქვს სამი მიმართულება: გამომუშავება, გადაცემა და დისტრიბუცია. შესაბამისად, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად ელექტროენერგიასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის დაზიანებით მიღებული ზიანი და დანაკარგი შეგვიძლია დავითვალოთ შემდეგი ფორმულით:

$$EID = \sum_i^n (E_i * L) + PL + CL$$

სადაც,

EID - ელექტროენერგიასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის დაზიანებით მიღებული ზარალი (აღდგენითი ღირებულებით).

E_i - ელექტროენერგიასთან დაკავშირებული დაზიანებული ინფრასტრუქტურის ელემენტის ერთეულის ღირებულება.

○ *i* - ელექტრო ენერგიასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ელემენტი.

L - ელექტროენერგიასთან დაკავშირებული დაზიანებული ინფრასტრუქტურული ელემენტის რაოდენობა ან სიგრძე (გრძ/მ).

PL - მწარმოებლის დანაკარგები.

CL - მომხმარებლის დანაკარგი.

მწარმოებლის დანაკარგები

გამომდინარე იქიდან, რომ მწარმოებლის დანაკარგის გამოთვლა უნდა უზრუნველყოს დაზარალებულმა კომპანიამ და ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ზარალის დათვლა იყოს უნიფიცირებული. ამიტომ, ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა ზიანის და დანაკარგის შეფასების შესაბამისი ფორმულა კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის. კერძოდ, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად ელექტროენერგიასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის დაზიანებით გამოწვეული მწარმოებლის დანაკარგი შესაძლებელია გამოთვლილ იქნას შემდეგი ფორმულით:

I. გამომუშავება

$$PL = P_p * Q_{s_{t-1}} + C_o$$

P_p – გენერაციის ერთეულის სარეალიზაციო ფასი (კილოვატი).

$Q_{s_{t-1}}$ – საპროგნოზო მოხმარება t-1 პერიოდში.

C_o = დამატებითი ხარჯები (აღჭურვილობისა და საოპერაციო ხარჯების გარეშე).

$$Q_{s_{t-1}} = q_{s_{t-1}} * D$$

$q_{s_{t-1}}$ – დღიური მოხმარება (კილოვატი).

D – სერვისის შეფერხების/შეწყვეტის პერიოდი (დღე).

II. ენერჯის გადაცემა (ქვესადგური)

$$R_1 = P_t * Q_{s_{t-1}}$$

სადაც,

P_t – ელექტროენერჯის გადაცემისა და დისპეჩერიზაციის ტარიფი.

$Q_{s_{t-1}}$ – საპროგნოზო მოხმარება t-1 პერიოდში.

III ქსელი (ქვესადგური)

$$\Pi = (P - P_c) * Q_{s_{t-1}} + C_o$$

სადაც,

Π – ქსელის (მოგება).

P_c – შეძენილი ელექტროენერჯის ღირებულება.

P – მომხმარებლის მიერ გადახდილი ტარიფი.

$Q_{s_{t-1}}$ – საპროგნოზო მოხმარება t-1 პერიოდში.

C_o = დამატებითი ხარჯები (აღჭურვილობისა და საოპერაციო ხარჯების გარეშე).

საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე შეუძლებელია გამოთვლილ იქნას საჰაერო ტრასპორტირებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის

დაზიანებით გამოწვეული დანაკარგები შინამეურნეობებისთვის და კერძო კომპანიებისთვის. თუმცა, მომავალში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ჩვენს მიერ შემოთავაზებული ფორმულა მომხმარებლის დანაკარგების შეფასებისთვის.

მომხმარებლის დანაკარგები

$$CL = \sum_i^n TE_i + \sum_j^m P_j * Q_j * D + W * T$$

სადაც,

TE_i - დროებითი ელექტრომომარაგების უზრუნველყოფისთვის საჭირო აღჭურვილობის/ინფრასტრუქტურის ღირებულება, მათ შორის საყოფაცხოვრებო ელექტრო გენერატორები.

P_j - ელექტროენერჯის გამომმუშავებელი დანადგარისთვის/აღჭურვილობისთვის საჭირო ერთი ერთეული (ლიტრი) საწვავის ღირებულება.

Q_j - საშუალოდ დღეში მოხმარებული საწვავის რაოდენობა.

D - სერვისის შეწყვეტის/შეფერხების დღეების რაოდენობა.

W - სამუშაოს ანაზღაურება.

T - დროებით ელექტროენერჯის მომარაგების უზრუნველყოფისთვის საჭირო სამუშაო დრო.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის გამოთვლით ფორმულაში მოცემული ცვლადები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

წინასწარ განსაზღვრული/ინტეგრირებული მონაცემები:

E_i - დაზიანებული ელექტროენერჯიასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ელემენტის ერთეულის ღირებულება.

P_p - გენერაციის ერთეულის სარეალიზაციო ფასი (კილოვატი).

P_t - ელექტროენერჯის გადაცემისა და დისპეჩერიზაციის ტარიფი.

Qs_{t-1} – საპროგნოზო მოხმარება t-1 პერიოდში.

P_c – შეძენილი ელექტროენერჯის ღირებულება.

P – მოხმარებლის მიერ გადახდილი ტარიფი.

მონაცემები, რომლებიც უნდა განისაზღვროს ადგილზე, შეფასების პროცესში:

L - ელექტროენერჯისთან დაკავშირებული დაზიანებული ინფრასტრუქტურული ელემენტის რაოდენობა ან სიგრძე (გრძ/მ).

TE_i - დროებითი ელექტრომომარაგების უზრუნველყოფისთვის საჭირო აღჭურვილობის/ინფრასტრუქტურის ღირებულება, მათ შორის საყოფაცხოვრებო ელექტრო გენერატორები.

C_o - დამატებითი ხარჯები (აღჭურვილობისა და საოპერაციო ხარჯების გარეშე).

P_j - ელექტროენერჯის გამომმუშავებელი დანადგარისთვის/აღჭურვილობისთვის საჭირო ერთი ერთეული (ლიტრი) საწვავის ღირებულება.

Q_j - საშუალოდ დღეში მოხმარებული საწვავის რაოდენობა.

D - სერვისის შეწყვეტის/შეფერხების დღეების რაოდენობა.

W - სამუშაოს ანაზღაურება

T - დროებით ელექტროენერჯის მომარაგების უზრუნველყოფისთვის საჭირო სამუშაო დრო.

II. ბუნებრივი აირი

ბუნებრივი არის კუთხით გვაქვს ორი მიმართულება: გადაცემა და დისტრიბუცია. შესაბამისად, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად ბუნებრივ აირთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის დაზიანებით მიღებული ზიანი და დანაკარგი შეგვიძლია დავითვალოთ შემდეგი ფორმულით:

$$GID = \sum_i^n (E_i * L) + PL + CL$$

სადაც,

GID - ბუნებრივ აირთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის დაზიანებით მიღებული ზარალი (აღდგენითი ღირებულებით).

E_i - ბუნებრივ აირთან დაკავშირებული დაზიანებული ინფრასტრუქტურის ელემენტის ერთეულის ღირებულება.

o i - ბუნებრივ აირთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ელემენტი.

L - ბუნებრივ აირთან დაკავშირებული დაზიანებული ინფრასტრუქტურული ელემენტის რაოდენობა ან სიგრძე (გრძ/მ).

PL - მწარმოებლის დანაკარგები.

CL - მომხმარებლის დანაკარგი.

მწარმოებლის დანაკარგები

გამომდინარე იქიდან, რომ მწარმოებლის დანაკარგის გამოთვლა უნდა უზრუნველყოს დაზარალებულმა კომპანიამ და ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ზარალის დათვლა იყოს უნიფიცირებული. ამიტომ, ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა ზიანის და დანაკარგის შეფასების შესაბამისი ფორმულა კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის. კერძოდ, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად ბუნებრივ აირთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის დაზიანებით გამოწვეული მწარმოებლის დანაკარგი შესაძლებელია გამოთვლილ იქნას შემდეგი ფორმულით:

I. გადაცემა

$$PL_T = \sum_i^n (P_i + P_T) * Q_t + \sum_i^n \sum_j^m (P_j - P_i - P_D) * Q_{j_{t-1}}$$

სადაც,

P_i – შექმნილი პროდუქციის ღირებულება მომწოდებლების მიხედვით (1000 მ³).

P_T - ტრანსპორტირების ტარიფი¹⁷¹ (1000 მ³).

Q_t – აორთქლებული აირის მოცულობა (დანაკარგი აირის მოცულობა 1000 მ³).

P_j – 1000 მ³ სარეალიზაციო ფასი დისტრიბუტორების მიხედვით.

o i - მომწოდებლები

¹⁷¹ მეზობელი ქვეყნებიდან საქართველოში შემომავალი გაზის მსხვილ მილებში გატარების ტარიფი.

- j - დისტრიბუტორები

$Q_{j,t-1}$ – საპროგნოზო მოხმარება $t-1$ პერიოდში.

II. დისტრიბუცია

$$PL_D = \sum_j^n (P_j + P_T + P_D) * Q_t + \sum_i^n \sum_j^m (P_j - P_i - P_D) * Q_{kt-1}$$

სადაც,

P_j – ნავთობისა და გაზის კორპორაციისგან შეძენილი პროდუქციის ღირებულება (1000 მ³)¹⁷².

P_T – ტრანსპორტირების ტარიფი¹⁷³ (1000 მ³).

P_D – დისტრიბუციის ქსელში გატარების ტარიფი (1000 მ³).

Q_t – აორთქლებული აირის მოცულობა (დანაკარგი აირის მოცულობა 1000 მ³).

P_k – 1000 მ³ სარეალიზაციო ფასი მომხმარებლების (k) მიხედვით.

- k - საოჯახო მეურნეობები, საწარმოები, გაზის გასამართი სადგურები¹⁷⁴.

Q_{kt-1} – საპროგნოზო მოხმარება მომხმარებლების (k) მიხედვით $t-1$ პერიოდში.

საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე შეუძლებელია გამოთვლილ იქნას საჰაერო ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის დაზიანებით გამოწვეული დანაკარგები შინამეურნეობებისთვის და კერძო კომპანიებისთვის. თუმცა, მომავალში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ჩვენს მიერ შემოთავაზებული ფორმულა მომხმარებლის დანაკარგების შეფასებისთვის.

მომხმარებლის დანაკარგები

$$CL = \sum_i^n TE_i + \sum_j^m P_j * Q_j * D + \sum_k^q P_k * Q_k * D + W * T$$

სადაც,

¹⁷² იგივე რაც P_j – 1000 მ³ სარეალიზაციო ფასი დისტრიბუტორების მიხედვით.

¹⁷³ მეზობელი ქვეყნებიდან საქართველოში შემომავალი გაზის მსხვილ მილგზებში გატარების ტარიფი.

¹⁷⁴ ტარიფები წინასწარ შეთანხმებულია საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიასთან.

TE_i - დროებით გაზის მომარაგების უზრუნველყოფისთვის ან ჩანაცვლებისთვის საჭირო აღჭურვილობის/ინფრასტრუქტურის ღირებულება, მათ შორის საყოფაცხოვრებო ელექტრო გენერატორები, შორის საყოფაცხოვრებო გამათბობლები, გაზის ბალონები და შესაბამისი ქურები.

P_j - ელექტროენერჯის გამომმუშავებელი დანადგარისთვის/აღჭურვილობისთვის საჭირო ერთი ერთეული (ლიტრი) საწვავის ღირებულება.

Q_j - საშუალოდ დღეში მოხმარებული საწვავის რაოდენობა.

D - სერვისის შეწყვეტის/შეფერხების დღეების რაოდენობა.

P_k - თხევადი გაზის ერთი ერთეულის ღირებულება ($მ^3$).

Q_j - საშუალოდ დღეში მოხმარებული თხევადი გაზის რაოდენობა ($მ^3$).

D - სერვისის შეწყვეტის/შეფერხების დღეების რაოდენობა.

W - სამუშაოს ანაზღაურება.

T - დროებით გაზის მომარაგების უზრუნველყოფისთვის ან ჩანაცვლებისთვის საჭირო სამუშაო დრო.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის გამოთვლით ფორმულაში მოცემული ცვლადები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

წინასწარ განსაზღვრული/ინტეგრირებული მონაცემები:

E_i - ბუნებრივ აირთან დაკავშირებული დაზიანებული ინფრასტრუქტურის ელემენტის ერთეულის ღირებულება.

P_i - შეძენილი პროდუქციის ღირებულება მომწოდებლების მიხედვით (1000 $მ^3$).

P_T - ტრანსპორტირების ტარიფი¹⁷⁵ (1000 $მ^3$).

P_j - 1000 $მ^3$ სარეალიზაციო ფასი დისტრიბუტორების მიხედვით.

$Q_{j,t-1}$ - საპროგნოზო მოხმარება t-1 პერიოდში.

¹⁷⁵ მეზობელი ქვეყნებიდან საქართველოში შემომავალი გაზის მსხვილ მილებში გატარების ტარიფი.

P_j – ნავთობისა და გაზის კორპორაციისგან შეძენილი პროდუქციის ღირებულება (1000 მ³)¹⁷⁶.

P_T - ტრანსპორტირების ტარიფი¹⁷⁷ (1000 მ³).

P_D – დისტრიბუციის ქსელში გატარების ტარიფი (1000 მ³).

P_k – 1000 მ³ სარეალიზაციო ფასი მომხმარებლების (k) მიხედვით.

Q_{kt-1} – საპროგნოზო მოხმარება მომხმარებლების (k) მიხედვით t-1 პერიოდში.

მონაცემები, რომლებიც უნდა განისაზღვროს ადგილზე, შეფასების პროცესში:

L - ბუნებრივ აირთან დაკავშირებული დაზიანებული ინფრასტრუქტურული ელემენტის რაოდენობა ან სიგრძე (გრძ/მ).

Q_t – აორთქლებული აირის მოცულობა (დანაკარგი აირის მოცულობა 1000 მ³).

TE_i - დროებით გაზის მომარაგების უზრუნველყოფისთვის ან ჩანაცვლებისთვის საჭირო აღჭურვილობის/ინფრასტრუქტურის ღირებულება, მათ შორის საყოფაცხოვრებო ელექტრო გენერატორები, შორის საყოფაცხოვრებო გამათბობლები, გაზის ბალონები და შესაბამისი ქურები.

P_j – ელექტროენერჯის გამომმუშავებელი დანადგარისთვის/აღჭურვილობისთვის საჭირო ერთი ერთეული (ლიტრი) საწვავის ღირებულება.

Q_j - საშუალოდ დღეში მოხმარებული საწვავის რაოდენობა.

D - სერვისის შეწყვეტის/შეფერხების დღეების რაოდენობა.

P_k - თხევადი გაზის ერთი ერთეულის ღირებულება (მ³).

Q_j - საშუალოდ დღეში მოხმარებული თხევადი გაზის რაოდენობა (მ³).

W - სამუშაოს ანაზღაურება

T - დროებით ელექტროენერჯის მომარაგების უზრუნველყოფისთვის საჭირო სამუშაო დრო.

III. ნავთობი

¹⁷⁶ იგივე რაც P_j – 1000 მ³ სარეალიზაციო ფასი დისტრიბუტორების მიხედვით.

¹⁷⁷ მეზობელი ქვეყნებიდან საქართველოში შემომავალი გაზის მსხვილ მილებში გატარების ტარიფი.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად ნავთობის სფეროსთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის დაზიანებით მიღებული ზიანი და დანაკარგი შეგვიძლია დავითვალოთ შემდეგი ფორმულით:

$$OID = \sum_i^n (E_i * L) + PL$$

სადაც,

OID - ნავთობის სფეროსთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის დაზიანებით მიღებული ზარალი (აღდგენითი ღირებულებით).

E_i - ნავთობის სფეროსთან დაკავშირებული დაზიანებული ინფრასტრუქტურის ელემენტის ერთეულის ღირებულება.

o *i* - ნავთობის სფეროსთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ელემენტი.

L - ნავთობის სფეროსთან დაკავშირებული დაზიანებული ინფრასტრუქტურული ელემენტის რაოდენობა ან სიგრძე (გრძ/მ).

PL - მწარმოებლის დანაკარგები.

მწარმოებლის დანაკარგები

გამომდინარე იქიდან, რომ მწარმოებლის დანაკარგის გამოთვლა უნდა უზრუნველყოს დაზარალებულმა კომპანიამ და ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ზარალის დათვლა იყოს უნიფიცირებული. ამიტომ, ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა ზიანის და დანაკარგის შეფასების შესაბამისი ფორმულა კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის. კერძოდ, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად ნავთობის სფეროსთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის დაზიანებით გამოწვეული მწარმოებლის დანაკარგი შესაძლებელია გამოთვლილ იქნას შემდეგი ფორმულით:

$$PL = (P - P_c) * Q_t$$

სადაც,

P - ტრანსპორტირების ღირებულება ერთეულზე (მეგალიტრი).

P_c - შეძენილი პროდუქციის ღირებულება.

Q_t – ტრანსპორტირების პროცესში დაკარგული ნავთობის მოცულობა.

საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, მომხმარებლის დანაკარგი არ არის აქტუალური საქართველოს ფარგლებში, რადგან მიწოდება/გადაზიდვა ხორციელდება ქვეყნის ტერიტორიის გავლით.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის გამოთვლით ფორმულაში მოცემული ცვლადები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

წინასწარ განსაზღვრული/ინტეგრირებული მონაცემები:

E_i - ნავთობის სფეროსთან დაკავშირებული დაზიანებული ინფრასტრუქტურის ელემენტის ერთეულის ღირებულება.

მონაცემები, რომლებიც უნდა განისაზღვროს ადგილზე, შეფასების პროცესში:

L - ნავთობის სფეროსთან დაკავშირებული დაზიანებული ინფრასტრუქტურული ელემენტის რაოდენობა ან სიგრძე (გრძ/მ).

P – ტრანსპორტირების ღირებულება ერთეულზე (მეგალიტრი).

P_c - შემენილი პროდუქციის ღირებულება.

Q_t – ტრანსპორტირების პროცესში დაკარგული ნავთობის მოცულობა.

3.2.4 განათლება

საქართველოსთვის შემოთავაზებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მოიცავს განათლების სექტორსაც. კერძოდ: ბალების, სკოლების, უნივერსიტეტების, პროფესიული სასწავლებლების და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურას.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად განათლების სექტორისთვის მიყენებული პირდაპირი ზარალი მოიცავს კატასტროფის დროს დაზიანებულ და განადგურებულ ინფრასტრუქტურას. ხოლო, არაპირდაპირ ზიანად შეგვიძლია ჩავთვალოთ დაზიანებული შენობა-ნაგებობის ალტერნატიული შენობა-ნაგებობით ჩანაცვლების ღირებულება. ამასთან, თუ სერვისის მიწოდება მოვლენის შედეგად არის ხანგრძლივი, მაშინ არაპირდაპირ ზიანად შეგვიძლია განვიხილოთ სერვისის შეწყვეტის ან შეფერხების შედეგად დაკარგული შემოსავლებიც. თუმცა, საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, სერვისის შეწყვეტით ან შეფერხებით გამოწვეული ზარალი არ იქნა გათვალისწინებული.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განათლების სექტორთან ასოცირებული შენობა-ნაგებობების დაზიანებით გამოწვეული ზარალის შეფასება განხორციელდება არასაცხოვრისი შენობა-ნაგებობების დაზიანებით გამოწვეული ზარალის შეფასების მეთოდოლოგიით¹⁷⁸.

მწარმოებლის დანაკარგები

გამომდინარე იქიდან, რომ მწარმოებლის დანაკარგის გამოთვლა უნდა უზრუნველყოს დაზარალებულმა კომპანიამ და ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ზარალის დათვლა იყოს უნიფიცირებული. ამიტომ, ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა ზიანის და დანაკარგის შეფასების შესაბამისი ფორმულა კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის. კერძოდ, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად განათლების სექტორთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის დაზიანებით გამოწვეული მწარმოებლის დანაკარგი შესაძლებელია გამოთვლილ იქნას შემდეგი ფორმულით:

$$PL = \sum_i R_i$$

სადაც,

¹⁷⁸ საცხოვრისი და არასაცხოვრისი შენობა-ნაგებობებს სექტორი.

R_i - დაზიანებული შენობა-ნაგებობის ალტერნატიული შენობა-ნაგებობით ჩანაცვლების ღირებულება¹⁷⁹.

- i - ბაღი, სკოლა, უნივერსიტეტი, პროფესიული სასწავლებლები და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები.

მომხმარებლის დანაკარგები

მომხმარებლის დანაკარგის შეფასების შემთხვევაში მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას დაშვებას, რომ აღმზრდელი აგრძელებს ზრუნვას ბავშვ(ებ)ზე და მოვლენის შედეგად განიცდის დანაკარგს შემოსავლის და/ან დროის თვალსაზრისით. განვიხილოთ ორი ტიპის აღმზრდელი:

- აღმზრდელი, რომელიც მუშაობს და მოვლენის შედეგად ბავშვ(ებ)ზე ზრუნვისთვის საჭირო დროს აკლებს სამუშაო დროს;
- აღმზრდელი, რომელსაც არ აქვს ოფიციალური სამსახური (მაგ., როგორც პენსიონერი ბებია/ბაბუა) და პიროვნება იყენებს საკუთარი დასვენების დროს ბავშვ(ებ)ზე ზრუნვისთვის. ამ შემთხვევაში, არსებობს ორი მიდგომა:
 - დამატებით გაწეული ხარჯი შეგვიძლია შევაფასოთ მინიმალური ანაზღაურებით რომელიც შეესაბამება სახლში მოვლის ან დამლაგებლის მომსახურების ღირებულებას.
 - ან ჩატარებულ იქნას მსგავს შემთხვევაში გადახდისათვის მზაობის კვლევა (Willingness to pay), რათა განსაზღვრულ იქნას ანაზღაურების ის მოცულობა, რომლისთვისაც ადამიანი მზადაა დასვენების დრო ჩანაცვლოს სამუშაო დროით.

ზემოაღნიშნულიდან და საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე შეუძლებელია გამოთვლილ იქნას განათლების სექტორთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის დაზიანებით გამოწვეული დანაკარგები შინამეურნეობებისთვის და კერძო კომპანიებისთვის. თუმცა, მომავალში შესაძლებელია ჩატარებულ იქნას შესაბამისი კვლევები რომლებიც საშუალებას მოგვცემს გამოვითვალოთ დავითვალოთ

¹⁷⁹ ქირის ან მშენებლობის ღირებულება.

განათლების სექტორთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის დაზიანებით გამოწვეული დანაკარგები შინამეურნეობებისთვის და კერძო კომპანიებისთვის.

3.2.5 კულტურა

საქართველოსთვის შემოთავაზებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასება, როგორც ზემოთ აღნიშნეთ მოიცავს კულტურის სექტორსაც. კულტურა მოიცავს ყველა იმ შენობა-ნაგებობას რომელიც ერთობლიობაში ქმნის კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობას. ასევე, არქივებს, მუზეუმებს, ბიბლიოთეკებს, ეკლესიებს, არქეოლოგიური სამუშაოების ადგილებს¹⁸⁰.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად კულტურის სექტორისთვის მიყენებული პირდაპირი ზარალი მოიცავს კატასტროფის დროს დაზიანებულ და განადგურებულ ინფრასტრუქტურას. ხოლო, არაპირდაპირ ზიანს შეგვიძლია მივაკუთვნოთ დაკარგული შემოსავლები, რომლებიც გამოწვეულ იქნა კულტურული ძეგლების, ინფრასტრუქტურის და ინვენტარის დაზიანებით.

გამომდინარე იქიდან, რომ კულტურის სექტორი მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის ისეთ ძეგლებს, ხელოვნების ნიმუშებს და არქეოლოგიურ მონაპოვრებს რომ მათი დაზიანებით მიღებული ზარალის შეფასების სტანდარტიზებული ფორმულის შემუშავება შეუძლებელია. შესაბამისად, მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, კულტურის სექტორისთვის მიყენებული პირდაპირი ზარალი შეფასებულ უნდა იქნას ინდივიდუალური კვლევების საფუძველზე. ამასთან, კულტურის სექტორთან დაკავშირებული შენობა-ნაგებობების (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გარდა)

¹⁸⁰ United Nations, Economic Commission for Latin America and the Caribbean (ECLAC) and International Bank for Reconstruction and Development (The World Bank), Handbook for Estimating the Socio-economic and Environmental Effects of Disasters. P 91. 2003.

დაზიანებით გამოწვეული ზარალის შეფასება განხორციელდება არასაცხოვრისი შენობა-ნაგებობების დაზიანებით გამოწვეული ზარალის შეფასების მეთოდოლოგიით¹⁸¹.

გამომდინარე იქიდან, რომ მწარმოებლის დანაკარგის გამოთვლა უნდა უზრუნველყოს დაზარალებულმა კომპანიამ და ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ზარალის დათვლა იყოს უნიფიცირებული. ამიტომ, ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა ზიანის და დანაკარგის შეფასების შესაბამისი ფორმულა კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის. კერძოდ, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად კულტურის სექტორთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის (გარდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან, არქეოლოგიურ მონაპოვრებთან და ხელოვნების ნიმუშებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის თუ ინვენტარისა) დაზიანებით გამოწვეული მწარმოებლის დანაკარგი შესაძლებელია გამოთვლილ იქნას შემდეგი ფორმულით:

$$PL = \sum_i^n \sum_j^m (R_i + I_i + D_{i,j,t-1} * P_{i,j} * T_i)$$

სადაც,

R_i - დაზიანებული შენობა-ნაგებობის ალტერნატიული შენობა-ნაგებობით ჩანაცვლების ღირებულება¹⁸².

I_i - შიდა ინფრასტრუქტურის და ინვენტარის მოწყობის ხარჯები

$D_{i,j,t-1}$ - ვიზიტორების საშუალო დღიური რაოდენობა t-1 პერიოდში.

$P_{i,j}$ - გასაწევი მომსახურების ღირებულება.

T_i - შეწყვეტის/შეფერხების დღეების რაოდენობა.

- i - არქივები, მუზეუმები და ბიბლიოთეკები.
- j - მომსახურების პაკეტები.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის გამოთვლით ფორმულაში მოცემული ცვლადები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

¹⁸¹ საცხოვრისი და არასაცხოვრისი შენობა-ნაგებობებს სექტორი.

¹⁸² ქირის ან მშენებლობის ღირებულება.

მონაცემები, რომლებიც უნდა განისაზღვროს ადგილზე, შეფასების პროცესში:

R_i - დაზიანებული შენობა-ნაგებობის ალტერნატიული შენობა-ნაგებობით ჩანაცვლების ღირებულება¹⁸³.

I_i - შიდა ინფრასტრუქტურის და ინვენტარის მოწყობის ხარჯები

$D_{i,j,t-1}$ - ვიზიტორების საშუალო დღიური რაოდენობა წინა წლის შესაბამის პერიოდში.

$P_{i,j}$ - გასაწევი მომსახურების ღირებულება.

T_i - შეწყვეტის/შეფერხების დღეების რაოდენობა.

3.2.6 ჯანმრთელობის დაცვა

საქართველოსთვის შემოთავაზებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასება, როგორც ზემოთ აღნიშნეთ მოიცავს ჯანმრთელობის სექტორსაც. ჯანმრთელობის დაცვა მოიცავს პოლიკლინიკებს, კლინიკებს (პროფილური და მულტიპროფილური) და ლაბორატორიებს.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად ჯანმრთელობის სექტორისთვის მიყენებული პირდაპირი ზარალი მოიცავს კატასტროფის დროს დაზიანებულ და განადგურებულ ინფრასტრუქტურას. ხოლო, არაპირდაპირ ზიანს შეგვიძლია მივაკუთვნოთ მომხმარებლის დანაკარგები და დაკარგული შემოსავლები, რომლებიც გამოწვეულ იქნა ინფრასტრუქტურის დაზიანებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჯანმრთელობის დაცვის სექტორს მიკუთვნებული შენობა-ნაგებობების დაზიანებით გამოწვეული დანაკარგები გამოითვლება არასაცხოვრისი შენობა-ნაგებობების დანაკარგების მეთოდოლოგიით.

¹⁸³ ქირის ან მშენებლობის ღირებულება.

მწარმოებლის დანაკარგები

გამომდინარე იქიდან, რომ მწარმოებლის დანაკარგის გამოთვლა უნდა უზრუნველყოს დაზარალებულმა კომპანიამ და ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ზარალის დათვლა იყოს უნიფიცირებული. ამიტომ, ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა ზიანის და დანაკარგის შეფასების შესაბამისი ფორმულა კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის. კერძოდ, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად ჯანმრთელობის სფეროსთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის დაზიანებით გამოწვეული მწარმოებლის დანაკარგი შესაძლებელია გამოთვლილ იქნას შემდეგი ფორმულით:

$$PL = \sum_i^n P_{MS_i} * Q_{S_{t-1}} + A_S * r * t$$

სადაც,

P_{MS_i} – სამედიცინო სერვისის ღირებულება.

$Q_{S_{t-1}}$ – საპროგნოზო მოთხოვნა t-1 პერიოდში.

A_S – დაქირავებული ნაგებობის ფართობი¹⁸⁴.

r – ქირის ღირებულება /მ².

t – ზეგავლენის თვეების რაოდენობა.

საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე შეუძლებელია გამოთვლილ იქნას ჯანმრთელობის დაცვის სექტორისთვის მიკუთვნებული ინფრასტრუქტურის დაზიანებით გამოწვეული დანაკარგები შინამეურნეობებისთვის.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის გამოთვლით ფორმულაში მოცემული ცვლადები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

წინასწარ განსაზღვრული/ინტეგრირებული მონაცემები:

P_{MS_i} – სამედიცინო სერვისის ღირებულება.

¹⁸⁴ თუ ალტერნატიული შენობის დაქირავება იქნა საჭირო.

Qs_{t-1} – საპროგნოზო მოთხოვნა $t-1$ პერიოდში.

მონაცემები, რომლებიც უნდა განისაზღვროს ადგილზე, შეფასების პროცესში:

A_s – დაქირავებული ნაგებობის ფართობი.

r – ქირის ღირებულება /მ².

t – ზეგავლენის თვეების რაოდენობა.

i – სამედიცინო სერვისის ტიპი.

3.2.7 სოფლის მეურნეობა

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად სოფლის მეურნეობისთვის მიყენებული ზარალი შეგვიძლია დავყოთ პირდაპირ და არაპირდაპირ ზარალად. პირდაპირ ზარალში იგულისხმება ნათესი და ნარგავი ფართობების, ფიზიკური ინფრასტრუქტურის და მანქანა-დანადგარების დაზიანებით/განადგურებით მიღებული ზიანი და დანაკარგი. ასევე, ასაღები მოსავლის და მათი მარაგების დაზიანებით ან განადგურებით დამდგარი ზარალი. არაპირდაპირ ზარალი მოიცავს ყველა იმ დანაკარგს რომელიც დადგა შემცირებული წარმოების შედეგად, რომელიც გამოწვეულ იქნა პირდაპირი ზარალის შედეგად¹⁸⁵.

სოფლის მეურნეობისთვის მიყენებული ზიანის და დანაკარგის შეფასების მეთოდოლოგიაში განხილულია ყველა სცენარი, რომელიც მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას შეფასების პროცესში. კერძოდ, მრავალწლიანი მცენარეების შემთხვევაში:

- არის თუ არა ზარალი დამდგარი მოსავლის ალების პერიოდში, უშუალოდ მცენარეების დაზიანების გარეშე;
- ან არის თუ არა ზარალი დამდგარი მოსავლის დამწიფებამდე პერიოდში, უშუალოდ მცენარეების დაზიანების გარეშე;

¹⁸⁵ ECLAC, Handbook for Estimating the Socio-economic and Environmental Effects of Disasters. LC/MEX/G.5. LC/L.1874, pp 192 and 196 2003. <https://repositorio.cepal.org/handle/11362/2782>

- ან დაზიანებულია თუ არა უშუალოდ მრავალწლიანი მცენარეები, მოსავლის დანაკარგის გარეშე.

ხოლო ერთწლიანი კულტურების შემთხვევა:

- სეზონიდან გამომდინარე, შესაძლებელია თუ არა მცენარეების ხელახალი დათესვა;
- არის თუ არა ზეგავლენა მესაქონლეობაზე.

ჩვენს მიერ საქართველოსთვის შემოთავაზებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად სოფლის მეურნეობისთვის მიყენებული ზიანის და დანაკარგის შეფასების ფორმულები აფასებენ მრავალწლიანი და ერთწლიანი კულტურების დაზიანების შედეგად დამდგარ ზარალს და მეცხოველეობისთვის მიყენებულ ზიანს და დანაკარგს.

რაც შეეხება ბუნებრივი ან ადამიანური ფაქტორით გამოწვეული კატასტროფის მიერ მეთევზეობისთვის (ზღვაში რეწვა), მეტყვეობისთვის და აკვაკულტურისთვის მიყენებული ზიანის და დანაკარგის შესაფასებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას FAO-ს¹⁸⁶ ან გაეროს კატასტროფის რისკის შემცირების სამსახურის მიერ FAO-ს მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შემუშავებული შეფასების ფორმულები¹⁸⁷. თუმცა, ჩვენი მოსაზრებით მეთევზეობისთვის (ზღვაში რეწვა) და მეტყვეობაზე მიყენებული ზიანის და დანაკარგის შეფასება შინაარსობრივად უფრო მეტად დაკავშირებულია კატასტროფის შედეგად გარემოზე მიყენებულ ზარალთან და წარმოდგენილია მთავრობის მიერ შემუშავებულ გარემოზე მიყენებული ზარალის შეფასების მეთოდოლოგიაში¹⁸⁸. ხოლო, აკვაკულტურაზე მიყენებული ზიანი და დანაკარგი შეფასებულ უნდა იქნას მეწარმის მიერ.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის შენობა-ნაგებობებისთვის მიყენებული ზიანი და დანაკარგი დაანგარიშდება არასაცხოვრისი

¹⁸⁶ Conforti, P., Markova, G., & Tochkov, D. FAO's methodology for damage and loss assessment in agriculture. FAO Statistics Working Paper 19-17. Rome. pp. 19-24, 2020 <https://doi.org/10.4060/ca6990en>

¹⁸⁷ United Nations Office for Disaster Risk Reduction (UNISDR). Technical guidance for monitoring and reporting on progress in achieving the global targets of the Sendai Framework for Disaster Risk Reduction. pp. 79-86, 2017. https://www.preventionweb.net/files/54970_techguidancefdigitalhr.pdf

¹⁸⁸ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 14 იანვრის, #54 დადგენილება;

შენობა-ნაგებობებისთვის მიყენებული ზარალის შეფასების მეთოდოლოგიით. ხოლო, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობისთვის (ფერმები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანის და მოვლის საშუალებების და მოსავლის შემნახველი საცავები) მიყენებული ზარალის შეფასება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკისრება აღნიშნული საქმიანობების მწარმოებელს.

I. მრავალწლიანი კულტურების შემთხვევაში

1. ხე-მცენარეების დაზიანების გარეშე

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად სოფლის მეურნეობისთვის მიყენებული ზიანი და დანაკარგი მრავალწლიანი კულტურებისთვის ხე-მცენარეების დაზიანების გარეშე შეგვიძლია გამოვთვალოთ შემდეგი ფორმულით:

$$D_1 = S * A_n * q * p * \left(\frac{A_n - A_s}{A_n} \right)$$

სადაც,

S - დაზიანებული ფართობი (ჰა).

A_n - სახეობისათვის პოტენციური მოსავლიანობა ხე-მცენარის ასაკის მიხედვით ერთ ძირზე რეგიონების მიხედვით¹⁸⁹ (კგ), სადაც n იცვლება 1-დან T -მდე.

A_s - ფაქტიურად გადარჩენილი მოსავლის რაოდენობა ერთ ძირზე (კგ).

q - ერთ ჰა-ზე ძირების ფაქტიური რაოდენობა.

p - ნაყოფის ფასი ერთ კგ.ზე ფერმერის დონეზე მისაღები (Farm gate price).

$\left(\frac{A_n - A_s}{A_n} \right)$ - მოსავლის დაზიანების ხარისხი, სადაც A_s - გადარჩენილი მოსავლის რაოდენობაა (კგ) ერთ ძირზე.

¹⁸⁹ მონაცემების მიღება შესაძლებელია სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მონაცემთა ბაზიდან.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის გამოთვლით ფორმულაში მოცემული ცვლადები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

წინასწარ განსაზღვრული/ინტეგრირებული მონაცემები:

T - სახეობების მიხედვით წლების რაოდენობა რომელიც საჭიროა ნარგავის სრულ მსხმოიარებად.

A_n - სახეობისათვის პოტენციური მოსავლიანობა ნარგავების წლოვანების მიხედვით ერთ ძირზე რეგიონების მიხედვით (კგ), სადაც n იცვლება 1-დან T -მდე.

p - ნაყოფის ფასი 1 კგ.ზე ფერმერის დონეზე მისაღები (Farm gate price).

Q - სახეობების მიხედვით ნარგავების ოპტიმალური რაოდენობა ერთ ჰა-ზე.

მონაცემები, რომლებიც უნდა განისაზღვროს ადგილზე, შეფასების პროცესში:

S - დაზიანებული ფართობი (ჰა).

n - ნარგავის ფაქტიური ასაკი.

q - ერთ ჰა-ზე ძირების ფაქტიური რაოდენობა, თუ $q > Q$ მაშინ სისტემამ უნდა ჩათვალოს რომ $q = Q$.

A_s - ფაქტიურად გადარჩენილი მოსავლის რაოდენობა ერთ ძირზე (კგ).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თუ კი ზარალი დადგა ნაყოფის დამწიფებამდე პერიოდში ხე-მცენარის დაზიანების გარეშე, ნარგავი მაინც საჭიროებს შესაბამის მოვლას მთელი წლის განმავლობაში, რათა მცენარე შესაბამისად მოვლილი დახვდეს შემდეგ წელს და კვლავ იყოს პროდუქტიული. შესაბამისად, მრავალწლიანი კულტურის ნაყოფის მოვლის ხარჯი ერთ ძირზე ხე-მცენარის ასაკის მიხედვით, ამ შემთხვევაში, არ იქნა გამოკლებული და ზარალი ხე-მცენარის დაზიანების გარეშე მოსავლის აღების პერიოდში ან მის დამწიფებამდე ერთმანეთის ტოლია.

2. მრავალწლიანი ნარგავების დაზიანება მიმდინარე მოსავლის დანაკარგის გარეშე

FAO-ს მეთოდოლოგია ეფუძნება რამდენიმე დაშვებას. ერთ-ერთი დაშვების მიხედვით, დაზიანებული ნარგავების აღდგენა სრულად ხდება იმავე წელს, როდესაც

მოხდა კატასტროფა და ნაყოფის მიღება არ ხდება მანამ სანამ სრულად არ აღდგება ნარგავი¹⁹⁰. აღნიშნული დაშვება საქართველოს შემთხვევაში არ იქნა გათვალისწინებული. შესაბამისად, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად სოფლის მეურნეობისთვის მიყენებული ზიანი და დანაკარგი მრავალწლიანი კულტურებისთვის ნარგავის დაზიანების შედეგად მიმდინარე მოსავლის დანაკარგის გარეშე შეგვიძლია გამოვთვალოთ შემდეგი ფორმულით:

$$D_2 = \left[\frac{q - q_s}{q} * \left(\left(I + \sum_1^n C_n + \sum_n^{2n} \frac{A_n * p * q}{(1+r)^t} \right) - \sum_n^{2n} C_n \right) \right] * S$$

სადაც,

I - ერთი ძირი ნერგის დარგვის საწყისი საინვესტიციო ხარჯი.

C_n - მრავალწლიანი კულტურის ნაყოფის მოვლის ხარჯი ერთ ძირზე ხე-მცენარის ასაკის მიხედვით.

A_n - სახეობისათვის პოტენციური მოსავლიანობა ხე-მცენარის ასაკის მიხედვით ერთ ძირზე რეგიონების მიხედვით (კგ), სადაც n იცვლება 1-დან T -მდე.

T - სახეობების მიხედვით წლების რაოდენობა რომელიც საჭიროა ნარგავის სრულ მსხმოიარებად¹⁹¹.

n - ნარგავის ფაქტიური ასაკი. დაზიანების დროს თუ $n > T$, მაშინ $n = T$.

p - ნაყოფის ფასი 1 კგ-ზე ფერმერის დონეზე მისაღები (Farm gate price).

q - სახეობების მიხედვით ნარგავების ფაქტიური რაოდენობა ერთ ჰა-ზე. თუ $q > Q$ მაშინ სისტემამ უნდა ჩათვალოს რომ $q = Q$.

q_s - გადარჩენილი ძირების რაოდენობა ერთ ჰა.-ზე.

Q - სახეობების მიხედვით ნარგავების ოპტიმალური რაოდენობა ერთ ჰა-ზე.

S - დაზიანებული ფართობი (ჰა).

r - დისკონტირების განაკვეთი (მომავალი ღირებულება (FV)).

t - დროის პერიოდი $t = 1 \dots n$.

¹⁹⁰ Conforti, P., Markova, G., & Tochkov, D. FAO's methodology for damage and loss assessment in agriculture. FAO Statistics Working Paper 19-17. Rome. pp. 11, 2020 <https://doi.org/10.4060/ca6990en>

¹⁹¹ მონაცემების მიღება შესაძლებელია სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მონაცემთა ბაზიდან.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის გამოთვლით ფორმულაში მოცემული ცვლადები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

წინასწარ განსაზღვრული/ინტეგრირებული მონაცემები:

I - ერთი ძირი ნერგის დარგვის საწყისი საინვესტიციო ხარჯი.

C_n - მრავალწლიანი კულტურის ნაყოფის მოვლის ხარჯი ერთ ძირზე ხე-მცენარის ასაკის მიხედვით.

A_n - სახეობისათვის პოტენციური მოსავლიანობა ხე-მცენარის ასაკის მიხედვით ერთ ძირზე რეგიონების მიხედვით (კგ), სადაც n იცვლება 1-დან T -მდე.

T - სახეობების მიხედვით წლების რაოდენობა რომელიც საჭიროა ნარგავის სრულ მსხმოიარებად.

P - ნაყოფის ფასი 1 კგ-ზე ფერმერის დონეზე მისაღები (Farm gate price).

Q - სახეობების მიხედვით ნარგავების ოპტიმალური რაოდენობა ერთ ჰა-ზე.

r - დისკონტირების განაკვეთი (მომავალი ღირებულება (FV)).

მონაცემები, რომლებიც უნდა განისაზღვროს ადგილზე, შეფასების პროცესში:

n - ნარგავის ფაქტიური ასაკი. დაზიანების დროს თუ $n > T$, მაშინ $n = T$.

q_s - გადარჩენილი ძირების რაოდენობა ერთ ჰა-ზე.

q - სახეობების მიხედვით ნარგავების ფაქტიური რაოდენობა ერთ ჰა-ზე. თუ $q > Q$ მაშინ სისტემამ უნდა ჩათვალოს რომ $q = Q$.

S - დაზიანებული ფართობი (ჰა).

II. ერთწლიანი კულტურების შემთხვევაში

1. თუ მოვლენა მოხდა სეზონის ბოლოს

FAO-ს მიერ შემოთავაზებული ფორმულა, რომელიც ითვლის ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად ერთწლიან კულტურებზე მიყენებულ ზარალს, ითვალისწინებს მოკლევადიან პერიოდში დაზიანებული ფართობის აღდგენის ღირებულებას. აღნიშნული კომპონენტი ჩვენს მიერ არ იქნა ზარალის შეფასების ფორმულაში გამოყენებული, რადგან ასეთი ხარჯების აღრიცხვა სუბიექტურ (ფერმერის) შეფასებაზეა დამოკიდებული. ასევე, ნაწილობრივ დაზიანებული და სრულიად განადგურებული ნათესი ფართობების დაყოფის ნაცვლად შემოდებულ იქნა დაზიანების ხარისხი, რაც უზრუნველყოფს აღრიცხვის პროცესში უფრო მეტ მოქნილობას.

შესაბამისად, სეზონის ბოლოს ერთწლიანი კულტურების დაზიანებით გამოწვეული ზარალი შეგვიძლია გამოვთვალოთ შემდეგი ფორმულით:

$$D_3 = S * A_P * P * \frac{A_P - A_S}{A_P}$$

სადაც,

S - დაზიანებული ნათესი ფართობი.

A_P - სახეობის პოტენციური მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე (კგ).

შეფასების მაქსიმალური სიზუსტის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია ერთ ჰექტარზე პოტენციური მოსავლიანობის რეგიონის, რწყვის და ჯიშის მიხედვით დაანგარიშება¹⁹².

A_S - გადარჩენილი მოსავლის რაოდენობა ერთ ჰა-ზე (კგ).

P - საშუალო ფასი კილოგრამზე ფერმერის დონეზე მისაღები (Farm gate price).

$\frac{A_P - A_S}{A_P}$ - დაზიანების ხარისხი, სადაც A_S არის გადარჩენილი მოსავლის რაოდენობა (კგ)

ერთ ჰა-ზე.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის გამოთვლით ფორმულაში მოცემული ცვლადები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

წინასწარ განსაზღვრული/ინტეგრირებული მონაცემები:

¹⁹² მონაცემების მიღება შესაძლებელია სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მონაცემთა ბაზიდან.

P - საშუალო ფასი კილოგრამზე ფერმერის დონეზე მისაღები (Farm gate price).

A_p - სახეობის პოტენციური მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე.

მონაცემები, რომლებიც უნდა განისაზღვროს ადგილზე, შეფასების პროცესში:

S - დაზიანებული ნათესი ფართობი.

A_s - გადარჩენილი მოსავლის რაოდენობა ერთ ჰა-ზე.

2. მოვლენის შემდგომ შესაძლებელია თავიდან დათესვა

ამ შემთხვევაში, ზარალი განისაზღვრება მოვლენის მოხდენამდე გაწეული ინვესტიციის მოცულობით.

$$D_4 = S * I_m * \frac{S - S_1}{S}$$

სადაც,

S - დაზიანებული ნათესი ფართობი.

S_1 - დაზიანებულ ნათესზე გადარჩენილი ნათესის მიერ დაკავებული ფართობი.

I_m - ერთწლიანი კულტურების მოყვანის ხარჯები აგრო წარმოების კალენდრის შესაბამისად (რეგიონების მიხედვით).

m - პერიოდი აგრო წარმოების კალენდრის მიხედვით, როდესაც სტიქიური მოვლენა მოხდა.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის გამოთვლით ფორმულაში მოცემული ცვლადები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

წინასწარ განსაზღვრული/ინტეგრირებული მონაცემები:

I_m - ერთწლიანი კულტურების მოყვანის ხარჯები აგრო წარმოების კალენდრის შესაბამისად.

მონაცემები, რომლებიც უნდა განისაზღვროს ადგილზე, შეფასების პროცესში:

S - დაზიანებული ნათესის ფართობი.

m - პერიოდი აგრო წარმოების კალენდრის მიხედვით, როდესაც სტიქიური მოვლენა მოხდა.

S_1 - დაზიანებულ ნათესზე გადარჩენილი ნათესის მიერ დაკავებული ფართობი (რომელსაც თავიდან გადამუშავება აღარ დაჭირდება).

3. მოვლენის შემდგომ შეუძლებელია თავიდან დათესვა

$$D_5 = D_3 - I_m * \frac{S - S_1}{S}$$

სადაც,

D_3 - ერთწლიანი კულტურისათვის მიყენებული ზარალი, როდესაც დაზიანება მოხდა სეზონის ბოლოს.

I_m - ერთწლიანი კულტურის მოყვანის ხარჯები აგრო წარმოების კალენდრის შესაბამისად (მოვლენის მოხდენიდან მოსავლის მოყვანამდე, რეგიონების მიხედვით).

S_1 - დაზიანებულ ნათესზე გადარჩენილი ნათესის მიერ დაკავებული ფართობი.

S - დაზიანებული ნათესის ფართობი.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის გამოთვლით ფორმულაში მოცემული ცვლადები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

წინასწარ განსაზღვრული/ინტეგრირებული მონაცემები:

I_m - ერთწლიანი კულტურების მოყვანის ხარჯები აგრო წარმოების კალენდრის შესაბამისად (რეგიონების მიხედვით).

მონაცემები, რომლებიც უნდა განისაზღვროს ადგილზე, შეფასების პროცესში:

m - პერიოდი აგრო წარმოების კალენდრის მიხედვით, როდესაც სტიქიური მოვლენა მოხდა.

S - დაზიანებული ნათესის ფართობი.

III. მეცხოველეობა

ცხოველების მათ შორის ფრინველების დალუპვით და/ან დაკარგვით გამოწვეული ზარალი, თუ ცხოველი ან ფრინველი მხოლოდ ხორცის მიღების მიზნით გამოიყენება, შეგვიძლია გამოვთვალოთ ქვემოთ მოყვანილი ფორმულით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩვენ შემოვიფარგლეთ მხოლოდ ხორცის წარმოებით, რადგან იგი წარმოადგენს ცხოველის და ფრინველისგან მიღებული სარგებლის ძირითად ნაწილს. ამასთან, გამომდინარე იქიდან რომ ტყავის, ბუმბულის, კვერცხის და სხვა პროდუქციის აღრიცხვა (გარდა ფერმერული წარმოების შემთხვევისა) რომელიც მიიღება ცხოველისგან და ფრინველისგან მთელ რიგ სიძნელებებთან არის დაკავშირებული, ამიტომ აღნიშნული კომპონენტების დაკარგვით მიღებული ზარალი არ იქნა გათვალისწინებული ფორმულაში, განსხვავებით FAO-ს მეთოდოლოგიისგან.

$$D_6 = Q_i * W_{it} * k_i * P_i$$

სადაც,

Q_i - დაკარგული და/ან გარდაცვლილი ცხოველის, ფრინველის რაოდენობა.

W_{it} - ცხოველის, ფრინველის საშუალო ცოცხალი წონა ასაკის და სახეობის მიხედვით.

k_i - ხორცის გამოსავლიანობის კოეფიციენტი ასაკის სახეობის მიხედვით¹⁹³.

P_i - ხორცის საშუალოწლიური ფასი (Farm gate price).

¹⁹³ მონაცემების მიღება შესაძლებელია სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მონაცემთა ბაზიდან.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის გამოთვლით ფორმულაში მოცემული ცვლადები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

წინასწარ განსაზღვრული/ინტეგრირებული მონაცემები:

W_{it} - ცხოველის, ფრინველის საშუალო ცოცხალი წონა ასაკის და სახეობის მიხედვით.

k_i - ხორცის გამოსავლიანობის კოეფიციენტი ასაკის სახეობის მიხედვით.

P_i - ხორცის საშუალოწლიური ფასი (Farm gate price).

მონაცემები, რომლებიც უნდა განისაზღვროს ადგილზე, შეფასების პროცესში:

Q_i - დაკარგული და/ან გარდაცვლილი ცხოველის, ფრინველის რაოდენობა.

t - დაღუპული/დაკარგული ცხოველის ასაკი

დასკვნები და წინადადებები

სადოქტორო ნაშრომში დეტალურადაა განხილული საზღვარგარეთ და საქართველოში არსებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის მონაცემების შეგროვების და ჩაწერის პრაქტიკა. გაანალიზებულია შესწავლილი პრაქტიკების უპირატესობები და ნაკლოვანებები. ასევე, სიღრმისეულად არის შესწავლილი სხვადასხვა კვლევითი ორგანიზაციების, ქვეყნების თუ კერძო სადაზღვეო კომპანიების მიერ შემუშავებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების კლასიფიკატორები და დამდგარი ზარალის ინდიკატორები. კვლევის შედეგად შემოთავაზებულია საქართველოში დასანერგი კატასტროფების კლასიფიკატორები და დამდგარი ზარალის ინდიკატორები. ამასთან, ნაშრომში წარმოდგენილია ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების საერთაშორისო პრაქტიკა და შემოთავაზებულია ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების მეთოდოლოგია საქართველოში დასანერგად.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის, პრობლემების და გამოწვევების ეფექტურად გადაჭრის მიზნით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა კატასტროფის რისკის შემცირების (DRR) სტრატეგია და სამოქმედო გეგმა¹⁹⁴. კატასტროფის რისკის შემცირების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების ერთიანი სისტემის შემუშავება.

პროცედურები და რეგულაციები რომელიც, საქართველოში, უზრუნველყოფს ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემთა ბაზის შექმნას, მის ღია წვდომას და შესაბამისი დაინტერესებული მხარეებიდან დამატებით ინფორმაციის შეგროვებას საჭიროებს

¹⁹⁴ http://gov.ge/files/469_59429_120118_4.pdf (ნახვა 1 მარტი, 2021)

მნიშვნელოვან გაუმჯობესებას როგორც ცენტრალურ ისე მუნიციპალურ დონეზე. არაა შემუშავებული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზიანისა და დანაკარგის ერთიანი სისტემა, რომლის მართვას, რეგულარულად განახლებას და შემდეგ კატასტროფის რისკის მართვისთვის გამოყენებას შეძლებდა შესაბამისი უფლებამოსილი სამთავრობო უწყება. შესაბამისად არც კერძო ორგანიზაციებს (განსაკუთრებით კვლევით ინსტიტუტებს და სადაზღვეო კომპანიებს) აქვთ შესაძლებლობა აწარმოონ კვლევითი საქმიანობა ადამიანური და ბუნებრივი ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების პრევენციის, გამოვლენილი რისკების მართვის გაუმჯობესების და კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის სადაზღვეო ბაზრის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით.

საქართველოში გავრცელებული პრაქტიკით, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის შეფასება და აღრიცხვა ხორციელდება ადგილობრივ დონეზე შექმნილი კომისიის მიერ¹⁹⁵. გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს სისტემური/სტანდარტიზებული მიდგომა თუ როგორ უნდა განახორციელოს კომისიამ კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასება, ამიტომ თითოეული შეფასების აქტი და დათვლილი ზიანის და დანაკარგის მოცულობა ეფუძნება კომისიის წევრების სუბიექტურ მოსაზრებებს, ხედვებს და შეფასებებს.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის მონაცემების შეგროვება ძალიან კომპლექსური და მნიშვნელოვანი პროცესია¹⁹⁶. მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, არ არსებობს საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული განმარტებები¹⁹⁷ ან მონაცემების ჩაწერის

¹⁹⁵ ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება „ლაგოდების მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის შედეგების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ: <http://www.lagodekhi.gov.ge/sites/default/files/596.pdf> (ნახვა 3 მაისი 2020)

¹⁹⁶ Fakhruddin, B., Murray, V and Maini, R. Disaster loss data in monitoring the implementation of the Sendai Framework. International Council for Science and Integrated Research on Disaster Risk, Disaster Risk Reduction Policy Brief for the 2017 Global Platform for Disaster Risk Reduction, Cancun Mexico, 2017.

¹⁹⁷ De Groeve, T., K. Poljansek, D. Ehrlich, and C. Corbane. Current status and best practices for disaster loss data recording in EU member states: a comprehensive overview of current practice in the EU member states. JRC Scientific and Policy Reports. Joint Research Centre, European Commission, p. 2, 14, 2014.

მიდგომები¹⁹⁸. შესაბამისად ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სახეზეა მონაცემთა ბაზების შესადარისობის და სანდოობის პრობლემა.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების შესადარისობის უზრუნველსაყოფად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კატასტროფების კლასიფიკაციის სტანდარტიზება.

დღეის მდგომარეობით, საქართველოში არ მოქმედებს ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების ოფიციალური კლასიფიკატორის განმსაზღვრელი სამართლებრივი ნორმა¹⁹⁹. თუმცა, კატასტროფის იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენება, 2008 წელს დამტკიცებული, საქართველოს მთავრობის დადგენილება „საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის განსაზღვრის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. შესაბამისად, კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის მონაცემების მხოლოდ ნაწილობრივი აღრიცხვა ხდება, რაც სრულად ვერ პასუხობს ევროკავშირის INSPIRE დირექტივით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებას.

იმისათვის, რომ საქართველოში სისტემურად და გამართულად მოხდეს კატასტროფების იდენტიფიცირება, დამდგარი ზარალის ჩაწერა და შესრულებულ იქნას INSPIRE დირექტივით და SENDAI ჩარჩო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, ჩვენს მიერ შემოთავაზებულ იქნა საქართველოზე მორგებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების კლასიფიკატორი და დამდგარი ზარალის ინდიკატორები.

საქართველოსთვის შემოთავაზებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების კლასიფიკატორი დაჯგუფებულია ევროკავშირის INSPIRE დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, კლასიფიკატორის პირველი ორი სვეტი - „ძირითადი ჯგუფები“ და „ქვეჯგუფები“ INSPIRE დირექტივის შესაბამისადაა მოცემული, რაც აადვილებს აღნიშნული ინფორმაციის ევროკავშირთან გაცვლას. თუმცა,

¹⁹⁸ Moriyama, K., Daisuke S., and Yuichi O. Comparison of global databases for disaster loss and damage data. Journal of Disaster Research 13(6):1007-1014 · November 2018.

¹⁹⁹ საქართველოს მთავრობის დადგენილება „საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის განსაზღვრის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, №68, 21 მარტი 2008. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/8014?publication=0>

აქვე უნდა აღინიშნოს რომ INSPIRE დირექტივის შესაბამისად კლასიფიკატორის შემუშავება სრულებით არ ნიშნავს იმას რომ იგი ზედმიწევნით იმეორებს INSPIRE დირექტივით მოცემულ კლასიფიკატორს. საქართველოსთვის შემოთავაზებული ვარიანტი უფრო ფართოა და მორგებულია ქვეყნის სპეციფიკას და საჭიროებებს.

ახალი კლასიფიკატორი შესაძლოა გამოყენებულ იქნას ურთიერთშესაბამისი ინფორმაციის შეგროვებისა და გაზიარებისთვის. ერთიანი კლასიფიკატორის შემოთავაზებული ვარიანტის საშუალებით მოხდება ზარალის დათვლა და ოფიციალური სტატისტიკის წარმოება.

მნიშვნელოვანი განსხვავება დღეის მდგომარეობით მოქმედ არაოფიციალურ კლასიფიკატორსა და შემოთავაზებულს შორის გახლავთ ის, რომ მოქმედი არაოფიციალური კლასიფიკატორი გადმოტანილია ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს შექმნილი დოკუმენტიდან და ვერ პასუხობს საქართველოს და საერთაშორისო ვალდებულებებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამასთან, მსოფლიოში არსებული კლასიფიკატორებისგან განსხვავებით მას თან ახლავს საფრთხის სიმწვავის რამდენიმე დონიანი ჩამლა, რომელიც შესაბამისი სიმწვავის კატასტროფის განმეორების შემთხვევაში საშუალებას იძლევა ველზე გაუსვლელად წინასწარ იქნას შეფასებული მოსალოდნელი ზარალი.

დღეის მდგომარეობით მოქმედ კატასტროფების არაოფიციალურ კლასიფიკატორს თან არ ახლავს კატასტროფების/საფრთხეების განმარტებები. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია შემუშავებულ იქნას კატასტროფების/საფრთხეების განმარტებები, რომლებიც თანხვედრაში იქნება (საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით) საერთაშორისო და კვლევითი ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ და შეთანხმებულ განმარტებებთან. აღნიშნული კი დამატებით კონსულტაციებს საჭიროებს რელევანტურ დარგის ექსპერტებთან.

საქართველოსთვის შემოთავაზებული კლასიფიკატორი იყოფა ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფებად, რომელთაგან ბუნებრივი კატასტროფები ხუთ ძირითად ჯგუფადაა გაყოფილი. კერძოდ, გეოლოგიურ/ჰიდროლოგიური კატასტროფები; მეტეოროლოგიურ/კლიმატოლოგიური კატასტროფები; ხანძრები, კოსმიური და

ბიოლოგიური კატასტროფები. ძირითადი ჯგუფის კატასტროფები დაჯგუფებულია 20 ქვეჯგუფის კატასტროფად, რომელშიც ასევე გაერთიანებულია 77 ბუნებრივი საფრთხე. მოქმედ არაოფიციალურ კლასიფიკატორში კი გვხვდება ორ დონიანი დაყოფა. კერძოდ, მოცემულია 16 ჯგუფი და მასში გაერთიანებული 98 საფრთხე, რომელთა გარკვეული ნაწილის დასახელება არ ემთხვევა მსოფლიოში არსებულ პრაქტიკას, ხოლო ზოგიერთი საფრთხე საქართველოში ისტორიულად არ ფიქსირდება.

რაც შეეხება ტექნოგენურ კატასტროფებს, შემოთავაზებულ ვარიანტში მოცემულია ექვსი ძირითადი ჯგუფის კატასტროფა. კერძოდ, სატრანსპორტო ავარია (კატასტროფა); აფეთქება და ხანძარი; სამრეწველო ავარია; გარემოს დაბინძურება სამრეწველო საქმიანობით და წიაღის მოპოვებით; ინჟინრული კონსტრუქციებისა და შენობა-ნაგებობების ჩამოშლა (ავარია/დანგრევა) და ბაზისური და კრიტიკული ინფრასტრუქტურის შეჩერება. თავის მხრივ, აღნიშნული ექვსი ძირითადი ჯგუფის კატასტროფები იყოფა 39 ქვეჯგუფის კატასტროფად და მასში შემავალ 81 საფრთხედ. მოქმედ არაოფიციალურ კლასიფიკატორში გვხვდება 14 ჯგუფში გაერთიანებული 89 საფრთხე.

იმისათვის, რომ საქართველოს ჰქონდეს კატასტროფების შედეგად დამდგარი ზიანის და დანაკარგის მონაცემთა აღრიცხვის ზუსტი, სრული, შედარებითი და გამჭვირვალე სისტემა, შემუშავებულ იქნა ზარალის მონაცემთა აღრიცხვის კონცეპცია²⁰⁰.

სადოქტორო კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, დეტალურად იქნა შესწავლილი ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ყოვლისმომცველი, საყოველთაოდ აღიარებული, საუკეთესო პრაქტიკის მქონე მეთოდოლოგიები, ასევე, მკვლევარების და სახელმწიფო ორგანოების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიებიც (ECLAC DaLA; PDNA; HAZUS; IDEA; MIRA; IRA; SAF; SEIA; EMA და FAO). ამასთან, ნაშრომში წარმოდგენილია ზოგიერთი მნიშვნელოვანი

²⁰⁰ საქართველოსთვის კატასტროფების შედეგად მიყენებული ზიანისა და დანაკარგის ბაზისური ინდიკატორების ფორმულირების კონცეპტუალური მოდელი წარმოდგენილია ევროკავშირის გაერთიანებული კვლევითი ცენტრის მიერ შემოთავაზებული მაგალითის მიხედვით

მიგნებები (არამართებული გამოთვლები), რომლებიც გათვალისწინებულ იქნა საქართველოსთვის შეთავაზებულ მეთოდოლოგიაში.

გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობისთვის მიყენებული ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის დეტალურად შესწავლის შედეგად გათვალისწინებულ იქნა შეფასების მიდგომები. თუმცა, საქართველოს სპეციფიკიდან და არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე, გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ შემუშავებულ სოფლის მეურნეობისთვის მიყენებული ზარალის შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილ გამოთვლით ფორმულებს დაემატა მნიშვნელოვანი დეტალები და გარკვეული კორექტირებები იქნა შეტანილი. კერძოდ, მხედველობაში იქნა მიღებული ბუნებრივი მოვლენა/კატასტროფა სეზონის რა პერიოდში ხდება. ასევე, გათვალისწინებულია ნათესი ფართობის სრულად განადგურების შემთხვევაში ფერმერს რომ აღარ მოუწევს დაგეგმილი ხარჯების გაღება.

SENDAI ჩარჩო ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობის მიზნით, გაეროს კატასტროფის რისკის შემცირების სამსახურის მიერ, გაერთიანებული ერების კარიბის და ლათინო ამერიკის ეკონომიკური კომისიის მიერ შექმნილი კატასტროფით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური ზარალის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების სახელმძღვანელოს (DaLA) გამარტივებული მეთოდოლოგიის დეტალური შესწავლის შემდეგ გამოვლენილ იქნა შენობა-ნაგებობების დაზიანებით ან დანგრევით გამოწვეული ზარალის შეფასების ფორმულაში მოცემული ცვლადის (მშენებლობის კვადრატული ღირებულება) ამომწურავი განმარტების აუცილებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში შენობა-ნაგებობების დაზიანებით ან დანგრევით გამოწვეული ზარალის შეფასების ფორმულა არაა მართებული. ამასთან, გამოთვლით ფორმულაში გათვალისწინებული არაა მშენებლობის ღირებულების რეგიონული ფაქტორი, შენობის ექსპლუატაციის ვადა და სხვა ელემენტები, რომლებიც გამოყენებულია საქართველოს მაგალითზე დეტალური შეფასების მეთოდოლოგიაში.

სადოქტორო ნაშრომში მოყვანილია ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების გამოთვლითი

ფორმულები და მიდგომები შემდეგი სექტორებისთვის: საცხოვრისი და არასაცხოვრისი შენობა-ნაგებობები; საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა; ენერჯეტიკა; განათლება; კულტურა; ჯანმრთელობის დაცვა და სოფლის მეურნეობა.

გარემოზე მიყენებული ზარალის შეფასების მეთოდოლოგიური მიდგომა წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 14 იანვრის, #54 დადგენილებაში - ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების მეთოდოლოგია ზემოთ ჩამოთვლილი სექტორების გარდა დამატებით შესამუშავებელია მრეწველობის და წარმოება/კომერციის სექტორებისთვისაც. აღნიშნული სექტორების სპეციფიკიდან გამომდინარე ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის შესამუშავებლად საჭიროა დამატებით კვლევა.

საქართველოს მაგალითზე ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის გაუმჯობესების მიზნით დამატებით კვლევებია ჩასატარებელი შენობა-ნაგებობების შიგთავსის ე.გ. uplift cost-ების კოეფიციენტების გამოსავლენად.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს მაგალითზე, ჩვენს მიერ შექმნილია ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების კლასიფიკატორი და დამდგარი ზარალის ინდიკატორები. ასევე, შემუშავებულია კატასტროფის შედეგად გამოწვეული ზიანის და დანაკარგის შეფასების მულტისექტორული მეთოდოლოგია.

კატასტროფით გამოწვეული ზარალის სწორად და ერთიანი მეთოდოლოგიით აღრიცხვა გააუმჯობესებს პრევენციული ღონისძიებების საჭიროების შეფასებას, შესაბამისი ბიუჯეტის დაგეგმვას და პრევენციის პოლიტიკის უკეთ არგუმენტირებას.

კატასტროფის შედეგად გამოწვეული ზარალის შეფასების მეთოდოლოგია და მონაცემების სისტემატური შეგროვება საშუალებას მისცემს რელევანტურ სამთავრობო უწყებებს, კერძო სადაზღვეო კომპანიებს და კვლევით ინსტიტუტებს შეიმუშაონ

(კალიბრირება მოახდინონ) ზიანისა და დანაკარგის შეფასების მოდელები. აღნიშნული კი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კატასტროფის შედეგად დამდგარი ზარალით გამოწვეული მოკლევადიანი და გრძელვადიანი ეკონომიკური შოკების და სოციალური მდგომარეობის შესაფასებლად და სტიქიის შედეგად დაზარალებულთა კომპენსაციის (ანაზღაურების) მოცულობის გამოსათვლელად.

კომპენსაციის მოცულობის გამოთვლა თავის მხრივ ხელს შეუწყობს სამართლიანი და ეფექტიანი სახელმწიფო დახმარების მექანიზმის ჩამოყალიბებას, გაამარტივებს თანამშრომლობას ადგილობრივ საზოგადოებასთან, კერძო სექტორთან და საერთაშორისო თანამეგობრობასთან. ასევე, განავითარებს სადაზღვევო ბაზარს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სტიქიით მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო შერეული სამთავრობო კომისიის მუშაობის წესისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სტიქიით დაზარალებული ოჯახების დიფერენციის, დახმარების კრიტერიუმებისა და ზიანის აღმოფხვრის წესის შესახებ“, N14, 12 აპრილი 2016. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3257953>
2. კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება „კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის“ დამტკიცების თაობაზე, N9, 21 აპრილი 2017. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3704325?publication=0>
3. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის შედეგების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ“, N596, 13 ივნისი 2016. <http://www.lagodekhi.gov.ge/sites/default/files/596.pdf>
4. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება „მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის“ დამტკიცების შესახებ, N15, 31 აგვისტო 2011. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1468314?publication=0>
5. საქართველოს კანონი „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“, N3126-III, 4 მარტი 2015. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2764463?publication=9>
6. საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“, N972-II, 17 ოქტომბერი 1997. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/33472?publication=6>
7. საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, N2608-III, 27 ივნისი 2018. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4243170?publication=3>

8. საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, №2181–III, 25 ივნისი 1999. <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=33>
9. საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, N3277-III, 11 თებერვალი 2004. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2062?publication=38>
10. საქართველოს მთავრობის დადგენილება „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ“, N153, 4 ივნისი 2010. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1020717?publication=1>
11. საქართველოს მთავრობის დადგენილება „საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, N68, 21 მარტი 2008. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/8014?publication=0>
12. საქართველოს მთავრობის დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“, N508, 24 სექტემბერი 2015. <https://matsne.gov.ge/document/view/2993918?publication=1>
13. საქართველოს მთავრობის დადგენილება „2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო და მდინარე ვერეს ხეობის და მიმდებარე ტერიტორიის მდგომარეობის შესწავლისა და შემდგომი აღდგენითი სამუშაოების ორგანიზების მიზნით უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“, №274, 18 ივნისი 2015. <https://matsne.gov.ge/document/view/2878850?publication=0>
14. საქართველოს მთავრობის დადგენილება „საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, N4, 11 იანვარი 2017. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3547798?publication=1>
15. საქართველოს მთავრობის დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდის შესახებ“, N54, 14 იანვარი 2014. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2195792?publication=6>

16. საქართველოს მთავრობის დადგენილება, „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“, N54, 14 იანვარი 2014.
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2195792>
17. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, N1958-III, 5 თებერვალი 2014.
<https://matsne.gov.ge/document/view/2244429?publication=47>
18. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, N24, 29 მარტი 2019.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4522158?publication=2>
19. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება “წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის, ხანძრის შედეგად დამდგარი ზიანის აღრიცხვის, შესწავლის, შეფასებისა და დახმარების ოდენობის განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ”, N12, 26 იანვარი 2018.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4025839?publication=0>
20. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება „ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის“ დამტკიცების შესახებ, N19, 27 მაისი 2015.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2853658?publication=0>
21. Act on the Elimination of Consequences of Natural Disasters, Official Gazette RS, No. 114/05 - Official Consolidated Text, 90/07, 102/07, 40/12 - ZUJF and 17/14.
<http://www.pisrs.si/Pis.web/pregledPredpisa?id=ZAKO3734>
22. APEC Workshop on Damage Assessment Techniques, Guidelines and best practices for post-disaster damage and loss assessment, Yogyakarta, 3-6 August, 2009.
23. Assembly, UN General. "Global indicator framework for the Sustainable Development Goals and targets of the 2030 Agenda for Sustainable Development." United Nations Statistics Division: New York, NY, USA. 2017.

https://unstats.un.org/sdgs/indicators/Global%20Indicator%20Framework%20after%202020%20review_Eng.pdf

24. Below R., Wirtz A., Guha-sapir D. Disaster Category Classification and Peril Terminology for Operational Purposes. Universite catholique de Louvain. Working paper N264, October 2009. <https://www.cred.be/node/564>
25. Bruggeman, V. and Faure M., The Compensation for Victims of Disasters in Belgium, France, Germany, and the Netherlands. The Netherlands Scientific Council for Government Policy (WRR). Working Papers 30, 2018.
26. C. Stephenson, J. Handmer, R. Betts, Estimating the economic, social and environmental impacts of wildfires in Australia, Environ. Hazards-Hum. Policy Dimensions 12 (2), pp 93-111, 2013. <https://doi.org/10.1080/17477891.2012.703490>
27. Cardona O. D., Mario G. O., Luis E. Y., Mabel C. M., and Barbat A. H. Earthquake loss assessment for integrated disaster risk management. Journal of Earthquake Engineering 12, no. S2, 2008.
28. Civil Protection and Emergency Situation Service Order on the approval of the regulation regarding the statistical record of the SE and their consequences in the Republic of Moldova. No. 139 of 04.09.2012.
<http://dse.md/sites/default/files/pdf/Ordin%20SPCSE%20nr.139%20din%2004.09.2012%20privind%20aprobarea%20Regulamentului%20cu%20privire%20la%20evidenta%20statistica%20a%20SE%20si%20consecintelor%20lor%20in%20RM.pdf>
29. Conforti, P., Markova, G., & Tochkov, D. FAO's methodology for damage and loss assessment in agriculture. FAO Statistics Working Paper 19-17. Rome. 2020.
<https://doi.org/10.4060/ca6990en>
30. Cui, Y., Shangming J., Juliang J., Shaowei N., and Ping F. Quantitative assessment of soybean drought loss sensitivity at different growth stages based on S-shaped damage curve. Agricultural Water Management 213, 2019.
31. Daniela M., Menoni S., and Ballio F. eds. Flood Damage Survey and Assessment: New Insights from Research and Practice. Vol. 228. John Wiley & Sons, 2017.

https://books.google.ge/books?id=9m0tDwAAQBAJ&pg=PA36&lpg=PA36&dq=disaster+loss+data+accounting+practices+research+institutions&source=bl&ots=Hw7sOO3kb2&sig=ACfU3U2woy4Io6uGPR7ffQMcWgzaLy_24g&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwjsm4Dk1Z7oAhWimFwKHV_qBJEQ6AEwA3oECAsQAQ#v=onepage&q=disaster%20loss%20data%20accounting%20practices%20research%20institutions&f=false

32. De Grove, T., Ehrlich D. and C. Corbane. Guidance for Recording and Sharing Disaster Damage and Loss Data. JRC Scientific and Policy Reports. Joint Research Centre, European Commission, 2015.
https://www.researchgate.net/publication/295907537_Guidance_for_Recording_and_Sharing_Disaster_Damage_and_Loss_Data
33. De Grove, T., Poljansek K., and Ehrlich D., Recording Disaster Losses. Recommendations for a European Research. JRC Scientific and Policy Reports. Joint Research Centre, European Commission 2013.
34. De Grove, T., Poljansek K., Ehrlich D. and C. Corbane. Current status and best practices for disaster loss data recording in EU member states: a comprehensive overview of current practice in the EU member states. JRC Scientific and Policy Reports. Joint Research Centre, European Commission, 2014.
35. Decree on methodology for damage assessment, Official Gazette RS, No. 67/03, 79/04, 33/05, 81/06 and 68/08. <http://www.pisrs.si/Pis.web/pregledPredpisa?id=URED2969>
36. Decree on methodology for damage assessment, Official Gazette RS, No. 67/03, 79/04, 33/05, 81/06 and 68/08. <http://www.pisrs.si/Pis.web/pregledPredpisa?id=URED2969>
37. Díaz, R., F., Ferrer, M.M. Loss database architecture for disaster risk management. JRC Scientific and Policy Reports. Joint Research Centre, European Commission. 2018.
38. Díaz, R., F., Ferrer, M.M., Antofie, E.T., Luoni, S., and Faiella, A. Update to the Disaster Risk Management Knowledge Centre loss database architecture for disaster risk management. JRC Scientific and Policy Reports. Joint Research Centre, European Commission, 2018.

39. Dutta D., Srikantha H., Musiake K. A Mathematical Model for Flood Loss Estimation, Journal of Hydrology Number 277, 2003.
40. Eckhardt D, Leiras A, Thomé AM. Systematic literature review of methodologies for assessing the costs of disasters. International journal of disaster risk reduction 33, 2019.
41. ECLAC, Handbook for Estimating the Socio-economic and Environmental Effects of Disasters. LC/MEX/G.5. LC/L.1874, 2003. <https://repositorio.cepal.org/handle/11362/2782>
42. Elmquist M., Petr A., et all, Country profile, Moldova. Prevention, preparedness and response to natural and man-made disasters in the EaP countries – PPRD East 2. December, 2015. <http://pprdeast2.eu/wp-content/uploads/2015/08/MD-Country-Profile.pdf>
43. EMA, Australian Disaster Resilience Manual 27: Disaster Loss Assessment Guidelines, 2002, Australian Institute for Disaster Resilience CC BY-NC, 2002.
44. Erdik M. K., Şeşetyan, M. B., Demircioğlu, U. H., and Zülfiyar C. Rapid earthquake loss assessment after damaging earthquakes. Soil Dynamics and Earthquake Engineering 31, no. 2, 2011.
45. EU Expert Working Group on Disaster Damage and Loss Data. "Guidance for recording and sharing disaster damage and loss data–Towards the development of operational indicators to translate the Sendai Framework into action." (2015).
46. EU Regulation No 661/2014 of the European Parliament and of the Council. Amending Council Regulation (EC) No 2012/2002 establishing the European Union Solidarity Fund, 15 May 2014.
<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32014R0661>
47. Fakhruddin, B., Murray, V and Maini, R. Disaster loss data in monitoring the implementation of the Sendai Framework. International Council for Science and Integrated Research on Disaster Risk, Disaster Risk Reduction Policy Brief for the 2017 Global Platform for Disaster Risk Reduction, Cancun Mexico, 2017.
https://www.researchgate.net/publication/326972550_Disaster_loss_data_in_monitoring_the_implementation_of_the_Sendai_Framework

48. Gall, M., Borden, K. A., and Cutter, S. L. When do losses count? Six fallacies of natural hazards loss data. *Bulletin of the American Meteorological Society*, 90(6), 799-809., 2009.
49. Gerin S., Nussbaum R., Rothschild E. The contribution of French insurers to the creation and management of a National Observatory for Natural Hazards (ONRN). *The Consorcio de Compensación de Seguros digital magazine "Conorseguros"*. No 7, Autumn 2017.
50. Glade T., *Classification of Natural Disasters*. Encyclopedia of earth Sciences Series. Encyclopedia of Natural Hazards. January 2013.
https://www.researchgate.net/publication/299725165_Classification_of_Natural_Disasters
51. Government Decision on the classification of exceptional situations and the way of accumulating and presenting information in the field of population and territory protection in case of exceptional situations, No. 1076 of 16.11.2010
<http://lex.justice.md/md/336766/>
52. Grasso, V. F., and M. Dilley. "A comparative review of country-level and regional disaster loss and damage databases." United Nations Development Programme Bureau for Crisis Prevention and Recovery, New York, 2013.
<https://www.undp.org/content/undp/en/home/librarypage/crisis-prevention-and-recovery/loss-and-damage-database/>
53. Gunawan, O., and Aldridge T., *Disaster Loss Data Management in Scotland*. Science Division of the Health and Safety Executive, Report #DMS/2018/01., 2018.
54. IASC. Initial Rapid Assessment (IRA) Tool: Guidance Notes.
http://www.who.int/hac/network/global_health_cluster/ira_guidance_note_june_2009.pdf
55. Integrated Research on Disaster Risk (IRDR). *Peril Classification and Hazard Glossary* (DATA Project Report No. 1). Report by the DATA Working Group of the IRDR. Beijing, China, 2014. <https://council.science/wp-content/uploads/2019/05/Peril-Classification-and-Hazard-Glossary.pdf>

56. Jakšič A. Slovenian Application for Damage Assessment on Agricultural Products and Objects – AJDA. Ministry of Defence of the Republic of Slovenia Administration for Civil Protection and Disaster Relief, Brussels, 21 March 2017.
[https://drmkc.jrc.ec.europa.eu/Portals/0/Partnerships/Seminars/9th EU Loss Data Workshop/Presentations/Session4/pdf/1_9th_EU_Loss_Data_Workshop_Presentation_A_Jaksic.pdf](https://drmkc.jrc.ec.europa.eu/Portals/0/Partnerships/Seminars/9th_EU_Loss_Data_Workshop/Presentations/Session4/pdf/1_9th_EU_Loss_Data_Workshop_Presentation_A_Jaksic.pdf)
57. Jonkman B., etc. Integrated Hydrodynamic and Economic Modelling of Flood Damage in the Netherlands, Ecological Economics, Volume 66, 2008.
58. Kelly, C., Damage, Needs or Rights? – Defining What is Required After a Disaster. Disaster Studies and Management, Working Paper no. 17, 2008
59. Law on the Protection against Natural and Other Disasters, Official Gazette RS, No. 51/06 - Official Consolidated Text, 97/10 and 21/18 – ZNOrg.
<http://pisrs.si/Pis.web/pregledPredpisa?id=ZAKO364>
60. Lerner, M., Alternative Classification Schemes for Man-Made Hazards in the Context of the Implementation of the Sendai Framework. Inter-Agency Coordination Group on Industrial and Chemical Accidents by the United Nations Environment Programme (UNEP), June 5, 2016.
[https://www.researchgate.net/publication/313302584 Alternative Classification Schemes for Man-Made Hazards in the Context of the Implementation of the Sendai Framework](https://www.researchgate.net/publication/313302584_Alternative_Classification_Schemes_for_Man-Made_Hazards_in_the_Context_of_the_Implementation_of_the_Sendai_Framework)
61. MIRA, Multi-Cluster/Sector Initial Rapid Assessment Guidance. Revision July 2015, IASC - Inter-Agency Standing Committee, 2015.
62. Molinari, D., Menoni, S., Aronica G. T., Ballio F., Berni N., Pandolfo C., Stelluti M., and Minucci, G. Ex post damage assessment: an Italian experience, Natural Hazards Earth System Sciences, 2014.
63. Moore, W. R., and Willard P. Review of ECLAC damage and loss assessments in the Caribbean, 2014.

64. Moriyama, K., Daisuke S., and Yuichi O. Comparison of global databases for disaster loss and damage data. *Journal of Disaster Research* 13(6):1007-1014 · November 2018.
65. Nagarajan Ramanathan. *Drought assessment*. Springer Science & Business Media, 2010.
66. O. Petrucci, A.A. Pasqua, G. Gullà, Landslide damage assessment using the Support Analysis Framework (SAF): the 2009 landsliding event in Calabria (Italy), *Adv. Geosci.* 26 pp 13-17, 2010. <https://doi.org/10.5194/adgeo-26-13-2010>
67. O. Petrucci, G. Gullà, A support analysis framework for mass movement damage assessment: applications to case studies in Calabria (Italy), *Nat. Hazards Earth Syst. Sci.* 9 (2), 2009.
68. Organisation for Economic Co-operation and Development (OECD). Joint Expert Meeting on Disaster Loss Data: Improving the Evidence Base on the Costs of Disasters – Key Findings from an OECD Survey, Paris 26-28 October 2016.
<http://www.oecd.org/gov/risk/joint-expert-meeting-on-disaster-loss-data.htm>
69. Quoc-Phi Duong. Overview of Standards in France for Hazard Monitoring, Databases, Metadata and Analysis techniques to support Risk Assessment. *Meteo France – Toujours un temps d’avance*. Vol VI., 30 September 2013.
<https://www.wmo.int/pages/prog/drr/projects/Thematic/HazardRisk/2013-10-TC-Prog-FP-Meeting/documents/Countries/France/2013.10.03%20-%20France%20-%20final.pdf>
70. Ruiz V. Flood Loss Assessment. Associated Programme on Flood Management (APFM), Issue 27, June 2017.
https://www.researchgate.net/publication/318339432_APFM_Tools_Series_-_Flood_Loss_Assessment
71. Rukhadze Anna, Ina Vachiberidze, and Marina Fandoev. “National Climate Vulnerability Assessment: Georgia. Climate Forum East (CFE) and Georgia National Network on Climate Change, 2014.
72. The World Bank, Disaster Risk Finance Country Note: Georgia, 2017
<https://documents.worldbank.org/en/publication/documents-reports/documentdetail/929561510329276686/disaster-risk-finance-country-note-georgia>

73. The World Meteorological Organization (WMO) and the Global Water Partnership (GWP). Associated Programme on Flood Management (APFM), Issue 2, June 2013.
74. UN, Report of the open-ended intergovernmental expert working group on indicators and terminology relating to disaster risk reduction, 2016.
<https://www.undrr.org/publication/report-open-ended-intergovernmental-expert-working-group-indicators-and-terminology>
75. UN, Technical Collection of Concept Notes on Indicators for the Seven Global Targets of the SENDAI Framework for Disaster Risk Reduction, 2016.
https://www.unisdr.org/files/54970_techguidancefdigitalhr.pdf
76. UNDP, the World Bank, the Global Facility for Disaster Reduction and Recovery (GFDRR) and the United States Department of Agriculture (USDA)., Tbilisi Disaster Needs Assessment. Final Report. 2 September, 2015.
https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/environment_energy/tbilisi-disaster-needs-assessment--2015.html
77. UNDRR, Suggested List of Hazards for the Purpose of Measuring Global Targets of the Sendai Framework.
https://www.preventionweb.net/files/47137_proposedlistofhazardsforglobaltarge.pdf
78. United Nations (UN). Sendai Framework for Disaster Risk Reduction 2015–2030.
https://www.preventionweb.net/files/43291_sendaiframeworkfordrren.pdf
79. United Nations Office for Disaster Risk Reduction (UNISDR). Technical guidance for monitoring and reporting on progress in achieving the global targets of the Sendai Framework for Disaster Risk Reduction, 2017.
https://www.preventionweb.net/files/54970_techguidancefdigitalhr.pdf
80. USAID, Tbilisi Disaster Needs Assessment. 2015
<https://reliefweb.int/report/georgia/tbilisi-disaster-needs-assessment-2015>
81. Wallemacq, Pascaline. Economic losses, poverty & disasters: 1998-2017. Centre for Research on the Epidemiology of Disasters, CRED, 2018.

82. Wirtz A., Kron W., Löw P., and Steuer M. The Need for Data: Natural Disasters and the Challenges of Database Management. Journal of the International Society for the Prevention and Mitigation of Natural Hazards, vol. 70 (1), 2014.
83. Y. Ding, M.J. Hayes, M. Widhalm, Measuring economic impacts of drought: a review and discussion, Disaster Prevention Management 20 (4), 2011.
<https://doi.org/10.1108/09653561111161752>
84. http://www.ideaproject.polimi.it/?page_id=11
85. <https://glidenummer.net/glide/public/search/search.jsp>
86. <https://inspire-regadmin.jrc.ec.europa.eu/dataspecification/ScopeObjectDetail.action;jsessionId=142013E9743E14D91D946C057EFA020A?objectDetailId=10621>
87. <https://inspire.ec.europa.eu/codelist/NaturalHazardCategoryValue>
88. <https://sustainabledevelopment.un.org/topics/sustainabledevelopmentgoals>
89. <https://www.desinventar.net/definitions.html>
90. <https://www.emdat.be/classification>
91. <https://www.fema.gov/flood-maps/products-tools/hazus>
92. <https://www.fema.gov/multimedia-library>

